

საძეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი




VI

ივნისი

VI

1913 წ.



შინაარსი: 1) სქესობრივი საკითხი, წერილები დასთან IV ივ. გომარული. 2) ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჭივიენს ტუე და მისი ჭყერი—ილ. ალხაზიშვილი. 3) „გეგების ტუასნის“ შედგენილობა—დ. კარიჭაშვილი. 4) კიდევ ქ-ნ მანოს საბავშვო ბაღის შესახებ—კატო ბაქ—ძე. 5) სუსტ ნერვებისანი ბავშვები და მათი აღზრდა—ილ. ფერაძე. 6) კიდევ ფიზიკური შრომის მნიშვნელობის შესახებ—გრ. საქარქელელი. 7) ჭყერის მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის—გერასიმე. 8) ადამიანის უძლურება და ბუღისწერა ლეუანდრეივს ოსზულებებში—გ. ნათაძე. 9) მოგანება დაუფასარის იაკობ გოგებაშვილის შესახებ (კარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო) სურათებით—ივ. გ—რი. 10) ფქსიმილე იაკობ გოგებაშვილისა. 11) ჩავვიქრეს (ლექსი)—შიო მღვიმელი. 12) გულის ზრახვა—ილ. გოგია. 13) ჩანვის ხმა—ვაჟა-ფშაველა. 14) ნაწვეულები—ვ. გორგაძე. 15) დროთა მიმდევარება ქართულ ენაში—პეტრე მირიანიშვილი. 16) ახლციხე (ეთრგრაფიული აწერილობა)—მესხი კ. გვარამაძე. 17) სახელგამომი გამოფენა ქართულ გიმნაზიაში—გ. საქარქელელი. 18) სახლხო სკოლის ცხოვრებიდან—საკლე აბულაძე. 19) სახლხო სკოლების განშქმა (წერილი გურიიდან)—მ—შვილი. 21) დამატება: ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა: მახსენებანი ფოთის, სამტრედიის, სოხუმის, გომარეთის, თელავის და წინანების სკოლებისა და განყოფილებათა შესახებ. 22) განცხადებანი.

შემდეგი № „განათლებისა“ გამოვა სექტემბერში

ურნალ „განათლების“ რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: 1. ბროლის ლიმილი ლექსები ურითმოდ ი. გრიშაშვილისა ფასი ორი შაური. 2. მოლიპულ გზაზე, მეორე გამოცემა ქ-ნ ა. ერისთავ-ხოშტარისი და 3. ლექსები გ. ქალაღიღელისა ქუთაისში გამოცემული ის. კვიცარიძის მიერ ფასი. 75.

რედაქციამ დაუზახენა თავის ავენტებს ახლად გამოსული წიგნი განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. ამ წიგნის შეძენა შეიძლება: კავკავში—ვ. ბურჯანაძესთან, ბაქოში, მეთ. კაკაბაძესთან, ქართულ სკოლაში, თელავში—ნინო გონიაშვილთან, გორში ნ. ლომოურთან, ყვირილაში ს. ორჯონიკიძესთან. სამტრედილაში წ. კ. საზ. კიოსკში. ხონში—ლ. ჩიმაკაძესთან. ახ. სენაკში—სპ. ენუქიძესთან. აბაშაში ვ. ქობულიასთან, ბათომში—წიგნის მალაზია „განთიადი“ ფოთში მლ. ლ. წულაძესთან. ლანჩხუთში მ. იმნაძესთან. ახალციხეში კ. გვარამაძესთან. ოზურგეთში—დ. თალაქვაძესთან სოხუმში ნიკო ჯანაშიასთან. ჩონატაურში ს. თავათრქილაძესთან, სურამში ნატ. გიგაურთან. ონში დ. კერესელიძესთან ზუგდილში ელენე ვასაძესთან. ქუთაისში ის კვიცარიძესთან, ჭიათურაში ი. გომელაურთან.

რედაქცია აცხადებს, რომ „განათლების“ იანვრის ნომერს ვერავის გაუზახენის, რადგანაც ეს ნომერი აკრძალეს და წაიღეს მთლად თუ კი უკანვე დაგვიბრუნეს, რედაქცია დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს მკითხველებს.

განათლება

(წელიწადი მეექვსე)

VI	ი ვ ნ ი ს ი	1913 წ.
ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან. ნახევარი წლით . . . 3 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.	ცალკე ნომ- რის ფასი 40 კაპ.	ხელის მოწერა მიიღება თფილისში „წერა- კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ აღ- რესით: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназия Л. Г. Боцвадзе.

სქესობრივი საკითხი

წერილები დასთახ

IV.

ღო კეთო!

შენი წერილი, ეს არის, ახლა მივიღე. საშინლად მეწყინა, რომ თამრო ავდა გყოლია. მაღლობა ღმერთს, რომ ანთება ვაღუტანია.

ჩემის უგებედულობით ხანდახან ავადმყოფობა ბავშვისათვის საჭიროა,—ბავშვის აგებულება ეჩვევა სწეულებასთან ბრძოლას. მწერ, ფილტვები ძალიან დასუსტებული აქვს და არ ვიცი, სად წავიყვანოვო.

შენი ხასიათი რომ ვიცი, მარტო არსად გაუშვებ, თორემ გირჩევდი პატარა ცემში გაგზავნას. ვერ წარმოიდგენ, რა მშვენიერი, მყუდრო და ყოვლისფრით შემკული ალაგია. თუ ჩემს რჩევას შორს

დაიკავებ, მაშინ მეორე მიიღე: წალვერში წადი ბავშვებიანათ, — უკეთესს ალაგას ბავშვების ჯანმრთელობისათვის მე ვერ გირჩევ. შესაძლებელია, ცოტა ხნით მეც გეწვიო წალვერში. საშინლად მომწონს ბორჯომის ხეობა და განსაკუთრებით ბაკურიანის გზა.

ახლა მივმართოთ ისევ ჩვენი მიწერმოწერის მთავარ საგანს.

სქესობრივ ურთიერთობაში მომქმედი, ასე ვთქვათ, პირველი როლის მოთამაშე მამა-კაცია.

ამავე ღროს ღღევანდელი ცხოვრება მამაკაცს გაცილებით მეტ თავისუფლებას აძლევს სქესობრივ საკითხში.



ყოველივე ამას შედეგად ის მოსდევს, რომ ვაჟს მეტი საფრთხე მოეღოს, ვიდრე ქალს.

გასათხოვარ ქალში დღევანდელი საზოგადოება ყველაზედ მეტად უმანკოების ბადეს აფასებს. ქალიც ძალაუნებურად უფროთხილდება ამ ბადეს. ვაჟს კი ამ მხრივ ბუნებამაც კი მეტი თავისუფლება მიანიჭა. თანამედროვე წყობილებამ მას საროსკიპოები დაუარსა. დიდი სიმტკიცე მართებს ვაჟს, რომ სქესობრივ გრძნობას არ გაჰყვეს და არსად გადიხეხოს.

სქესობრივი გრძნობა ახალგაზრდას არ ასვენებს, ოცნებას უცხოველებს და უგიჟებს, დაკმაყოფილებას ითხოვს.

ასეთ მდგომარეობას შედეგად მოსდევს ხელით წვალემა სასქესო ასოსი ანუ ჩუკუნება—ანანიზმი.

ანანიზმს მიმართავენ ქალებიც და ვაჟებიც,—უფრო ხშირად უკანასკნელნი.

ანანიზმი საშინელი სენია,—მისი მნიშვნელობა და შედეგი წინდაწინვე უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ყოველ დედას და დროზედ უნდა შეებრძოლოს მას.

შენ აღბად არ გეცოდინება, საიდგან წარმოსდგა სიტყვა ანანიზმი. დაბადებაში მოხსენებულია ვინმე ანანია, „რომელიც თესლს მიწაზე ჰღვრიდა, რათა შეიღებოდა არ გასჩენოდა“.

იმის უზნეო ჩვეულებას მისივე სახელი დაარქვეს მეცნიერებმა და ამგვარად წარმოსდგა სიტყვა ანანიზმი.

ვაჟის სქესობრივად მომწიფებას შედეგად მოსდევს თესლის დაგროვება სათესლე პარკებში. თესლი დღითი-დღე მატულობს პარკებში, რაც იწვევს სქესობრივ ნდომას. ვაჟი ან თვითონ თვისის მიხვედრით იწყებს ასოს წვალემა ხელით, ან უფრო გამოცდილი ამხანაგისაგან სწავლობს; ბევრჯერ კი პირველი პოლუცია

ძილში იწვევს შემდეგ ანანიზმს; ვაჟი მხედავს რაიმე სიხმარს, რაც იწვევს პოლუციასთან ერთად სასიამოვნო გრძნობას; ვაჟი ცდილობს ამ გრძნობის გამეორებას და ამ გზით ეჩვევა ანანიზმს.

სასწავლებელი—განსაკუთრებით პანსიონი, ბუდეა ანანიზმისა.

რაში მდგომარეობს ანანიზმის ცუდი მხარე? მას ზიანი მოაქვს ერთის მხრით სულისათვის, მეორეს მხრით ხორცისათვის ე. ი. ის სულიერადაც ასნეულებს ადამიანს, ფიზიკურადაც.

განვიხილოთ, დაო ქეთო, ცალ ცალკე: როგორ მოქმედებს ანანიზმი ერთის მხრით სულზე, მეორეს მხრით სხეულზე.

ყრმა, როდესაც ანანიზმს ეჩვევა, გრძნობს, რომ უზნეო, ცუდ საქმესა სჩადის; მას რცხვენთან თავისი თავისაც და სხვებისაც, სინიღისი სტანჯავს და როდესაც ამგვარი მდგომარეობა დიდხანს გრძელდება, ყრმას ხასიათი უფუჭდება, ნერვები უსუსტდება, მორცხვი, გულ-ჩახვეული, მოწყენილი ჰხდება, საზოგადოებას გაურბის, მარტოობას ეჩვევა.

წარმოვიდგინოთ, ისეთი მაგალითი, რომ ყრმა ანანიზმსა სჩადის, მაგრამ ზნეობრივ ტანჯვას სრულიადაც არ განიცდის.

მაშასადამე ანანიზმი არ აჩენს დაღს იმის სულს!

არა, დაო ქეთო! შემცდარი აზრია.

საქმე ის არის, რომ ამგვარ შემთხვევაშიაც ყრმა საჯაროდ ხომ არა სჩადის ანანიზმს, არამედ ჩუმად, ფარულად. მაშასადამე თვისი სურვილის დასაკმაყოფილებლად ის უნდა დაიმალოს, უნდა ცდილობდეს, რომ სხვამ არ შენიშნოს, არ დაინახოს, არ გაუგოს. ამ გვარმა მუდმივმა შიშმა რომ ნერვები არ დაუსუსტოს ადამიანს, შეუძლებელია. გარდა ამისა ამგვარ პირობებშიაც ყრმა ჰკარგავს გამ-

ბედაობას, პირდაპირობას და განმარტოებას, საზოგადოების გარეშე ცხოვრებას ეჩვევა, — უხასიათო, მიუკარებელი ხდება. ანაინში ახალგაზრდას სხეულს უსუსტებს, ჯან-ღონეს აცლის, აუძლოურებს, აძაბუნებს, სისხლს უშრობს, მესხიერებას უკარგავს, გონებას უჩლოუნგებს, — ახალგაზრდას სხეული და გონება აღარ უვითარდება და ის რჩება ჩამომხმარი და გამოფიტული ხორციოთა და სულითა.

ერთი საშინელი შედეგი ამ სენისა ახალგაზრდა ადამიანისათვის არის სქესობრივი დაუძლოურება, რაც ავადმყოფს სასოწარკვეთილებაში აგდებს და ხშირად თავის მოკვლას აფიქრებებს.

როგორ უნდა ააცდინოს, დაო ქეთო, დედ-მამამ ამ სენს შვილები?

ამ სენს ეჩვევა უმეტესად ნება-სუსტი ახალგაზრდა. დედ-მამა უნდა სცდილობდეს, რომ ბავშვს თავიდანვე ნება და ხასიათი განუმტკიცდეს. ეს მით უფრო საჭიროა, დაო ქეთო, რომ მთავრობის სასწავლებლებში ერთი უმთავრესი ყურადღება იქითკენ არის მიქცეული, რომ ახალგაზრდაში ხასიათისა და ნების სიმტკიცე მოსპონ და ის მონად გადააქციონ.

აბა დაუკვირდი ჩვენს ოჯახებს, დაო ქეთო! ყოველთვის, როდესაც ბავშვის სურვილი დედ-მამის სურვილს ეწინააღმდეგება და წინ ელობება, დედა ან მამა თავის სურვილს გააპარჯვებინებს და ამისათვის ძალასაც კი იხმარს, თუ ეს აუცილებელი გახდა ე. ი. თუ ბავშვმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და თავისი არ დაიშალა. არც ერთი დედ-მამა ამ გვარ შემთხვევაში თავის თავს არ ეკითხება, მართალია თუ არა ბავშვი. დედ-მამის შეხედულებით ბავშვი მტყუნანია ყოველთვის, როცა ის დედ-მამის წინააღმდეგ მიდის. დედ-მამის შეხედულებით ბავშვი

იმისი ბავშვია, რომ ის ყოველისფერში დედ-მამის მორჩილი უნდა იყოს, უფროსებისა და სხვ. და სხვ.

— როგორ? შენმა ჟინმა უნდა აჯობოს ჩემს ჟინს? ზოგჯერ გამიგონია დედის სიტყვები, როცა ის შვილის მტკიცე სურვილს შებრძოლებია.

რა დიდი დანაშაულობაა, დაო ქეთო, ამგვარ შეხედულებასა და მოქმედებაში.

მე იმას არ ვამბობ, რომ ბავშვი ყოველგან და ყოველისფერში მართალი იყოს; დედ-მამამ გონივრულად უნდა იქონიოს მასზე გავლენა და ქეშმარიტ გზაზე დააყენოს; ხოლო მე მთელის ჩემის არსებით ვეწინააღმდეგები, როდესაც წარამარა ებრძვიან ბავშვის ჯიუტობას, იმის ხასიათის თავისებურობას.

ბავშვი თავისი ჯიუტობით, თავისი ეწინააღმდეგობით იცავს თავის მეს, თავის პიროვნებას, თავის ნებას. ამ გზით ის თავის ხასიათს ამტკიცებს, ნებას ავარჯიშებს და აძლიერებს, თავის არსებაში მონას ებრძვის და თავისუფალ პიროვნებას იცავს ინსტინქტიურად, შეუგნებლად.

გონივრულად უნდა მიჰყვეთ, დაო ქეთო, ბავშვს ამ გზაზე. ფრთხილად, ნაზად მოეკიდოთ მას, ტლანქად არ უნდა შეეხოთ ბავშვის თავისუფალის, დამოუკიდებელი ნების ყოველ გამოხატულებას და ამ საშუალებით მასში აღზრდით ძლიერ პიროვნებას, რომელიც ყმაწვილობის ცოდვას ან არ იგემებს და თუ იგემა, მაღლე მიანებებს თავს.

ხასიათისა და ნების სიმტკიცეს დიდი კავშირი აქვს სხეულის სიმტკიცესთან. თუ სხეული დაძაბუნებულია, ხშირად ნებაც სუსტია.

ამიტომ დედმამა ვალდებულია, ერთი უმთავრესი ყურადღება ბავშვების ჯანმრთელობას მიაქციოს. ამისათვის საკუ-

თარო ექიმის ყოლა კი არ არის საჭირო, არამედ მთელი რიგი ისეთის ზომებისა, რომ ექიმი საჭირო აღარ იყოს.

კარგი საზღო, სუფთა ჰაერი, მზე და წყალი, აი რა არის საჭირო ბავშვების ჯანმრთელობისათვის.

ქალაქ ადგილას მცხოვრები დედამამა ჰლუპავს შვილებს, როდესაც მათ ზაფხულობით სოფლად არა ჰგზავნის და ქალაქის სიციხეში ჰხარშავს.

არ გინახავს სოფლის ბავშვი! ფეხშიშველი დარბის, მქადის ან ხმელი პურის მეთი არა ეღირსებარა და დაწითლებული ლოყები კი დახეთქაზუნდა აქვს.

ქალაქის ბავშვს კი ბევრჯერ, რა გინდა სულო და გულო, რომ არა ჰქონდეს, — მაგრამ მაინც წმინდა სანთელივით არის გამოყვითლებული.

სხეულის ჯანმრთელობისათვის მზე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ამიტომ ბავშვების ოთახი მზიანი უნდა იყოს.

წყალში ბანაობა ერთი უპირველესი პირობაა სხეულის ჯანმრთელობისათვის. ზაფხულობით საჭიროა ცივ წყალში ბანაობა ყოველდღე, ზამთრობით კი ცივწყალში დასველებული ტილოთი მთელი ტანის ზედა დილით და არა დაწოლისას.

მიუხედავად ყველა ამ ზომებისა, თუ ახალგაზრდა მაინც მიეჩნია ამ სენს, რა ღონეს უნდა მიმართოს მაშინ დედამამა?

დედამამასა და შვილებს შორის უნდა ჰსუფუვედეს მხოლოდ მეგობრული განწყობილება. ამგვარი ურთიერთობა საშუალებას აძლევს ახალგაზრდას, გულ ახდლი იყოს და გაუზიაროს მშობლებს ყოველივე, რაც მას აწუხებს და სტანჯავს. მე ვიცი ისეთი დედები, რომლებსათვისაც შვილებს გულახდილად უთქვამთ: დედა, ამგვარ სისაძაგლეს მიგვიჩვიე, ვეღარ მოვიშალე და მიშველეო.

როდესაც ახალგაზრდა სქესობრივი სიმწიფის ხანაში გადადის, დედამამამ მოვალეა, აუხსნას ერთის მხრით ის, რომ ანანიზმი ადამიანის ღირსების დამამცირებელია; მეორეს მხრით — ყველა ის ცუდი შედეგები ადამიანის ჯანმრთელობისათვის, რაც შედეგად მოსდევს ამ სენს. ახალგაზრდა არ უნდა დააფრთხო და შეაშინო შედეგების გაზვიადებით. არც უნდა დაუმალო ჭეშმარიტება. ძალიან კარგია, რომ ამ ხანაში, ახალგაზრდას წააკითხო სამეცნიერო წიგნები, საცა აწერილია შედეგები ანანიზმისა. შემოდლიან მიგიითითო მორიელ პაროსზე, რომლის წიგნი „სქესობრივი ცხოვრება“, რუსულად თარგმნილი, საუცხოვოდ არკვევს ამ კითხვას.

როდესაც ყრმა სქესობრივად მომწიფებულია, საჭიროა თუ არა, რომ ის ებრძოდოს სქესობრივ მისწრაფებას და უმანკოება დაიცვას? უმანკოების დაცვა აუცილებლად საჭიროა და ოც წლამდე ყველასათვის შესაძლებელი და სრულიად უვნებელი.

ახალგაზრდა რომ გარყენილებისაგან დავიფაროთ, ერთის მხრით საჭიროა დროზედ გავაცნოთ მას ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

დაწვრილებით ამ კითხვის გამორკვევას აქ არ გამოვუდგები, დაო ქეთო, რადგანაც ამგვარი ცოდნა საჭიროა ჩვიდმეტ თვრამეტი წლის ვაჟისათვის, რომელსაც პირდაპირ უნდა მისცეს დედამამა შესაფერი შინაარსის სახელმძღვანელო. აქედან ის გაიგებს, რომ ვენერიულ ავადმყოფობას მოსდევს ბევრნაირი უბედურება: ხერხემლის ტვინის ხმოზა, დაშბლა, სიგიჟე, და სხვ. და სხვ.

სქესობრივი წყურვილი ხშირად იმდენად ძლიერია, რომ შიშსა სძლევს და ახალგაზრდა ემორჩილება პირველს, თუ-

მცა ისიც იცის, თუ რა შედეგები მოსდევს ვენერიულ ავადმყოფობას.

მაშ ხსნა არსად ჰყოფილა! იფიქრებ შენ, დაო ქეთო! ხსნა არის და აი სად. თუ ახალგაზრდა დასვენებულია, ან ერთ ალაგას იმყოფება, ნაკლებად მოძრაობს, სქესობრივი სურვილი მას უძლიერდება. თუ ახალგაზრდა მოძრაობს, ვარჯიშობს, ფიზიკურად მუშაობს, სქესობრივი სურვილიც მას ნაკლებად აწუხებს.

ამიტომ ერთი უძლიერესი საშუალება, რომ ახალგაზრდამ თავი შეინახოს, სხეულის ვარჯიშობაა. უმთავრესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული სპორტსა და ექსკურსიებს.

ჩვენი სამშობლო პატარაა და მისი სიღებე—სიგანით დავლა ძნელი არ არის, მი-


უხედავად ამისა იმერელი ახალგაზრდა ქართლს არ იცნობს, ქართლელი კიდევ იმერეთს. მშობლებმა და მასწავლებლებმა შეერთებულის მეცადინეობით უნდა მოაწყონ ყოველ ზაფხულობით ექსკურსიები ისე, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში ყოველმა ახალგაზრდამ დაათვალიეროს ჩვენი სამშობლო.

აი, დაო ქეთო, მოკლეთ ყოველივე ის, რისი თქმაც მე შევსძელი. თუ რამე გამომრჩა, როცა გნახავ, მაშინ მომაგონებ. იმედი კი მაქვს, რომ ამ მოკლე ხანში ერთად ვიქნებიან. მანამდე კი დამიკოცნე შენი ბავშვები.

შენი ერთგული ძმა არჩილი.

„განათლებისათვის“ გადაშწერი

ივ. გომართელი.



ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

ჰიზიენა

(წერილი მეოთხე)

ტყე და მისი ჰაერი

„საქართველო მშენიერო, წინ მინდორო უკან ტყეო, ქვეყნის თვალო, სანატრელო, სამოთხევე და სიცოცხლეო“.
(ხალხ.)

თ ა ვ ი I.

მთელი ცისმარე დღე ტყის დაბნატონიაში (ქარხანაში) შეუჩერებელი მუშაობაა. ქუჩაში მზის ცეცხლი უნთია და თავის ალურადასეულ მწვანე ფოთლებით ტყე ჭეღაშავს, ჰაერიდან ითვისებს აუარებელ ნახშირმჟავა გაზს, რომელიც ადამიანისთვის და უოველ ცხოველისთვის ნამდვილი შხამია, საწამლავია. სამაგიეროდ ტყე უკანკე იქლკა, ფოთლებით

ამოქშენს ჩვენი სულის ჩამდგმელს მყავბადს *). ამათ ტყეს მეტად დიდი გაკუენა აქვს ჰაერის სიაგუარგეზე — ჰაერს სვანგებოდ ახლასებს, სწმენდს, აგრილებს და კეთილ-მეზავებულს, მყავბადით გამდიდრებულს გვაწვდას სასუნთქეად, სკკებავად. მეტადრე თუ ტყე ფიჭვნარი და ნაძვნარია, მაშინ ხო მისი ჰაე-

*) ტყის (მცენარის) მუშაობა დამეც სწარმოობს, მხოლოდ სხვა პროცესი ხდება.



რი ნამდვილი უკვდავების წყაროა. მყავდათ მდიდარ ჭკერს ფიჭვი და ხაძვი შუურევს ხელ-
 მე თავის ქერქიდან გამომდინარე ფისის
 ორთქლს; მზე მკვარს აკმეებს, სურნელებს
 აგრელებს, რომელიც საუცხოოდ აზავებს და
 ზედ მეტად სწმენდს, ახალსებს ცხოველ-
 მყოფელს ტუის ჭკერს.

* * *

ტუეს დიდი გავლენა აქვს აგრეთვე ტემ-
 პერატურაზე (სინტე-სინცივეზე), ხოლო ტემ-
 პერატურას, რასაკვირველია, ჩვენს ჯანმრთე-
 ლობაზე. ტუე ანელებს, აცხრობს სინტე-პან-
 ნაქებს და უზომო ეინვა-სინცივესაც, დღისით
 ტრიალ მინდორზე, ახლილ ადგილზე მზის
 ცეცხლის სხივებით ჭკერი საშინლად ცხელ-
 დება ზაფხულში. ტუეში-კი, მეტადრე ხეებით
 დაბურულ დაჩრდილულ ადგილებში, მშვენივ-
 რად გრილა. ხოლო ღამ-ღამეობით სრულებით
 იცვლება გარემოება—ახლილ ადგილზე, მინ-
 დორში საგრძობელად აცივდება ხელზე და
 სოკჯერ უეცრივაც და ტუეში კი თბილა.

ავიღოთ მაკალითად ორი ოთახი—ერთში
 ყოველ დღე ვახურთ ბუნარი და მერეში-
 კი დღეგამაშვებით; თუ კარი ღია არის,
 ჭკერი ამოდრავდება, ცივი და თბილი აირებს
 და ვიდრე ორივე ოთახში თანაბარი სითბო
 არ დამყარდება, ჭკერის მოძრაობა არ შეჩე-
 დება, დონეზე ვერ დადგება. ამ გვარავი
 რა ადგილასაც ტუეს შემდეგ მინდორი და
 კორდა და მინდორ შემდეგ კვლავ ტუე საზღვ-
 რავს და ამ ტუის შემდეგ კიდევ და კიდევ
 მინდორი და ტუეა, მაშინ ამ არე-მარეში ჭკე-
 რის ტემპერატურა, დღისით თუ ღამე, ტუე-
 ს და მინდორში თანაბრია (თითქმის) და არც
 ისე მავნებელი, არც ისეთი უეცარი გასხვავება
 არის აქ სინტე-სინცივეში, ღამისა და დღის
 ტემპერატურაში.—

ამ გვარევე კეთილი გავლენა აქვს ტუეს
 წყიურ ტემპერატურის ცვლილებაზე. მაკა-

ლითად, როცა ზამთარი ზაფხულისკენ გადაინ-
 რება ხელზე და აი როგორ: გაზაფხულობით
 ტუეში თვალის დნობა უფრო გვიანდება, ვიდ-
 რე ტრიალ მინდორზე. ამიტომაც ტუიან ად-
 გილებში გაზაფხული უფრო გვიან და თან-
 დათანობით მდის. ეს კი ძლიერ ხელს უწე-
 ყობს ახლად ამხეთქილ ნორჩს მცენარეულ-
 ბას და მათ ნაწილებს. კოკორი, ნეკერი, კვირ-
 ტი, ყვავილი, მხოლოდ მაშინ ხარობს და
 ვითარდება, თუ რო გამოსვლისას უეცრივ ცი-
 ვი დღეები (მეტადრე ღამის ეინვა) ადარ და-
 ატუდება. მინდვრებში კი (და ჩვენ ბაღ-ბოს-
 ტნებში) წინ.მობრედი თბილი დღეები გაზა-
 ფხულისა ჯერ გამოიტუეებს ხელზე ხეხილის,
 თუ სხვა მცენარეულობის კოკორს, ყვავილს
 და მერე კი მოულოდნელი სინცივეები და და-
 მის ეინვები კვლავ მოშუშვენ, ახმობენ ახლად
 გაღვიძებულს ნორჩს სიცოცხლეს.

* * *

ზაფხულიც ტუიან ქვეყნებში უფრო გრი-
 ლი და სარგო იცის, ვიდრე უტუეა, უდაბო,
 ხრიაკ ადგილებში, ამიტომაც თვით მცენარე-
 ულობა და ჩვენი ჭირსახული ტუეში, ტუიან
 ადგილებში უფრო ნაკლებ იღუპება გვალვი-
 სავან, ვიდრე უტუეა ადგილებში. შემოდგო-
 მობით ტუეში თბილი ჰკერი უფრო ხან-
 გრძლივ რჩება, თანდათანობით გრილდება,
 ზამთარი ტუეს ნელ-ნელა ეხარება, ერთის
 სიტუვით ტრიალ მინდორზე, უტუეა ველზე
 ეინვა-სინცივეც უეცარი იცის და სინტე პან-
 ნაქებსაც და ისიც ძრეულ ცვალებადა—დღეს
 რო ცხელა, ხვალ ცივა, ასეთი დაუდევრობა
 ჭკერის ტემპერატურისა ძრეულ მავნებელია
 ჩვენი ჯან-მრთელობისთვის. ტუეში კი ესე
 ყოველივე დრო და ვითარება ზომიერად, და-
 რბაისდურად, თანდათანობით იცვლება. ტუეში
 გიჟი მარტივ კი უძღურია—თავის ოინბაზო-
 ბით აქ ვერას განდება.

საქართველო
საქართველო

დაიდ ბატონებო, ბუნების უზარ-მზარ
ოჯახში და აგრეთვე ადამიანის ეკონომიურ
ცხოვრებაში ტუეს მეტად დიდი და წარჩი-
ნებული ადგილი უჭირავს, აუცილებელი და
ბევრ ნაირი განვლენა აქვს ეფექტულ სულდგმუ-
ლის ცხოვრებაში.

ტუით უხვ ქვეყნებში რა გინდ ცხელი გვა-
ლვიანი ზაფხული შეხვდეს, მდინარე წყლები
მანც იმდენად არ კლებულობს, არ ამოშ-
რება, როგორც უტუეო, ანუ მცირე ტუიან
ადგილებში. ამისთანა კეთილი გაჯღენა წყა-
ლთა სიმრავლეზე ტუეს მთელა წლის განმე-
მავლობაში აქვს. რადგან ტუეში მდებარე თე-
ვლი გაზაფხულობით თანდათანობით დნება,
ამიტომაც მის ახლო მდებარე მდინარე, ნაკა-
დულებიც უეცრივ არ ადიდდებიან, არ მოვარ-
დებიან ხოლმე. უტუეო ადგილებში კი თე-
ვლიც ერთბაშად დნება და მდინარეებმაც უეც-
რივ იციან ადიდება, მოვარდნა, რისგამოც
აზვიადებულ, კალაპოტიდან გადმოვარდნილ
მდინარეებს გაზაფხულობით დიდი ზარალი
მოაქვსთ—წალკაკვენ ხოლმე სოფლებს და ჩა-
ამაკვენ, ნაჭირნახულევს მინდვრებს.

მეორეც ეს—როცა დიდი წვიმები, დაჟინე-
ბული თავსხმა, ტუესთან მდებარე მდინარეები
ისე უეცრივ არ ადიდდებიან ხოლმე, როგორც
უტუეო მთას და ბარში. ეს ადვილი ასახსნე-
ლია: ტუის ზედა პირი სქლად დაფარულია
ხვერდვიით მწვანე ხავსით, ფოთლებით, გა-
ბმულია მცენარეულობით და მათი ძირ-ფესვე-
ბით. ამისთანა ზედაცი, როგორც სხმარი
ღრუბელი*), ისე ხარბად შეისვამს ხოლმე
დიდ ძალს წვიმის წყალს. მხოლოდ მერე
რაც მოსჭარბდება თანდათანობით იწკრიტება,
ხადის დეკეებში. ტუის ზედაცის საკუჭნაო-
ში ამ გვარად შენახული წყალი, გამოდარები-
სას, ზოგი ისევე ორთქლდება, ჭკერში იფან-

ტება, ხოლო მეტი ნაწილი ტუის ზღვანე
ინარჯება. თანაც ტუის ქვეშ გამომდინარე
მრავალ წყაროებსაც ჭკუებავს, სთავს უხვავს,
სთავს აძლევს ზატარა წყარო—ჩაკადულებს,
რომელნიც მდინარეებს ემატებიან, წყალს
უმრავლებენ, არ აკლებენ.

ახლა რა ხდება უტუეო ქვეყნებში დიდს
და ხანგრძლივი წვიმების დროს. უეცრივ მო-
ვარდება, ტიტუელა მთებიდან წამოვა ნიაღვა-
რი, მთის ფერდო-კალთებიდან სრულებით
ხმორეცხავს არამც თუ ჭკუელს, თვით ნო-
ეიერ ზედაცს ჩამოთევს, ხეში ჩაიტანს ხო-
ლმე. გზა და გზა წალკაკვენს ეხებენ, გენახებს,
ბაღ-ბოსტანს, სათბ-სადოვრებს და სხვა. ზაფ-
ხულობით რამდენჯერ გვიანხავს—გუშინდელი
გამშრალი ხევი დიდ წვიმობას უეცრივ მო-
ვარდება, ხიდებს, ბოკირებს მთიტაცებს, გა-
ლაპოტში ვეღარ თავსდება, გადმოვარდება
და ეგვლათერს რომ წალკაკვენს-წამოლკაკვენს, მე-
რე კი, როგორც უცბად იფეთქა, უცბადვე გა-
შრება ხოლმე. ესე ეგვლათერი იქ ხდება, რა
ქვეყნაშიაც ტუის უდიდესად. უწესრიგოდ, უგუ-
ნურად ჩეხავენ და ახადგურებენ, მთებს ატიტ-
ვლებენ.

* * *

რამდენ გვარ სიკეთეს გვმატებს ტუე, ამა-
ზედ მთელი წიკნები დაიწერება და აქ კი
ეგვლათერის ჩამოთვლა, რასაკვირველია, ძნელია.
ტუე, მაკალითად, აფერხებს და ძალზე ასუ-
სტებს ქარის და ქარიშხლის სიძრიელეს.
ტუიან ქვეყნებში და მეტადრე ტუეში იშვი-
ათია ქარიშხალი, გრიგალი და ქარ-ტუილი,
რომელთაც ზოგჯერ დიდი ზარალი მოაქვთ—
ახადგურებენ, ანგრევენ შენობებს, სახლებს,
ჭკლეკვენ ხეხილებს და სხვ. ამ გვართვე
დიდი ქარ ბუქი ზამთრობით მხოლოდ უტუეო
და ტრიალ მინდვრებში იცის, ხოლო სხვან
ტუეს, იქ თოვლ-ბუქი და ნამქერი მეტად იშ-
ვიათია.

*) წინადადება შემომამქეს სახმარ ღრუბელს
(Гүнка) პირდაპირ ლათინური სახელი სპონგია
(Spongia) უწოდოთ, აქ სათაკილო არაფერია.



ქართული ენის ენციკლოპედია

ელვა, ჭეჭა—ქუხილი, მეხი და ცის ელვა-
 ლივე რისხვა ტუეში და მის არე-მარეში შე-
 იძლება ნაკლები მოფლენაც არ იყოს, მაგრამ
 ისეთი მწვავე ხასიათი და გამანადგურებელი
 ძალა კი აღარა აქვთ. ტუეში მდელი ხეები,
 ნოტიოთი გაყდენთიღნი, თავის კინწეროთი
 ღრუბლებს რა ებჯინებოან, თითქოს საგანგე-
 ბოდ მეხის ასაცდენ იარაღათ, საშუალებად
 ხდებიან, ან მეხს მიწაში ჩაატარებენ, ან და
 მეხის სიმკაცრეს ახელებენ, ელექტრონის გა-
 ძლიერება—განვითარებას აფერხებენ. იგივე
 ითქმის სეტუვის შესახებაც. ტუიან ქვეყნებში
 ისე არ ანადგურებს ჭირნახულს სეტუგა, რა-
 გორც უტუეო ადგილებში დარეგავის ხოლმე.
 მეცნიერებაში აღნიშნულია რამდენიმე ფაქტი
 თუ მოფლენა: იქ, სადაც ატუხილი ტუე იყო,
 გაუგალი ტუერი, სეტუვაც ნაკლებ იტოდა და
 ისიც სუსტად, ხოლო, რაცა ტუე განხესს,
 ამოკვდეს, მას მერე სეტუვამაც მოუხშირა და
 ისეთი დიდრწი მიდრდა, რომ ყველაფერი
 იღუპებოდა. მაგრამ, რაცა აქვე ტუე კვლავ
 თავის თავად გაშენდა, გაიზარდა, სეტუვის
 რისხვასაც ხალხი გადაურჩა. —

იმის თქმა მგონი აქ შეტია, რამდენად
 საჭიროა ჩვენთვის ტუე ჩვენი ცხოვრებისათვის,
 ჩვენი ოჯახისთვის, თუ არ ტუე საიდან-და
 მოკვივა შეშა-ფიხი, ხე-ტუე შენობებისთვის
 და სხვა მასალაც შინაურ ყოველ გვარ ავეჯე-
 ულობის და ჭურჭლის მოსამზადებლად, თუ
 არ ხე, საიდან გვექნებოდა ურემი, გუთანა,
 ნავი, ხომალდი და ათასი რამ სხვა, თუ არა
 და ხეხილი საიდან არი, თუ არ ტუიდან ბა-
 მონერგილი და ჩვენს ბაღებში აღზრდილი.
 ეს ყოველივე საანბნარ ჭეშმარიტებას,

თავი მეორე II

ზროფესორმა ებერმაიერმა *) შესანიშნავი

*1 ერნესტო—ვილჰელმი ებერმაიერი ცნობილი ხიმიაოსი და მეტეოროლოგი დაიბადა 1829 წ.

მოსხეება წრედენა ვენაში მომხდარს სერ-
 თოშორისო სამეცნიერო კონგრესზე, სადაც
 მრავალ ნაცდა მაკალითებით და მეცნიერულ
 მრავალ ნაირ გამოკვლეოთ დაამტკიცა ტუის
 და მისი ჭეჭის დიადი ჭიგიენური მნიშვნე-
 ლობა. მას მერე მეცნიერებმა ჯეროვანი ეუ-
 რადლება მიაქციეს ტუეს და მის ჭეჭს, კვლე-
 ვა ძიებით, გამოცდილებით ახლა ყველა და-
 რწმუნდა, რომ ტუის ჭეჭი იმდენათვე სუფ-
 თას, რამდენათაც ზღვის და მთის ჭეჭი.
 ტუეში ვერ ჭეჭებოთ ვერავითარ მავნებელ
 გასს, ოხშივარს და ვერც მიწიდან აღნიღ
 იმ შესამიან ორთქლს და მურად სუხს, რა-
 მელთაც უეჭვლად შეხვდებოთ დიდ ქალაქე-
 ბის, ანუ მჭიდროდ დასახლებულ დაბა — სოფ-
 ლების ჭეჭში.

მოგესხეებათ, რომ ქალაქებში უწმინდე-
 რობით გაყდენთიღ ნიდაგს (სადაც ცხოველ-
 თა ნაწილები, მათი მძორი, აღამიანის განა-
 ვალი და ჯღანები ნაკავთან შერეული იხრწი-
 ბა) ომხივარი ასდის და საშინლად იშხამება
 ჭეჭი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ. ახლა
 ამას მიუმატოთ დიდ ქალაქებში ფაბრიკების
 ქურები, საიდანაც მრავლად აღის ქვანახშირის
 ბოლი—ხრჩის და მურავს ჭეჭს და მიელს
 მიდამოს. ყველა ამ სისასტაგელსთან მოაგო-
 ნეთ ახლა ქურების მტვერიც და მაშინ, უეჭ-

პროფესორობდა 1858 წლიდან აშფენბურგის
 ტყეთა აკადემიაში, კითხულობდა ლექციებს ქი-
 მიიდან და აგრანომიიდან. ხოლო 1878 წლიდან
 მიუნხენის უნივერსიტეტში დაიკავა სამი კაფედრა:
 აგრონომიულ ქიმიისა, ზედაგის ცოდნისა და მე-
 ტეოროლოგიისა. ამ მეცნიერს ეკუთვნის ინიცია-
 ტივა, თაონობა: 1866 წ. მოწყობა ბავარიის
 ტყეებში საცდელ სადგურებისა- ამ სადგურების
 მიზანია თვალ-ყური აღევნოს მეტეოროლოგიურ
 მოვლენათა და თან შესისწავლონ ჰავა ამ ტყეთა
 არემარისა. ებერმაიერის მეცნიერული შრომა რა-
 მდენიმე დიდრონ ტომებად არის გამოცემული.
 უმთავრესად ტყე და მისი ვითარებაა გამოკვლე-
 ული და აღწერილი.

ველია ეველა ჩვენგანი დააფასებს ტყის წმინდა ჭკერს.

გარდა იმისა, რომ ტყეში ჭკერი უმწიკველად და უბიწოა, თვითონ ამწვანებულ ტყეს და მისს თვალთ წარმტაცს, მშვენიერ ფერადებით დახატულს სურათს, განსაკუთრებული სიმკურნალო განვლენა აქვს ადამიანის მთლიელ კანზე, მის სულზე და ხორცზე. დიდი უბირატესობა ტყის ჭკერისა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ტყის ნიადაგში ჭირის ბაქტერიებმა ვერ იბოგინეს, ვერ მოახერხეს ცხოვრება 1) სწორედ ამ მხრივ ტყის ჭკერი ძირიელ ემსგავსება ზღვის და მთის ჭკერს.

ტყესაც, რასაკვირველია, დიდი განსხვავება აქვს, სპეცე იმაშია, რა მდებარეობა აქვს ტყეს და რა ჯიშის ხე და ბუჩქი ხარობს, იზდება. ჯანმრთელობისთვის საუკეთესოა, როცა ტყე შედარებით მაღლობ ადგილზეა, მზის გული და ზვარია, როცა ტყეს მთელი დღე მზე თავს დასტრიალებს. ამასთანავე არ უნდა იცოდეს აქ ქარი და თავმომაბეზრებელი ქარიშხალი. ეველა ამ პირობებთან თუ რომ ტყე ფიჭვნარია ან გინდ ნაძვნარი 2) უკეთესი ადარ შეიძლება — ჯანმრთელობის სამოთხე იქნება. ერთი მოთხოვნილებაა აქვს ჭიგეინას: ტყე უნდა მდებარეობდეს არა უმეტეს ოთხი ათას (4000) ფუტის სიმაღლეზე შავი ზღვის თარხოსთან შედარებით.

დიად, ტყეც არის და ტყეც. არჩევა და გარჩევა უნდა, მაგალითად გურია-სამეგრელოს ტყეები მეტი ნაწილი ჩავარდნილ, ნოტიო და ჭაობიან, ჭანჭრობ ადგილებში ატენილან და ისე არიან გაბმული და გამობმული ფთალოთი, დიჭით, უსურვანებით, ბუერა-ხადუნათი, რომ კაცი ვერცკი გაატანს და ვერც თუ მზის სხივები ასწრობენ გააშრონ ტყის გული 3) ან რა მაქნისია ჯანმრთელობისთვის

კახეთის გაღმა-მხარი (აღასან გაღმა) ტყეები უალი და სხვა ნოტიო ტყეები.

როინის ხეობაში ქუთაისის ზევით ეველგან კარგია, თუ რომ ჩავარდნილი ადგილი არ არის. მხოლოდ ეს არის, რომ ამ ხეობაში ფიჭვის ხეს შეხვდებით მხოლოდ სოფ. ზვარეთიდან დაწყებული. მახსოვს სულ ხუთი თუ შვიდი ხე დაფთვალე ონისკენ რომ მივდიოდი. უწერა კარგი საგარაკო ადგილია. სიმკურნალო წყალს კარდა რომინის აუცილება მამისონის გადასვლისკენ მშვენიერი ადგილებია.

ახლა თუნდა ავიდეთ, განთქმული ბორჯომში ფიჭვნარ და ნაძვნართ შექმნილი. კიტრის ფასად არა დირს მისი „დაჩეობ“, რომელნიც მდებარეობენ მტკვრის მარჯვენის დაბლობში, ჩრდილოეთში — ასე „ბორჯომის“ სასტუმროს აუცილება, მთლად ეს უბანი ნოტიოთი არის გაუდენთილი და ჯანმრთელობისთვის დიდად მავნებელი. ბორჯომში საუკეთესო და სად ადგილებად ჩითვლება მადალ გორასზე გაშენებული სახლები — ეკლესიის გარშემო და ზემოდ, ვარანტოვის პარკი, იმის ზემოდ *) მთლად ის ადგილი, სადაც დიდ მთავარს გიორგის განზრახვა ჭქონდა „სასახლე აქმენებისა. კარგია აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირის გყოლება და მეტადრე ახალი „დვორეცი“ ლიკანში, ნამდვილი ჯანმრთელობის სამოთხეა. მეტად კარგი საგარაკო ადგილია აბასთუმანი თავის ფიჭვნარ ტუთ, რადგან მთელი დღე მზე დასტრიალებს, ჩრდილოეთი არა აქვს და თანაც ქარი სრულეებით არ იცის, მოფარებულია აყუდებული მთებით, ერთი წუნი ისა სძეკს, რომ გადასახედი არა აქვს, მთელი დღე ერთსა და იმავე ცის ნაკლეჯს გუმბათს შესტქერი და ხარ.

*) ვარანტოვის პარკის ზემოდ, აღმოსავლეთი-სკენ რომ წახვალთ, აქედან გადაზხედავთ მეტად მდიდარ ოცნებით დასურათ-ხატებულს ხეობას, სადაც მდინარის ნაპირზედ (მარცხნივ) ბაკურიანის რკინის გზა ახდევს, მატარებელი მოიკლავნება ვიწრო ლიანდავით.

1) რაიც დამტკიცა იმავე გამოჩენილმა მეცნიერმა ებერმანიერმა.
2) ფიჭვნარი ბევრად სჯობს ნაძვნარს.
3) გურიაში ნაქებია საგარაკო მთა ბანმარო.



ჩემის ახრით შთქლს ქართლში, სადაც კი ტუე მადლობ ადგილზეა და მზის გულისა და მეტადრე თუ ფიჭვნარინი არის, მართლაც რომ სამკურნალო და ჯანმრთელობის აღმადგენელი კურორტებია. ბორჯომს ქვევით მშვენიერებაა ქვიშხეთი, ზეკარები და სურამი. ქვევით კი მთლად მტკვრის ხეობა სრულებით არ ვარცა, რადგან განუწვევებელია ქრის, ხოლო იმ ხეობებში, რომელნიც მტკვარს მ.რ. ჯგნივ ერთვან, შიგნით შიგან იმისთანა მშვენიერ სასაგარაკო ადგილებს იძლეოთ, რომ რაღა ბორჯომი და ახასთუმანი, მიბრძნდით, ნახეთ ქარელს ზევით ძამის ხეობა, მერე სვრის ხეობა, ატენის ხეობა და სხვ.

თავის თავისებით, როგორც ვსთქვით, ტუის ჰუერი ახლან არის ზღვის ჰუერთან, ზღვის ჰუერიც შესანიშნავად სუფთაა, აზონი ბლამად ურევია, სინოტიე ჰუერს მეტი აქვს, თანაბარი ტემპერატურისა და სასიამოვნოდ გრილია; ზაფხულდობით ზღვის ჰუერს წუნიც სძევს: ტუის ჰუერზე მეტს სინოტიეს შვირავს, თანაც მარილთა ნაწილები (ხაშურის ორთქლი) ბლამად ურევია და ქარინც ხო უფრო ძრელი იცის. მაგრამ სხვას ეგელაფერს თავი დავანებოთ, მარტოდ და მხოლოდ თვალუწვდელელ მშვიდობიან ზღვის სივრცის ნ. სვარათაც უნდა დინს! ბევრს უეჭველად იითონვე გამოვიცდია ის ალტაცება, კალმით აუწერელი სიამოვნება, როცა მშვიდობიან ზღვაზე მიცურაობ! - ძინს მხოლოდ ლურჯს სტიქიონს განსტქერი და მადლა კი ლაჟვარდ ცის უსაზღვრო კამარს. ამ დროს თუ დილა ადრიან ზღვის წიადიდან მხემც ამაშუქა, უერი ამჰვეა, მაშინ ხო სურათი მეტად დიდებულია, თვალ წარმტაცია. აკერ ამომავალ მზის ცეცხლის სხივებმა ლურჯ მობიანი სივრცეზე გაიფლავა, გაინავარდეს, ზღვის ზვირთებს ეტკუნენ, ახითეს, ააზრიალეს. თანაც ასდევენ, ჩანდევენ, აკერ, აკერ ზვირთებიც ოქროს სხავებსა ადუნსით არხევენ,

არწვევენ, ფერად-ფერად ამტკუნენ, ამხვრევენ, ლეწაკენ, უფსკრულს სწახაქვენ, თან ჩაჰვეებიან, ჩადუზვენ!.. კელავ სერათი არ იშლება, ვიდრე მზე ხომალდის სიმადლეს, ანძების წვერს არ უწევს. ამ სწახაობით კაცი ისე იხიბლება, რომ სამუდამოდ სულიც გაკურნება და ხორციც. *)

შესანიშნავია აგრეთვე შემდეგი მოვლენა: ტუის გარშემო კორდებზე, ახლად მდებარე მინდვრებზე და აგრეთვე ტუის მადალ სართულზე, ხეების მადლა ზედ კინწორზე, ჰუერი მეტად მდიდარია აზონით (დაუურსებულ მყავბადით.) ითოთ ტუეში კი აზონი ნაკლებად აღმოჩნდა, რადგან ჩამოცვივებულ ფოთლების დაწვაზე (დაღობაზე) იხარჯება. — მაშასადამე ტუის გარშემო ცხოვრებაც მეტად სასარგებლოა, რადგან თქვენს ჰუერს აზონიც ურევია.

აზონით ჭარბი ჰუერი კი ზოგიერთა ავადმყოფობისთვის უებარი წამალია. სწორედ აზონს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ხერვებით დასუსტებულნი ავადმყოფნი საუცხოოდ გამოკეთდებიან ხოლმე — ჯანი უმაგრდებოთ და ახალის ძალით შეუდგებიან ხოლმე ცხოვრებაში ბრძოლას.

სუფთა და საღი ჰუერი თუ გინდ უებარ წამლად არ ჩავთვალთ, ის ხო სრული ტუეშარიტებია, რომ უბიწო ჰუერის სუნთქვით ჩუნი სისხლი და ხორცი იწმინდება, ხალსდება, მაგრდება, ეუათი ეძლევა. წმინდა ჰუერის მნიშვნელობას უფრო ადვილად შევიგნებთ, როცა გავიხსენებთ, რომ ჰასაკოვან ადამიანს დღე-ღამეში (24 საათში) სუნთქვით შეაქვს თავის სხეულში ცხრაათსი (9000) ლიტრი ჰუერი, ანუ 1,800 ლიტრი მყავბადი... ამოღენი მყავბადის მეოთხედი ნაწილი იხარჯება

*) ამ სურათით მე თითონ ვისიამოვნე მაისის დილას ფეოლოსიიდან ბათუმისკენ მომავალ გემიდან.

სუნთქვის ზრცესზე, საიდანაც შედის ჩვენს სისხლში, საუურადღებოა, რომ დამე ძილის დროს, სისხლის გუნდებს, სორსლებს, წაერთმევა ხელმე თითქმის აშენივე მუაზბადი, რაიცა ინარჯება სხეულიდან გამონადეხ მავნებელ ნივთიერებათა დაწვაზე და მოლაღუელ ჯანის აღსადგენათაც.

გვითქვამს და გავიმეორებთ, რომ კარგ ჭყერში ცხოვრება, წმინდა ჭყერით სუნთქვა (მეტადრე თუ აზონიტ ურეკია), ისევე საჭიროა ჯანმრთელობისთვის, როგორც კარგი და სარგო საჭმლით კვება—საზრდოება, კარგი სადი წყლის სმა და კარგი მიშალი და ნათელ მიზან ოთახში ცხოვრება.

უკელა იმ უზირატესობასთან, რომელნიც ზემოდ აღვნიშნეთ, ტუეს სხვაფორივაცა აქვს დიდი სანიტარული მნიშვნელობა. სახელდობრ, ავღოთ ტუეში მეოფი მიწის ნიადაგი ანუ უკეთ რე ვსთქვათ, ზეადაგი. ცოცხალ ხეთა, ბაღას—ბუქჩნარათა და სხვა მცენარეულობათა ერთად ცხოვრების გამე, გინსაკუთრებულ თვისებებს იქნის ტუეს ზეადაგი, რაიც ჭიგიეხის მხრივ დიდად საუურადღებოა.

დღეს უკვე საკმაოდ არიან კამეკვლეული და შესწავლეული ჩეხნი თვალთ უხილავნი მტურნი, ჭირის ბაქტერიას-ბაცილები. ვიცით, უფრო რა ზირობებში ფუფუნებენ, ხარობენ და მრავლდებიან, რა უეკართ და რა სწეინთ. იმავე ზროფესრმა ებერმეიერმა ქიმიურად გამოკვლია ტუეში ნიადაგის ზედა ზირი, ზეადაგი და აღმოჩინა, რომ ტუეს ზეადაგი სრულებით ხელს არ უწყობს ბაქტერიების აღმოჩენება—გამრავლებას. ტუეს ზეადაგი შესდგება განსაკუთრებით მცენარეთა ორგანიულ ნივთიერებათაგან და ძრიელ ცოტა ურევის აზოტი, ფოსფორის მუავა და კალიუმის მარილები, ამ გვარ თვისების ზეადაგში კი უწყრილმასესი, თვალთ უხილავი (მიკროსკოპიული) ორგანიზმები და ის ჩეხნი სუღთა მხუთავნი, ჭირის მხამის მატარებელნი ბაქ-

ტერია—ბაცილები ვერა ზოულობენ თავისთვის საზრდო-საკვებს ტუეს ზეადაგში.

აქედგან მეცნიერები იმ დასკვნას დადგენენ, რომ ქალაქებს და სოფლებში, როცა ნაკვი და უწმინდურება მხოლოთ მცენარეულობის ნაწილებისაგან შესდგება, (თივა, ხის ხაფოტი, ჭილის ხაგლეჯი და სხვ.), ეს კიდეც დიდს საჭირო-ბოროტო საქმეს არ შეადგენს. თუ მართალს მათქმევიებთ, არც თუ ფრინულის სკინტი, საქობლის ნეხვია სსშიშო, მავრამ სულ სხვაა, როცა უწმინდურებას შეადგენს ხორცის მკვამელ ცხოველების განავალი (აღამინი, ძაღლი, კატა და უველა მხეტი), ძაღლის, კატის და უველა ცხოველთა მძორი და სხვ. და სხვ...

საქართველში სოფლების მეტი ნაწილი მადლობ ადგილებზე, ტუეს ზირად ან ტუეში არის გაშენებული. დიდ წვიმობას ადვილად ირეცხებიან. ძრიელ ადვილათაც შეიძლება ამ გვარ სოფლების სუფთად, ჭიგიეხურად შენახვა, მხოლოდ საჭიროა მცოდნემ აუხსნას ხალხს, რაშიაიც არის საქმის ვითარება. ახლაც კი მთელი სოფლის ქუჩები და ორდობები საშინლად არიან დასაგვიანებულნი და ძრიელ ხშირად მთელი სოფელი ჭყარს ძაღლის ანუ კატის მძორით. შიქტიეთ ჯეროფასი უურადღება სოფლებს, გაუფხობესეთ მისი სანიტარული, ჭიგიეხური ზირობები და მაშინ მერწმუნეთ, რომ თვითიული სოფელი, სადაც კი ციებ-ცხელება არ იცის, ნამდვილი სანიტარიუმი გახდება. ის ხარჯი და შრომა, რაც სოფელს დასჭირდება მძორის შორს გასატანად და მიწაში ჩასამარხად, ქუჩების ნაკვის მინდორში ჰსტივად მოსაყრელად, უკელა ეს ხარჯი ერთი ათად ან ზედაურდება—ჯანი ჯანად შეკრებათ და ქალაქელები სიამოვნებოთ იცხოვრებენ ზაფხულდობით სუფთა სოფლებში, სოფელს გამორჩენა ექნება—ოთახს გააქირავებს, სანოვაცეს, ხილს მიჭვიდის და სხვ.

ილ. ალხაზიშვილი
(შემდეგი იქნება)

ვეფხისტყაოსნის შედგენილობა

I.

ყოველი ძველი ლიტერატურული ნაწარმოები, მეტადრე იმ დროისა, როდესაც სტამბა არ იყო, დროთა გამავლობაში განიცდიდა სხვა და სხვა გვარს ცვლილებას. იმის მიხედვით, თუ რა გარემოებებში ინახებოდა და გადადიოდა ნაწარმოები ერთის საუკუნითგან მეორეში, იგი იცვლებოდა ლექსიკონის, ტექსტის და შედგენილობის მხრით. მიზეზები და გარემოებანი, რომელნიც იწვევდნენ რომელსამე ნაწარმოებში ცვლილებას, ბევრნაირი იყო.

ცნობილია, რომ საუკუნოების გამავლობაში ზოგიერთი სიტყვები უხმარებელნი ხდებოდნენ და ძველს ნაწერებში ხმარებულნი გაუგებარნი შეიქნებოდნენ ხოლმე მკითხველისათვის. ამისთანა შემთხვევაში ხშირად მწიგნობრები ასწორებდნენ გაუგებარს სიტყვებს და გასწორების დროს ბევრჯერ სრულებით სხვა მნიშვნელობის სიტყვით სცვლიდნენ. ერთის სიტყვის სხვა სიტყვით შეცვლა გამოიწვევდა ხოლმე წინადადებაში სხვა სიტყვების შეცვლასაც აზრის დასაცავად.

ხშირად რომელიმე აზრი ან სურათი, ძველის ავტორისგან გამოხატული, შემდეგის დროის მწიგნობართ არ ეჩვენებოდათ სრულად და დამთავრებულად და ამიტომ ისინი თითონ დაამთავრებდნენ ხოლმე.

მოხდებოდა ისიც, რომ ამბის მოთხრობაში მწიგნობარნი რომლისამე წვრილმა-

ნის გარემოების დანაკლისს ჰპოვებდნენ და ამიტომ ამბის შესავსებად თითონ სთხზავდნენ დაკლებულს გარემოებას და ჩაურთავდნენ ძველს თხზულებაში.

ასე იქცევოდნენ მწიგნობრები, დარწმუნებულნი, რომ კარგს საქმეს ჩადიოდნენ, რადგან უწინდელს დროში არც ავტორს, არც მკითხველს საზოგადოდ არ ჰქონდა მიჩნეული ხელშეუხებლად ლიტერატურულის საკუთრების უფლება. ხშირად თვით ავტორი სწერდა ხოლმე თავის ნაშრომის ბოლოს: ეს დამიწერია და, რაშიც შემცდარი ვიყვე, თქვენ გაასწორეთო.

ხანდახან მოხდებოდა ხოლმე, რომ ხელთნაწერს რომელიმე ალაგი დააკლდებოდა რამე მიზეზით. ამ ადგილს ფურცლები ან ამოვარდებოდა, ან დაიხვევდა და ან დაიწვევებოდა და ამნაირად თხზულება ნაკლიანი შეიქნებოდა. მართალია, ერთს ხელთნაწერს თუ დააკლდებოდა, მეორე ხელთნაწერიდან გადაწერით შეავსებდნენ ხოლმე ნაკლს, მეტადრე მაშინ, როცა თხზულება ძალიან გავრცელებული იყო, მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში შესაძლებელი ხდებოდა, რომ ნაკლი შეუფსებელი დარჩენილიყო და შემდეგს საუკუნეებს სწორედ ეს ნაკლული ხელთნაწერი გადასცემოდა, უნაკლოლონი კი მოსპობილიყვნენ. აი ამ ნაკლის შევსებას შემდეგში რომელიმე მწიგნობარი იკისრებდა ხოლმე და თავის ფანტაზიით ან გარდმოცემის მიხედვით თხზავდა ვითომ იმას, რაც თხზულებას აკლდა.

ხშირად მწიგნობარი, რომელისამე ძველის ნაწარმოებით მოხიბლული, დაინტერესდებოდა ხოლმე იმ ამბებიჟაც, რომელნიც უნდა მომხდარიყვენ ავტორისგან აწერილის ამბების შემდეგ. ამიტომ იღებდა იგი კალამს და თავის ფანტაზიის დახმარებით თხზავდა ამ ამბებს და ურთავდა სხვის ნაწარმოებს.

ამას გარდა ხშირად მწიგნობრები ნებას აძლევდნ თავიანთ თავს სხვის თხზულების ხელთნაწერის არშიებზე ან თავსა და ბოლოში თავიანთ შენიშვნა მიეწერათ, ან პირდაპირ თავიანთ ნაწარმოები მოეთავსებინათ. შემდეგში ამ ხელთნაწერის გადამწერნი არშიებზე მიწერილებს შიგ ტექსტში მოაქცევდნ ხოლმე, ხოლო თავსა და ბოლოში დართულს სხვის ნაწარმოებს იმნაირად მოათავსებდნ, თითქოს იმავე ავტორისანი ყოფილიყვენ, ვისაც ეკუთნოდა დანარჩენი თხზულება.

ბოლოს იყო ხოლმე იმისთანა შემთხვევაც, როდესაც რომელიმე მწიგნობარი თავის ნათხზავს ურთავდა სხვის ნაწერს ავტორის სახელით, შეიძლება სრულებით გულუბრყვილო განძრახვით, გადაეცა მკითხველებისთვის ის ცნობები, რომელნიც ჭეშმარიტებად მიიჩნდა.

ამნაირად ძველად ლიტერატურული ნაწარმოები იმისთანავე ცვლილებას განიცდიდა, როგორსაც სახალხო ზეპირი ნაწარმოები, რომელშიაც ყველა შემდეგის დროის მოღექსეს და მოამბეს შეჰქონდა თავისი წვლილი, რის გამოც იგი ისე იცვლებოდა, რომ ახლა ძალიან ძნელია აღდგენილ იქნას მისი პირვანდელი სახე.

ასეთი ბედი უნდა სწევოდა ჩვენს „ვეფხისტყაოსანსაც“, რომელიც ხელთნაწერი ვრცელდებოდა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. იმის გამოსარკვევად, თუ

რა ჩამატებია ან დართვია მას ~~დასადა~~ გენად პირვანდელის მის სახისა საჭიროა ამ ნაშთის ყოველმხრივი შესწავლა და გარჩევა. სამწუხაროდ, დიდი ხანი არ არის, რაც ამ საქმეს შეუდგნენ მკვლევარნი. კრიტიკული განხილვა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა იმ მხრით, თუ რომელი ადგილები არიან ყალბნი და არ ეკუთვნიან ავტორს, სცადა პირველად ბ-ნმა ალ. სარაჯიშვილმა, რომელმაც ყალბებად აღიარა კარგა დიდი რიცხვი ტაბეებისა. მისი ნამუშავარი დღევანდლამდე მთლიანად აღარავის შეუმოწმებია და მისი ნათქვამი თითქმის უკანასკნელი სიტყვაა კრიტიკისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რაც წინასიტყვაობის და ბოლოსიტყვაობის შესახებ სარაჯიშვილის შემდეგ გამოვთქვით ჯერ ჩვენ და შემდეგ აკადემიკოსმა მარმა.

II

ახლა ჩვენი განძრახვა არის, განვიხილოთ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ის წარმოგვიდგება ხელთნაწერებში, შედგენილობის მხრით და გამოვარკვიოთ, თუ რა არის პირვანდელი მისი სხეული და რა მიმატებია ან დართვია მას საუკუნეების გამავლობაში.

სულ ძველი რიცხვდასმული ხელთნაწერი, რომელიც დღემდე ცნობილია, არის 1646 წ. გადაწერილი, ამას გარდა არიან კიდევ ხელთნაწერები მეჩვიდმეტე საუკუნისავე, გადაწერილნი 1671, 1681 და 1688 წლებში. ამათგან 1646, 1671 და 1681 წ. ხელნაწერები ეკუთვნიან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, 1688 წლისა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთსაცავს. ამ რიცხვდასმულთ ხელთნაწერთ გარდა მოიპოვება კიდევ რავდენიმე რიცხვ-




დაუსმელი ხელთნაწერი მეჩვიდმეტისავე საუკუნისა როგორც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში (№ 461), ისე წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნთსაცავში (№№ 4499 და 5006). ამ ხელთნაწერებისა და ვახტანგ მეფის გამოცემის შესწავლაზე იქნება დამყარებული ჩვენი დღევანდელი გამოკვლევა.

რადგანაც ვახტანგის შესახებ ამ უკანასკნელს ხანში გამოითქვა აზრი, ვითომ იგი იყვეს დამახინჯებული და შემოკლებული და ამიტომ მას გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებს, საჭიროდ ვთვლით შევჩერდეთ მის განხილვაზედ ცოტაოდენს ხანს, რომ ცხად ვყოთ მისი ღირსება და მნიშვნელობა.

იბადება ორი კითხვა: 1) როგორი უნდა ყოფილიყო ის დედანი, რომელიც ვახტანგ მეფემ დააბეჭდინა თავის სტამბაში 1712 წ. და 2) შეიტანა თუ არა მან რამე შესწორება და ცვლილება დედანთან შედარებით თავის გამოცემაში. პირველს კითხვაზე შეუძლებელია ორის პასუხის მიცემა. ყოველს ექვს გარეშეა, რომ დედანი, რომლის დაბეჭდვაც ვახტანგმა მოინდომა, იქნებოდა საუკეთესო მის დროში. რა საფიქრებელია, რომ ქვეყნის გამგეს, ჰკვიანს, განათლებულს და ქართულის მწერლობის ღმად მცოდნე მეფეს, რომელიც ამასთან ყველაფერს საუკეთესო და მცოდნე პირთა დახმარებით აკეთებდა თავის გამოცემის დედნად მრავალთ ხელთნაწერთაგან აერჩიოს წარყვნილი ან ნაკლიანი ხელთნაწერი. პირიქით, უეჭველია მხოლოდ ის, რომ მის გამოცემის დედანი იქნებოდა ის ხელთნაწერი, რომელიც უნდა მიჩნეული ყოფილიყო ვახტანგისა და მის თანამოდგაწე მცოდნე პირთაგან საუკეთესოდ. მეორე

კითხვაზე შეგვიძლიან გადაჭრილი უნდა ყოფიეთი პასუხი მივცეთ. არსაიდგანა ჩანს და არც არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რამე შესწორება შეეტანოს ან რამე შეეცვალოს—გამოეკლოს ან მიეზატებინოს. სხვა ხელნაწერებთან შედარება ამ გამოცემისა გვარწმუნებს, რომ შესწორებული არაფერია მაში, არ არის არც რამე დამატებული, ხოლო რაიცა შეეხება დაკლებას, არც ეგ არის ჰკუთხე მოსასვლელი, თუმცა ცნობილია, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებში „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს იმისთანა დამატებას. რაიცა ვახტანგის გამოცემაში არ არის. ვახტანგს არამც თუ ნება არ მიუცია თავისთვის რამე შეესწორებინა ან გამოეკლო, არამედ რაღაც სარწმუნოებრივის მოწიწებით მოჰკიდებია დედანს და ისიც კი არ შეუსწორებია და არ გამოუტოვებია, რაც მას ავტორის აზრად არ მიაჩნდა. ვახტანგს, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალს თხზულებად მიაჩნდა, შეეძლო ერთის კალმის ჩამოსმით მოესპო ამ აზრის წინამდევნი ტაეზი „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობისა: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“, მაგრამ ეს არ უქნია და ცდილა სხვანაირად გაეძარტა იგი. ცნობილია აგრეთვე, რომ ვახტანგი „ვეფხისტყაოსანს“ სთვლიდა ზეციურის გრძნობების და აზრების გამოხატველად და ამიტომ იძულებული შეიქნა მისტიკურად აეხსნა ის ადგილები, სადაც ამქვეყნიური კაცური გრძნობებია გამოხატული. განა ვახტანგს არ შეეძლო ეს ადგილები სხვანაირად გადაეკეთებინა ან სრულებით გამოეტოვა, თუ კი ნებას მისცემდა თავის თავს შეხებოდა თავის კალმით ძველს ნაშთს? ცხადია, შეეძლო ეს ექნა, მაგრამ არ უქნია იმიტომ, რომ



იმას წესად არ დაუდვია „ვეფხისტყაოსნის“ შეცვლა ან შესწორება. მით უფრო დაუჯერებელია და უცნაურია ის აზრი, რომ იმას თავის დედნითგან გამოეტოვებინოს თითქმის ერთი მესამედი მთელის თხზულებისა. შემოკლება კი არ იქნებოდა მისთვის სასურველი და სასახელო, არამედ გადიდება და გავრცელება იმისთანა თხზულებისა, რომლითაც ის თავს იღებდა და ამყობდა როგორც ქართველი. ვერავითარის სტამბის დაბრკოლება მას ვერ აიძულებდა თხზულების ერთის მესამედის დაუბეჭდველობას. მით უფრო რომ არავითარი ასეთი დაბრკოლება არ არის საგულებელი. პირიქით, საფიქრებელი ის არის, რომ ვახტანგი, თავის დედანში რომ ნაკლი აღმოეჩინა, სხვა დედნითგან შეაღებდა ნაკლს ზე დაბეჭდავდა სრულს თხზულებას. ამნაირად თუ რამე აკლია ვახტანგის გამოცემას მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერებთან შედარებით, ეს იმის ბრალია, რომ ეს მეტი რამ არ იყო ვახტანგის დედანში და მის აზრით არც შეადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილს. სხვანაირად რომ ყოფილიყო საქმე, ბოდიშს მაინც მოითხოვდა მკითხველთა წინაშე და აუწყებდა მათ, თუ რამ აიძულა შეემოკლებინა და დაემახინჯებინა სასიქადულო თხზულება.

რომ ვახტანგის დედნისთანა ხელნაწერები მეჩვიდმეტე საუკუნეში სხვებიც ყოფილა, ამისი დამამტკიცებელი საბუთი ჩვენ მოგვეპოვება. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნთსაცავის ხელნაწერი № 5006, რომელიც ყოველის ნიშნებით მეჩვიდმეტე საუკუნისაა და ვახტანგის გამოცემის ტექსტისგან თავითგან ბოლომდე განსხვავებულის ტექსტის მქონებელია, როგორც ტყობა, გადაწერილია იმნაირის შედგე-

ნილობის დედნითგან, როგორცაც ყოფილა ვახტანგის დედანი, ისე რომ ბრალი ლოში, რაც ამ დედანს ჰკლებია სხვა ხელნაწერებთან შედარებით, სხვა შედგენილობის დედნითგან გადაუწერიათ. იმ ტაეპისთვის, რომელიც წ.კ. საზოგადოების გამოცემაში 1554-ეა, გადაწერს მიუყოლებია 1555-ე ტაეპი, ამ ტაეპისა დაუწერია სტრიქონ-ნახევარი და უცებ ნახევარს სიტყვაზე გაჩერებულა. შეუწყვეტია რა ეს ტაეპი, გადაწერს დაუწყვია და განუგრძვია წერა იმ ტაეპებისა, რომლებიც ვახტანგის გამოცემაში არ მოიპოვებინა და შეადგენენ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერებში 1554 ტაეპის შემდეგ მოთავსებულს დამატებას. ის გარემოება, რომ ხელნაწერი ამ ადგილს შეშლილია, გვეუბნება შემდეგს. ამ ხელნაწერში „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა დაუწყვიათ იმნაირის შედგენილობის დედნითგან, როგორცაც ყოფილა ვახტანგის გამოცემის დედანი, იმ პირობით, რომ როცა გადაწერი ჩავიდოდა იმ ადგილამდე, საცა სხვა ხელნაწერებში მეტი სწერია, უნდა მას პირველი დედანი მიეტოვებინა და გადაწერა განეგრძო სხვა დედნითგან, რომელშიც დამატება ყოფილა. გადაწერს გადავიწყვია ეს პირობა და პირველის დედნითგან გაუგრძვია გადაწერა იმ ადგილის შემდეგაც, საცა უნდა შეჩერებულიყო. მოჰკონებია მხოლოდ მაშინ, როცა სტრიქონ-ნახევარი დაუწერია კიდევ, მაშინვე შეჩერებულა და გამოუტყვლია დედანი.

რით აიხსნება ის ამბავი რომ ვახტანგ მეფეს აურჩევია ასეთი დედანი და არა სხვანაირი, საცა უფრო მეტი ამბები ეწერა. ეს იმით აიხსნება, რომ ვახტანგს უნდა ჰქონოდა უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ სხვა ხელნაწერებში მოთავსებული მეტი ამბები ყალბები იყვნენ



და არ ეკუთნოდენ „ვეფხისტყაოსანს“. ამის გამო ჩვენ ვახტანგის გამოცემის დედანი მიკვანია უძველესად თავის შედგენილობით.

ეს უძველესი ვარიანტი „ვეფხისტყაოსანისა“ შესდგება სამის ნაწილისაგან: 1) წინასიტყვაობისა და, 2) ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბისაგან და 3) ბოლოსიტყვაობისაგან. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი არის მართლად დასრულებული რომანი, რომელშიაც მოთხრობილია, თუ რანაირად შეიყვარეს ერთმანეთი ტარიელი და ნესტან-დარეჯანმა, რა დაბრკოლება ჰპოვეს მათ ერთმანერთთან შეუღლებაში და რანაირად დასძლიეს მათ ეს დაბრკოლებანი. რომანის დასაწყისითგან ბოლომდე ინტერესი ტრიალებს ამ ორის პირის გარშემო. სხვა პირნი—როსტევან მეფე, თინათინი, ავთანდილი, ფრიდონი, ასპათი და სხვანი, გამოყვანილნი არიან რომანში მხოლოდ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბის მოსათხრობად. რომანი იწყება როსტევან არაბთა მეფის ამბით და თავდება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაბრუნებით ინდოეთში ერთმანერთის პოვნის შემდეგ. ეს რომანი არის ის, რასაც ჰქვან „ვეფხისტყაოსანი“ და რაც სავსებით დაცულია ვახტანგის დედანში. მხოლოდ ამ სამძღვრებში მოთა ვსებული „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ჩაითვალოს მის ნამდვილს

სხეულად. თქმა არ უნდა, რომ ვახტანგის გამოცემაშიც თხზულებას აქვს განცდილი ბევრნაირი ცვლილება: სიტყვების ცვლა, ტექსტის შესწორება, ახლის ტაეპების ჩამატება, ალაგ-ალაგ ძველების დაკლება და სხვ. მაგრამ მთლიანად კი წარმოადგენს სრულს სხეულს პირვანდელის „ვეფხისტყაოსანისა“. ამ პირვანდელს სხეულს ვახტანგის გამოცემის დედნისას, ისე როგორც სხვა ხელთნაწერებს, დართული აქვს ხორცმეტად წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა, რომელთა შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი. ახლა კი განვაგრძობთ იმის კვლევას, თუ რა დამატებია „ვეფხისტყაოსანის“ პირვანდელს სხეულს იმ სახით, როგორც მას აქვს ვახტანგის გამოცემაში.

III

ვახტანგის გამოცემის უკანასკნელის თავის ბოლოში მოთხრობილია ამბავი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაბრუნებისა არაბეთითგან ინდოეთს და მათ გახელმწიფებისა ამ ქვეყანაში. ამბის მოთხრობაში შეიმჩნევა ერთი რომანისთვის უმნიშვნელო, მაგრამ უცნაური ნაკლი. ტარიელი თავის ცოლით, მეგობრებით და დიდის ჯარით არაბეთითგან გაემგზავრება ინდოეთს. მათი მგზავრობა აწერილია ასე (იხ. 1554 ტ. წ. კ. გ. საზოგ. გამოცემაში):

სამთავრე ვლეს, — დმერთმან მათებრ სსკა სურა სუ დაბადას! —
შოკებნიან; მტერობა ვერავინ დაიქადას!
მისდარსა შინა სადილად გარდასდეს უდილადსა,
ვითა მართებდეთ, ჰურობდეს, ღვინოსა სმეგდეს, არ დასა.
ამის შემდეგ ნათქვამია (იხ. იქვე 1555 — 1558 ტ.)
ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი,
შვიდი ტახტი სსხელმწიფო სსშკებელი, გაუცდელი.

მათ ზატიყთა დაავიწყებს ღზინი ასე აწინდელი.

ყოლა ღზინთა ვერ იამებს კაცი, ჭირთა კარდუხდელი.

თვით ორნივე ერთგან მსხდომნი ნახეთ, მზეცა ვერა სჯობდეს,

პუკსა ჭკრეს და მეფედ დასვეს, ქოსნი ხმას დაატობდეს;

მისტეს კლიტე საჭურჭლეთა, თავთა მათთა მიანდობდეს.

„ესეაო მეფე ჩვენი!“ იზახდეს და ამას ხმობდეს.

ავთანდილ და ფრიდონისთვის ორნი ტახტი დაამზადნეს,

ზედა დასხდეს ხეშიფურად, დიდებანი უდაინეს.

—დმერთმან სსგანი ხორციელნი მათებრნიდა რა დაბადნეს!—

ამობდიან ჭირთა მათთა, ეველაკასა გაუცხადნეს.

სმა, ჰურობა, განარება ქნეს, ჯაღაბი გაადიდეს,

ვითარცა ქარწინობა ხმას, ებეთსა კარდინდიდეს.

მათ ოთხთავე თავის-თავის ძღვენსა სწორად მიართმიდეს.

გლახათათვის საბოძგანსა საჭურჭლესა ერთგან ჭერიდეს. *)

როგორც ვხედავთ, აქ ერთის სიტყვი-
თაც არ არის მოხსენებული, დაბრკოლება
რამე ნახეს ტარიელმა და მისმა ამხანა-
გებმა თუ არავითარი ინდოეთში შესვლის
დროს, რა მდგომარეობაში იყო მაშინ
ინდოეთი, ცოცხლები იყვნენ თუ მკვდრე-
ბი ნესტან-დარეჯანის მამა და დედა, ვინ
მეფობდა ინდოეთში, თუ ფარსადან მეფე
ალარ იყო ცოცხალი. უეჭველია, „ვეფხის-
ტყაოსანში“ იქნებოდა პასუხი ყველა ამ
კითხვებისა, მაგრამ დროთა გამავლობაში
დაკარგულა სწორედ ის ფურცელი ან
ფურცლები, საცა ეს ამბავი წერებულა,
და ასე დანაკლულელებული თხზულება გა-
დასცემია შემდეგს საუკუნეებს. ამ ნაკლს
უეჭველია ამჩნევდნენ ჩვენი ძველი მწიგ-
ნობრები და თქმა არ უნდა სწუხდნენ მის-
თვის. ბოლოს გაჩენილა ერთი მწიგნობა-
რი, რომელსაც თავის მოვალეობად ჩაუთვ-
ლია ნაკლის შევსება და კიდევაც შეუვ-
სია იგი. ამ მწიგნობარს აუღია კალამი
და თავის საკუთარის ფანტაზიის დახმარე-
ბით ან, შეიძლება, ლიტერატურულის
გადმოცემის მიხედვით, შეუთხზავს მთელი
ეპიზოდი, მომთხრობელი იმისა, თუ რა-

ნაირად დაბრუნდნენ ტარიელი და ნესტან-
დარეჯან და დაიჭირეს ტახტი. ეს ეპი-
ზოდი, შემდგარი 40-ზე მეტის ტაეპისა-
გან, მართლაც, ავსებს ნაკლს. ინდოეთს
რომ მიუახლოვდებიან ტარიელ და მის
თანამხლებლები, გაიგებენ, რომ ფარსადან
მეფე მომკვდარა და მის სამეფოს, რომ-
ლის გამგედაც გამხდარა დედა ნესტან-
დარეჯანისა, შესევინან ხატაველები. ამის
შემტყობი ტარიელი თავის მეგობრებით
და ჯარით გაეშურება და შეებმება ხატა-
ველებს. ხატაველები დამარცხდებიან და
განიდევნიებიან. ინდოეთის დედოფალი,
ნესტან-დარეჯანის დედა, დიდის სიხარუ-
ლით მიეგებება თავის ქალსა და სიძეს
და დაულოცავს მათ სამეფო ტახტს, რი-
თაც „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა
მათი სსწადელი“.

ვახტანგ მეფე, რომელიც, უეჭველია,
კარგად ხედავდა თავის დედნის ჩვენგან
აღნიშნულს ნაკლს, იცნობდა სხვა ხეილ-
ნაწერებსაც, საცა ეს ნაკლი იყო შევსე-
ბული, მაგრამ მან დაიცვა თავის გამო-

*) ტექსტი აქ ისე მოგვყავს, როგორც ვახტან-
გის გამოცემაშია.



ცემაში თავისი დედანი, რადგანაც, როგორც ზევითაც ვთქვით, იცოდა, რომ სხვა ხელთნაწერებში ნაკლის შესავსებლად მოთავსებული ეპიზოდი, არ იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ნაწარმოები. თქმა იმისი, თუ როდის არის შეთხზული ეს ჩართული ეპიზოდი, გადაჭრით არ შეგვიძლიან ჯერ-ჯერობით. იგი მოიპოვება 1646 წლის ხელთნაწერშიაც. შესაძლებელია, იგი დაწერილი იყვეს მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეში.

IV.

როგორც ვთქვით, „ვეფხისტყაოსანი“, როგორც რომანი, თავდება ნესტან-დარეჯანის და ტარიელის შეუღლებით და თავიანთ სამშობლოში დაბრუნებით. შემდეგის დროის მწიგნობრები, გატაცებულნი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებით, ძალიან დაინტერესდნენ ამ გმირების ამბით მათ ინდოეთში დაბრუნების შემდეგ. იმათ ებადებოდათ კითხვა, თუ რა პასუხს გასცემდა ხვარაზმმა ინდოეთში გამეფებულს მის შვილის მკვლელს ტარიელს, რანაირი ურთიერთობა ექნებოდათ შემდეგში ძმადფიცს მეგობრებს ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს, რანაირი იქნებოდა მათი სიცოცხლე და რანაირად დაიხოცებოდნენ. ამ კითხვებზე პასუხი მისცა ერთმა მწიგნობარმა, რომელმაც დაწერა 150 ტექსტად და დაწვრილებით მოგვითხრო, თუ რანაირად გახდა ავად ტარიელი, რანაირად ისარგებლა ამით ხვარაზმმა და შესესია ინდოეთს, რანაირად მოიწვია ტარიელი თავის ძმადფიცები ავთანდილ და ტარიელ საშველად, რანაირად მივიდნენ ისინი ტარიელთან და დაუმარცხეს მტერი, რანაირად ბედნიერად იცხოვრეს შემდეგში და რანაირად დაიხოცნენ ტარიელ და ავთანდილ მეუღლეებითურთ. ამ ეპი-

ზოდის შემთხვევლი არ მალავს თავის ღვაწლს და მის დაწერის ისტორიასაც გვიამბობს თავშიც და ბოლოშიც. თავში ამბობს:

აწ, გაჩიერნო, სიტყვანი მისმინეთ, შეიწინაგნით, ძველი ნარჩამი ამბავი ლექსად ვთქვენ, გაიხანგით, სარგის დაჟრჩხა უთქმელად, ჩვენ ესე დაგზრას ლენით, ლექსი მიქენით ამისთვის, ენანი მომხმამრენით. ბოლოში ამბობს:

ეს ამბავი დარჩამოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად, აგრეკ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დაჩხა თბლად. ესე სიტყვა მახსენეს, ვან ჩანს გმირთა რაჴმთა მწყობლად, მიბრძანა თუ ლექსად თქვია, მჭევრ-ქართულად, დაუმრთობლად.

ამ სიტყვებითგან ცხადია, რომ ვიღაც სარგისს *) დარჩენია გაულექსავი ტარიელი სა და ნესტან-დარეჯანის ამბავი ინდოეთში დაბრუნების შემდეგ. ეს უკნობებით ერთის პირისთვის, რომელიც **გმირების რაჴმთა მწყობელი** ყოფილა, და მას უბრძანებია მწიგნობრისთვის, ეს ამბავი კარგს ლექსად თქვია. მასაც აუღლია და გაულექსია. ამნაირად ეპიზოდის შემთხვევლი საკმაოდ გადაჭრით გვატყობინებს, რომ ეს ეპიზოდი გალექსულია

* ვინ უნდა იყვეს ეს სარგის, რომელსაც დარჩენია გაულექსავი ტარიელის და ნესტან-დარეჯანის ინდოეთს დაბრუნების შემდეგ მომხდარი ამბები? ის უნდა იყვეს ან თვით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ან ის, ვინც „ვეფხისტყაოსანს“ ჩაუმატა 40-მდე ტექსტი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში დაბრუნების და გახელმწიფების აღწერილობით. ამაზედ დაწვრილებით კვლავ გვექნება მსჯელობა.

სხვა პირისაგან და არა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისაგან. უკანასკნელის თქმული რომ ყოფილიყო, გაუგებარი იქნებოდა, თუ რაღა ამ ეპიზოდის თავისა და ბოლოში მოიხსენია თავისი ღვაწლი. პირიქით, სწორედ ის გარემოება, რომ ამ ეპიზოდის თავსა და ბოლოში იხსენიებს მოლექსე თავის ღვაწლს, ამტკიცებს, რომ ეს ეპიზოდი არ მოსდევდა თავდაპირველს „ვეფხისტყაოსანს“ და რომ ამ ეპიზოდის ავტორი სხვაა და პირვანდელის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სხვა. ეს დამატებითი ამბავი სრულად და შეურევველად მოთავსებულია 1646 წლის ხელთნაწერში.

ამ ამბის მოთხრობით მწიგნობარმა დააკმაყოფილა მკითხველის სურვილი, გაეგო თუ რანაირად დასრულდა სიცოცხლე ტარიელ-ნესტან-დარეჯანისა და ავთანდილ-თინათინისა. მაგრამ მას დაავიწყდა, რომ ტარიელს და ავთანდილს ჰყავდათ ერთი მეგობარი, სახელად ფრიდონი, რომლის შესახებ ცნობა ისეთივე საინტერესო უნდა ყოფილიყო, როგორც ტარიელის და ავთანდილის შესახებ. აი ამ ცნობის მიწვდენა განიძრახა და კიდევ შეასრულა ეს განძრახვა ერთმა მწიგნობარმა, რომელმაც 10 ს ტაეპში მოგვითხრო, თუ როგორ წამოვიდა ფრიდონი თავის მეგობრების სატირლად, როგორ მოიტირა ისინი და რანაირად შინ დაბრუნებული დარდით გადაიცვალა. ეს დამატებაც მოთავსებულია 1646 წ. ხელთნაწერში. ამნაირად ეს ხელთნაწერი წარმოგვიდგენს „ვეფხისტყაოსნის“ რომანს იმ სახით, როგორისაც ვახტანგის გამოცემის დედანი ყოფილა, მხოლოდ ერთის ჩამატებულის ეპიზოდის და ორის ერთიერთმანერთზე მიმყოლის დამატების დართვით. ამის გამო ეს ხელთნაწერი შედგე-

ნილობით არის ვახტანგის გამოცემის დედნის მიმდევრო.

V

„ვეფხისტყაოსნის“ სამის გმირის—ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის სიკვდილის მოთხრობით მაინც უნდა დაკმაყოფილებულიყო მკითხველთა ინტერესი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წინანდელს მწიგნობრებს დარჩენოდათ ერთი ფრიად საინტერესო რამ. ეს იყო დიდებული გმირების ანდერძი. დიდებულები სიცოცხლეში, უეჭველია, დიდებულს რასმე უანდერძებდენ ჩამომავლობას და აი გაჩნდენ მწიგნობრები, რომელთაც დაიწყეს ანდერძების თხზვა. ანდერძის დაწერის პირველი ცდა ყოფილა გაუბედავი, რადგან თავდაპირველად როგორც ტარიელისა, ისე ავთანდილის ანდერძი სულ რავედენისამე ტაეპისაგან ყოფილან შემდგარნი, რაიცა ჩანს 1688 წლის ხელთნაწერიდან, რომელშიც ტარიელის ანდერძი ათ-ტაეპიანია, ხოლო ავთანდილისა ხუთ-ტაეპიანია. ამ ორის ანდერძის დაწერს თვითეულის გმირის ანდერძი ჩაურთავს პირველის დამატების იმ ტაეპების წინ, რომლებშიაც აწერილი იყო მათი სიკვდილი, რისთვისაც ცალ ცალკე მოუყრია თავი თვითეულის გმირის სიკვდილის მოთხრობის ტაეპებისთვის.

გმირების ანდერძები ეტყობა ძალიან მოსწონებიათ როგორც მკითხველებს, ისე მწიგნობრებს, რაიცა ჩანს იქითგან, რომ, ჯერ ერთი, პირველად დაწერილი ორი მოკლე ანდერძი მალე გაუვრცელებიათ ტაეპების ჩამატებით, როგორც ეს ჩანს 1681 წ. ხელთნაწერიდან, მერე შეუთხზავთ კიდევ ერთი ახალი ანდერძი ავთანდილისა, როგორც ეს ჩანს 1671 წ. ხელთნაწერიდან; ამის უკან შეუთხზავთ კიდევ



ერთი ახალი ანდერძი ტარიელისა, რომელიც ჩანს ხელთნაწერში № 5006 და ბოლოს კიდევ ერთი ახალი ტარიელისავე, რომელიც ჩანს ხელთნაწერში № 4499. ამნაირად შედგენილობის მიხედვით 1646 წ. ხელთნაწერის მიმდევნოდ უნდა მიღებულ იქნას 1688 წლის ხელთნაწერი, ამის მიმდევნოდ 1681 წლის ხელთნაწერი, ამის მიმდევნოდ 1671 წლის ხელთნაწერი*), ამის მიმდევნოდ ხელთნაწერი № 5006 და ამის მიმდევნოდ ხელთნაწერი № 4499.

VI

წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა „ვეფხისტყაოსნისა“ არაფერს საერთოს არ წარმოადგენს თვით თხზულებასთან. ამას გარდა ცალ-ცალკეც არც წინასიტყვაობა არც ბოლოსიტყვაობა არაფერს მთლიანს და ერთის აზრის შემცველს არ წარმოადგენენ. ესენი წარმოადგენენ კრებულს სხვა და სხვა შინაარსის ტაეპებისა, რომელნიც ერთმანერთთანაც ისევე დაუკავშირებელნი არიან, როგორც ყველა ისინი ერთად თვით რომანთან. ეს ტაეპები რომ განვიხილოთ, ჩვენ წარმოგვიდგება შემდეგი. წინასიტყვაობაში ტაეპების უმეტესობა ორს ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1) ტაეპები, რომლებიც შეიცავენ მიჯნურობის გამართებას, და 2) ტაეპები, რომელნიც შეიცავენ მელექსეობის ღირსების და მნიშვნელობის ახსნას. ეჭვი არ არის, რომ ეს ორი ჯგუფი ტაეპებისა

*) გასაკვირველი არ არის, რომ გვიან გადაწერილი (მაგ. 1688 წ.) ხელთნაწერი შედგენილობით უფრო აღრინდელი იყვეს, ვიდრე ადრე გადაწერილი (მაგ. 1671 წ.). ამისი მიზეზი ის არის, რომ დედანი პირველისა უფრო ძველი ყოფილა, ვიდრე მეორისა.

დაწერილია თვით „ვეფხისტყაოსნის“ გამო ან მის გავლენით. ამ რომანის მკითხველი იხიბლებოდა ერთის მხრით მაში გამოყვანილის მიჯნურობის თვისების და საქციელის აწერილობით, მეორე მხრით ლექსის სილამაზით და სიძლიერით. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ გამორების მიჯნურობა საიდეალოდ შეიქნა, ხოლო მის ლექსები სამაგალითოდ მელექსეთათვის. ერთმა მწიგნობარმა ყველა თავისი აზრები მიჯნურობის შესახებ, შეთვისებულნი, ან უკეთ ვთქვათ, გამოკრებილნი „ვეფხისტყაოსნიდან“, გამოთქვა ლექსად და თავის ნათქვამი დაურთო თავში თვით „ვეფხისტყაოსნის“. მეორე მწიგნობარმა, პირველის მიბაძვით, გამოთქვა ლექსად თავისი აზრები მელექსეობის შესახებ, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შემუშავებულნი, და დაურთო თავში ამავე თხზულებას, მიჯნურობის შესახებ დაწერილის ტაეპების შემდეგ. ამნაირად გაჩენილან წინასიტყვაობის ის ტაეპები, რომელნიც წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემაში აღნიშნულნი არიან მათ რიგის მიხედვით ციფრებით: 8—14 და 19—25. პირველი ჯგუფი შეეხება მიჯნურობას, მეორე ჯგუფი მელექსეობას. შემდეგში მესამე მწიგნობარს ბოლოში მიუმატებია კიდევ ხუთი ტაეპი მიჯნურობის შესახებ (27—31). რასაკვირველია, ძნელია იმის თქმა, რომ თვითყელი ამ სამთ ჯგუფთაგანი ტაეპებისა თითო მწიგნობრის დაწერილნი იყვნენ. ჩვენ უფრო გვკონია, რომ ამ ჯგუფებში შემდეგის დროის მწიგნობრებსაც უნდა ჰქონდეთ ჩართული თითო-ორი ტაეპი. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ წინასიტყვაობა თავდაპირველად ტაეპების ორის ჯგუფისგან შესდგებოდა და შემდეგ მიმატებია მესამეც. მას უკან ამ სამის ჯგუფის ტაე-

პებისტვის სხვა და სხვა დროს დაუმატებიათ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 15, 16, 17, 18 და 26 ტაევი. ეს ტაევიც რავდენსამე ჯგუფად იყოფება. 3, 4, 5, 15, 16, 17 და 26 ტაევი შეიცავენ იმ აზრს ვითომ „ვეფხის-ტყაოსანი“ იყვეს ქართულად ნათარგმანები სპარსული ამბავი, დაწერილი ლექსად თამარ მეფისა და მის მეუღლის დავითის საქებრად რუსთაველის მიერ, რომელსაც უბრძანეს ასეთი შექება და რომელსაც თითონაც ჰყვარებია თამარი. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მწიგნობრის მოგონილი არ არის. იგი წარმოადგენდა ლიტერატურულს გარდმოცემას და მწიგნობარმაც მის დასაცავად აღწერა იგი ისე, თითქო „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერი მოუთხრობდეს იმას თავის პირით. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ტაევიც არ უნდა ეკუთნოდენ ერთს მწიგნობრის კალამს და არც ერთს დროს უნდა იყვნენ დაწერილნი. ჩვენის აზრით ჯერ უნდა დაწერილიყვენ 3, 4, და 5 ტაევი, ხოლო მათ შემდეგ 15, 16, 17 და 26 ტაევი. 6, 7 ტაევი მოხსენებულია „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირი ტარიელ, ცხადია იმ აზრით, რომ მის დამწერს და ჩამრთველს მწიგნობარს, გაკვირვებულს სრულის უკავშირობით წინასიტყვაობისა რომანთან, ასეთი კავშირი დამეყარებინა. ეს ორი ტაევი შეთხზულია განძრახ ავტორის სახელით მოსასპობად იმ უცნაურობისა, რომ წინასიტყვაობაში ერთი სიტყვაც არ შეეხებოდა თვით თხზულებას. 18-ე ტაევი ჩართულია წინასიტყვაობაში ვილაც მოკლილის მწიგნობრის მიერ ყოვლად უაზროდ, შეიძლება, პავლე მოციქულის გავლენითაც*), ხოლო 1 და 2

ტაევი დაწერილია იმისთანა მწიგნობართაგან, რომელნიც გაიმსჯვალეიან ხოლმე რელიგიურის გრძობით, როდესაც დაინახავენ რასმე დიდებულს და საოცარს, ან შეუდგებიან რამე სამძიმო საქმეს. პირველი ტაევი მწიგნობარმა შეთხზა და დაურთო „ვეფხის ტყაოსანს“, როგორც დიდებულს და საოცარს თხზულებას. მეორე ტაევი ჩაურთვია შემდეგში სხვა მწიგნობარს „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორის მაგიერ, რომელიც, მის აზრით, საქიროებდა ღვთის შემწეობას ამისთანა დიდებულის და ძნელის თხზულების შესაქმნელად.

ბოლოსიტყვაობის ხუთის ტაევიდან სამი ტაევი წარმოადგენს მწიგნობრების მინაწერებს და შეიცავენ მათ პირადს აზრს, გრძობას ან ცნობას. მაგ. 1572 ტაევი არის მწიგნობარ-გადამწერის შენიშვნა, ლექსად გამოთქმული მთელის თხზულების გადაწერის შემდეგ. 1575 ტ. გამოსაქვამს მწიგნობრის აზრს, გამოტანილს „ვეფხის-ტყაოსნის“ კითხვითგან, სოფლის მიუნდობლობაზე. 1576 ტ. ბიბლიოგრაფიული შენიშვნაა იმისთანა მწიგნობრისა, რომელსაც ნდომებია თავის ცნობის გადაცემა სხვებისთვის. 1573 და 1571 ტაევი შეიცავენ იმნაირსავე ლიტერატურულს გადმოცემას, როგორიც გამოხატულია წინასიტყვაობის 3, 4, 5 და 16 ტაევიებში, მწიგნობრისგან დართულს ბოლოში ავტორის სახელით.

VII

„ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა იმ სახით, როგორიც მათ აქვთ ვახტანგის გ. მოცემის დედანში, შედგენილობით არიან უძველესნი და აღბეჭდილნი არიან იმ თვისებით, რომელნიც მათ შეეფერებათ წარმოდინარეობის მიხედვით. მათი თვისება არის უსისტემობა

*) შეადარე ამ ტაევის შესამე სტრიქონი პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველის ეპისტოლის ოცდამეშვიდე მუხლს.



და ერთიანის აზრის უქონლობა. შემდეგ-ში მწიგნობრებმა მოინდომეს სისტემის შეტანა და აზრიანობის მიცემა. ამიტომ, ჯერ ერთი, იხმარეს ის საშუალება, რომელიც წინადაც იყო ნახმარი, ე. ი. შესწორება და დამატება ახალის ტაეებისა, მეორედ, დაიწყეს დალაგება ტაეებისა სხვანაირად და გამოტოვება ზოგიერთებისა, რომელნიც არ შეეფერებოდნენ, მათ აზრით, სინამდვილეს. 1646 წ. ხელთნაწერში, რომელშიც გამოტოვებულია 8 ტაეები და ერთი ჩამატებულია, ტაეები ასე არიან დალაგებულნი: 16. 17. 18. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 8. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. 14. 30. 31. 1688 წ. ხელთნაწერში, რომელშიც გამოტოვებულია 6 ტაეები და 3 ჩამატებულია, ტაეები დალაგებულნი არიან ასე: მეტი. 1. 15. 16. 17. 18(?) მეტი. 19. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26. 27. 28. 29. 8. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. 14. 30. 31.) 1681 წლის ხელთნაწერში, რომელშიც გამოტოვებულია 7 ტაეები და 8 ჩამატებულია, ტაეები დალაგებულნი არიან ასე: მეტი. 1. 2. 3. 4. მეტი. 19. 20. 21. მეტი. 22. 23. მეტი. 24. მეტი 25. 26. 27. 28. 29. 8. მეტი. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. მეტი. 14. 30. 31. 1671 წლის ხელთნაწერში, რომელშიც მოთავსებულია ყველა ტაეები ვახტანგის გამოცემისა და ჩამატებულია 9, ტაეები ამ რიგზე მისდევენ: მეტი, 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. მეტი. 15. 16. 17. 18. მეტი. 19. 20. 21. მეტი. 22. 23. მეტი. 24. მეტი. 25. 26. 27. 28. 29. 8. მეტი. 9. 10. მეტი. 11. 12. 13. მეტი. 14. 30. 31. ხელთნაწერში № 5006 ტაეები და-

ლაგებულია ისევე, როგორც ვახტანგის გამოცემაში, მხოლოდ ჩამატებულია ორი ახალი. ხელნაწერში № 4499, რომელშიც წინასიტყვაობისა გადარჩენილია მხოლოდ ერთი ფურცელი, გადარჩენილი ტაეები დალაგებულია ამ რიგზე: 28. 29. 8. 9. 10. მეტი. 23. 20. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელთნაწერში № 461, რომელშიც წინასიტყვაობის ფურცლები დახეულია, გადარჩენილი ტაეები ამ რიგზე მისდევენ ერთმანერთს: 7. 5. მეტი. x. z. ²⁾ 11. 28. 9. მეტი. 10. 12. 13. მეტი. 30. 17. 18. მეტი. 19. 20. 21. 22. 23. მეტი. 24. 25. 1576. როგორც ვხედავთ ამ ხელთნაწერში წინასიტყვაობის ბოლო ტაეად მოქცეულია ვახტანგის გამოცემის ბოლოსიტყვაობის უკანასკნელი ტაეები.

აგრედვე მეტნაკლებია და არეულად დალაგებული ბოლოსიტყვაობა სხვა და სხვა ხელთნაწერში. 1646 წ. ხელთნაწერში ბოლოსიტყვაობა შესდგება 6 ტაეებისაგან, რომელნიც დალაგებულნი არიან ასე: 1572. 1573. მეტი. 1574. 1575. 1576. 1688 წლის ხელთნაწერში სულ არ არის 1572-ე ტაეები, ხოლო 1573-ე და მეტი ტაეები მოთავსებულნი არიან იქ, სადაც თავდებოდა პირველი დამატება, ვიღრე მას მოაშორებდნენ ბოლო ნაწილს. ამ ხელთნაწერში ბოლოსიტყვაობის ადგილს არიან შემდეგი ტაეები: 1575. 1574. მეტი. მეტი. 1681 წლის ხელთნაწერში, ისე როგორც ხელთნაწერში № 5006, ტაეები ასეა დალაგებული: 1572, 1573. მეტი. 1574. 1575. 1576. 1671 წლის ხელთნაწერში ამ ტაეებს

¹⁾ მე-18 ტაეს კითხვის ნიშანს ვუსვამთ, რადგან მისი ადგილი მოხეულია.

²⁾ x-ით და z-ით არიან აღნიშნულნი ის ტაეები, რომელნიც მოხეულნი არიან მთლად.

ბოლოში მოსდევს კიდევ სხვა ახალი ტა-
 ევები.

მწიგნობრების ცდა, რომ წინასიტყვაო-
 ბის და ბოლოსიტყვაობის ტაევები ისე
 დაელაგებინათ და გაეცხრილათ, რომ
 აზრიანი კავშირი დამყარებულიყო მათ
 შორის, ვერ გამოდგა ნაყოფიერი. რად-
 განაც ტაევები სხვა და სხვა დროსა და
 მწიგნობრების შეთხზულნი იყვნენ, მათი
 დალაგება ან გაწმენდა იმნაირად, რომ
 ყველანი კმაყოფილნი ყოფილიყვნენ, შე-
 უძლებელი შეიქნა. ყოველი მწიგნობარი
 თავის გემოსა და აზრის მიხედვით ალა-
 გებდა, აკლებდა და უმატებდა ტაევებს.

ასევე უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს
 ცდა აკადემიკოსის მარისა, რომელმაც
 უკანასკნელად სკადა ტაევების გამოკლე-
 ბით, ტექსტის შესწორებით და სხვანაი-
 რად დალაგებით მეტი სისტემა და აზრი-
 ნობა მიეცა „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასი-
 ტყვაობისა და ბოლოსიტყვაობის ტაევე-
 ბისთვის. წინასიტყვაობის 31 ტაეპითგან
 ბ-ნმა მარმა ყალბად სცნო 9 ტაეპი, ერ-
 თი ჩაუმატა ახალი და ამ რიგზე დააღაგა:
 1. 3. 25. 26. 4. 5. 17. მეტი. 1) 16. 6.
 7. 18. 9. 12. 8. 10. 11. 19. 20. 21.
 22. 23. 24. აგრედვე მოეპყრო ბ-ნი
 მარი ბოლოსიტყვაობასაც. ხუთის ტაე-
 პითგან ყალბად აღიარა და გამოტოვა
 სამი, სახელდობრ: 1574. 1575. 1576,
 ხოლო ნამდვილად სცნო და დატოვა
 ორი—1572. 1573. ვერავითარი გადალაგ-
 გადმოლაგება ტაევებისა, ვერავითარი გა-
 მოტოვება ძველებისა და ჩამატება ახლე-
 ბისა, ვერავითარი ტექსტის შესწორება

ვერ გახდის „ვეფხის-ტყაოსნის“ ხორცმე-
 ტად დართულს წინასიტყვაობას და ბო-
 ლოსიტყვაობას ვერც მის ორგანიულს
 ნაწილად და ვერც რამე საერთო აზრის
 შემცველად.

VIII

ჩემი დასკვნაა:

1) „ვეფხის-ტყაოსნის“ პირვანდელი
 სხეული შენახულია ვახტანგის გამოცემა-
 ში ანუ, უკეთ ვთქვათ, მის დედანში. ეს
 პირვანდელი სხეული იწყება როსტევან
 მეფის ამბით და თავდება ტარიელისა და
 ნესტან-დარეჯანის გახელმწიფებით ინ-
 დოეთში.

2) ამ პირვანდელს სხეულს დართვია
 თავში წინასიტყვაობა და ბოლოში ბო-
 ლოსიტყვაობა, შედგენილნი ნაწილ-ნაწი-
 ლად სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა
 პირთაგან.

3) „ვეფხის-ტყაოსნის“ პირვანდელს
 სხეულს იმ სახით როგორც მას აქვს
 ვახტანგის გამოცემაში (ანუ დედანში)
 განცდილი აქვს ბევრნაირი ცვლილება,
 მაგალითად: სიტყვების შეცვლა, ტექსტის
 შესწორება და შერყვნა, ტაევების ჩამატება
 და გამოკლება.

4) ტაევების გამოკლებას ერთს ადგილს,
 სახელდობრ იქ, სადაც მოთხრობილია
 ტარიელის და ნესტან-დარეჯანის გამგზავ-
 რება ინდოეთს, მიუცია ერთის მწიგნო-
 ბრისთვის საბაბი ჩამატებინა პირვანდელს
 სხეულში 40-ამდე ტაეპი იმ გარემოებათა
 აღწერილობით, რომელნიც, მის აზრით,
 უნდა ყოფილიყვნენ მოთხრობილნი და-
 კლებულს ტაევებში, სახელდობრ ამბავი
 ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაბ-
 რუნებისა ინდოეთს, ხატაველების გან-
 დევისა იქიდგან და ტარიელის ქვეყანა-
 ში გამეფებისა.

1) ბ-ნმა მარმა მხოლოდ წერტილებით აღნიშ-
 ნა ადგილი იმ ტაეპისა, რომელიც მის აზრით
 ჰკლებია, შეთხზვით კი არ შეუთხზავს თვით
 ტაეპი.



5) ამ ჩამატების შემდეგ მეორე მწიგნობარს დაურთავს „ვეფხისტყაოსნის“ პირვანდელის სხეულისათვის აღწერილობა იმ ამბებისა, რომელნიც ვითომ უნდა მომხდარიყვნენ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინლოეთში გახელმწიფების შემდეგ მათ სიკვდილამდე. აქვეა მოთხრობილი თინათინის და ავთანდილის სიკვდილი.

6) ამ დამატების შემდეგ მესამე მწიგნობარს შეუთხზავს და დაუმატებია ამბავი ფრიდონისგან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის (აგრეთვე თინათინის და ავთანდილის) დატირებისა და მის სიკვდილისა.

7) მეოთხე მწიგნობარს შეუთხზავს და ჩაუმატებია ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიკვდილის მოთხრობის წინ ანდერძი ტარიელისა და აგრეთვე ავთანდილის

და თინათინის სიკვდილის მოთხრობის წინ ანდერძი ავთანდილისა

8) მეხუთე მწიგნობარს შეუთხზავს და ჩაუმატებია კიდევ ერთი ანდერძი ავთანდილისა (მეორე).

9) მეექვსე მწიგნობარს შეუთხზავს და ჩაუმატებია კიდევ ერთი ანდერძი ტარიელისა (მეორე).

10) მეშვიდე მწიგნობარს შეუთხზავს და ჩაუმატებია კიდევ ერთი ანდერძი ტარიელისა (მესამე).

11) თვითეული ამ დამატებათაგანი ისევე როგორც პირვანდელი სხეული „ვეფხისტყაოსნისა“ მუდამ გინიცლიდენ შესწორებას, ჩამატებას და გამოკლებას დროთა გამავლობაში.

დ. კარიჭაშვილი.

21/IV 1913.

კიდევ ქ-ნ მონოს საბავშვო ბაღის შესახებ

(M—Ile Monod)

(რუსულადან)

მთხიბლული დავრჩი ქ-ნ მონოს საბავშვო ბაღის სიტყვებით და სიმხიარულით. მე არა ერთხელ დამითვალე რება ეს ბაღი. ეს ღა მინდა შევავსო ზირველი ჩემი ნარვევი უფრო საინტერესო დაკვარვებით; ამასთანავე მინდა აღნიშნო ზოგიერთა ნაკლულევანებანი ამ საქმის დაქენებაში.

განხილვის გასაადვილებლად მასდას გავაწავილებ სავნობრავ.

დავიწეებ თვლის შესწავლიდან. საფრანგეთის სკოლებში თვლის შესასწავლად ხმარობენ ჰატარა ჩხიარებს, ან წუმწუმებს (dâtonnets), მაგრამ მასდას ერთფეროვნება დღის ბავშვებს, სწუარდებათ მათ.

წუმწუმა რასაკვირველია სინამდვილე. მაგრამ ცხარვებაში მარტო წუმწუმებს ხომ არა სთავლიან. აი აქაც ქ-ნ არტლს შეაქვს თავისეუბრი სიტყვებუ და მრავალფეროვნობა. აი 10 ჰატარა აგურისგან აკეთებენ ჰურის სტუმელ მაგიდას, რომდის კარმეო სკამების მაგიერად აწობენ 10 ოთხკუთხს. ბავშვებს ურიკდებთ ქადადისგან გამოჭრილი ტიკინები. უკან გადაკეცილ დასადგომლებით სტუმრები მოდიან. ბავშვებს რიგ-რიგათ, ფრთხილის შეკერვით მიჭეავთ სტუმრები მაგიდასთან, სადაც ამწარივებენ სკამებზედ სტუმრების მისვლა-მოსვლით, ავადმუყოფობით. წვილებათ სეირნობით, ჯგუფებათ დაყოფით,

საბავშვო ბაღი

ქ-ნი არტლი აწვავლის ბავშვებს ოთხ მთქმელებს.

ბავშვების დიდ სიამოვნებას შეადგენს ფერადი მძივების თვლა, მათი ასხმა ძაფზედ ან მაკთულზედ, მძივების მრავალ-ფეროვნებას აღვსავთვალს მშვენიერ სავარჯიშო მასალას ფერადების კარჩევაში; ამასთანავე სხვა და სხვა კომბინაციები ფერადი მძივებისა უადვილებს ბავშვებს წყვილ რიცხვის შესწავლას, რიცხვების დაფიქსირებას მათ შემადგენელ ელემენტებზედ, ერთის სიტყვით უადვილებს მთელ ოთხ მთქმელების შესწავლას.

ამასთანა „ართმეტრიკული“ თამაშობების საწინააღმდეგო, რასაკვირველია, არაფერია, როგორც, მაგალითებზე, ზემო მოყვანილ სტუმრობასთან თამაშობისა, ეს თამაშობანი უჩვენებენ ბავშვს ცოდნის განთავისებულ მთქმელებას სინამდვილეში; მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ თამაშობებს კარგი მტოდნე და ფრთხილი ხელი უნდა. რატომ სსსცენა წარმოსადგენად არ უნდა ავიდოთ ამოცანები, რომლის გადაწყვეტას ბავშვებისაგან მოვითხოვთ; მაგრამ თამაშობამ რომ აღმზღელობითი აზრი არ დაჰკარგოს, სჭირთა სცენას ისე მოეწესოს, რომ დეკორაციები არა ჩრდილავდნენ ამოცანის არსებით მხარეს, სჭირთა, რომ „ართმეტრიკული“ თამაშობის სიმძიმის ცენტრი და მისი ნსკვი თვლაში და გამოანკარშიებაში იუღს; თუ უკანასკნელი აკესესურად გადაიქცა, მაშინ ბავშვების გულის უერი, მათი ცოდნადი აზროვნების გამო, კატაცებული იქნება სსსცენა წვრილმანობით და გადასცილდება ართმეტრიკულ ღიანდაგს. მაშინ ბავშვები ჩვენდა მოულოდნელად მიმართავენ ტუიღს, რაც მე ერთხელ შევამჩნიე ქ-ნი არტლის კაკეთიღზე.

გეომეტრიის სწავლაში, ქ-ნი მონო ემხრობა გეგმას დამეტრალურად წინააღმდეგ იმისა, რომელიც მიღებულია მომეტებულ ჩვენს სწავლებლებში. ჩვენში სხეულის ზედა ჰი-

რის აღწერა, სიპრტუის შესწავლა, მონო უდრის სხეულთა სისქის სწავლას, მეტრიკობას სხეულის ფორმებზედ. ქ-ნი მონოს კი უფრო ბუნებრივად და ნამდვილად მიანია უკუტრეობითი წესი. და მართალიც არის. თუ მეტრიკობა ცნოვრებიდან, ბუნებიდან გამომდინარეობს და გეომეტრიის შინაარსი კი ჩვენ კარშემო არსებულ სხეულთა განყენებულ ფორმების შესწავლაშია, ამ სხეულთ კი აქვთ სსში სსზომი, მაშინ უფრო ლოგიკური იქნება ამ სსში სსზომის სინამდვილიდან გადავიდეთ ორ სსზომის აბსტრაქტზედ და არა პირიქით. ბავშვი უფრო ადვილად წარმოიდგენს წრის წარმოშობას კატრილი ბურთისაგან, ვიდრე ბურთის წარმოშობას რკვალი წრის ტრიალისაგან. ცხადია, ამ მოსსრებით ხელმძღვანელობდნენ საფრანგეთის სსსლ-ხო განათლების სამინისტრო, როდესაც მან მოიწონა უკანასკნელი პრეგრამა, რომელიც უნდა შეეღებოთ სკოლებში სამოსწავლო წლიდანვე. ამ პრეგრამაში შეტანილია ძერწვის აუცილებლობა სკოლაში, ან ხატვის წინ, ან ხატვასთან ერთად. ბავშვმა უნდა შეითვისოს, შეიგნოს ბუნების ნივთების წარმოშობა მათის ნამდვილ ფორმებით უფრო ადრე, ვიდრე იგი გადავა უფრო ძნელ და ხელაფხურ წარმოშობაზე ამ ფორმებისა სიპრტეუში და პრეკციაში. და მართალიც ქ-ნი არტლს მიჰყავდა გეომეტრიის კაკეთიღები სრულიად რაციონალურ, მეტრიკურად ანალიტიკურის გზით. სფეროდან, კუბიდან, კონუსიდან გადადიოდა რკვალ წრეზე, ოთხკუთხზედ და სამკუთხზედ; ამ უკანასკნელებიდან—მათ შემადგენელ ელემენტებზედ: უსწორს, სწორე, ქეშა, ჩამოსწორი და დადრეკილ ხსზებზედ. ამ ელემენტების განცობის და ანალიზის ბოლომდინ მიუყვანის შემდეგ, ბავშვები გადადიოდნენ სინტეზზედ; ამასთანავე სხვა და სხვა რკოლებისაგან და ჩხირობისაგან აკეთებდნენ ნაირ-ნაირ ორ-



ნამენტებს და სიმეტრიულ ფიგურებს, რაც ფერებულის მეთოდით ძალიან მოწონებულია.

საუგედური, რომელიც ჩვენ შეგვიძლიან გამოუცხადოთ ქ-ნ არტლს მისი გემეტრიის სწავლების მეთოდის შესახებ ეს—განყენება და ფორმალისზმია. ამ ნაკლებებში საზოგადოდ მიღებულია გამტყუნონ ფრებელის სისტემა, თუმცაკი ამაში იმდენად ამ სისტემის დამაარსებელს არ მიუძღვის ბრალი, რამდენადაც იმ გამოყენელი მასწავლებლებს, რომლებმაც სისულელები განავითარეს ამ სისტემის სუსტი მხარეები და უკუ აკლეს ეგვალზე უძვირფასესი მისი ელემენტები.

ქ-ნ არტლს საქმის სასარგებლოდ შეეძლო უფრო დასხვავებოდა ბუნებას და ცხოველებზედ, მცენარეებზედ და მინერალებზედ შედარებითი დაკვირვებისგან გამოეყვანა მათში მოთავსებული საერთო სუფთა ფორმები და ხაზები. მაშინ შეცნობება ვრცელ კანონ ზომიერებაზედ პირდაპირ ციდან კი არ ჩამოფრინდებოდა დედა-მიწაზედ რაღაცა მომჯადოებელ აბსტრაქტიულ ფიგურების სახით და მარტო ლოდიკის, ოცნების და თვალსაზრისის გომსასტიკად აღარ იქნებოდა. მიწიდან წარმოშობილი ისევ მიწასვე დაუბრუნდებოდა: შემეცნება სიმეტრიისა, სივრცეთა ჰერმონიისა და რიტმისა, თუ რომ ესე შეიძლება ვსთქვათ, მოგვცემდა უფრო ძვირფას ნაყოფს, ვიდრე ვარსკვლავების და ორმანენტების ხატვა. შესწავლა სივრცეთა დამოკიდებულებისა, რომელიც გამომდინარეობს თვით ბუნებისაგან უფრო აღრმავებს ბუნების შემეცნებას და სრდის აღმიაში ზომათა გრძნობას; ყოველსავე ამას შეეძლო ყოფილიყო აღმიახისთვის გამომდინარე წერტილად მის ესტეტიურ განვითარებისა და საძირკვლად მის შემოქმედების ნიჭისა. განხეთქილება ფორმის და შინაარსის შუა, რომლისაგანაც ასე საშინლად იტანჯება ესწავლილი საუკუნე, შესაძლებელია შესამჩნევლად შემცირებულიყო ბუ-

ნების და ფორმების შეცნობების შუა არსებული უფსკნელთა მოსზობით. გეოგრაფიის გაკვეთილს მე მარტო ერთხელ დავესწარი. ბავშვებს წინა გაკვეთილზედ კიდევ გაეცნოთ ხმელეთის და წყლის სხვა და სხვა ნაკეთები; ესდა კი ამ გაკვეთილზედ, წყლით მოფენილ უზარ-მასარ სინზედ აკეთებდნენ ქვიშისაგან სრუტე ჰა-დე-კაღეს რელიეფს, მასში მოთავსებულ კურძულებით და ნავთსადგურებით, რომლებიც ერმანეთის პირდაპირ იდგნენ ინგლისის და საფრანგეთის ნაპირებზედ; აქვე ნიშნავდნენ იმ მდინარეებს, რომლებიც ამ სრუტეში ჩადიოდნენ; ძალიან გაცხარებული ლაზარაკობდნენ მისვლა-მოსვლის დონისძიებაზედ ღონღონის და ზარიზის შუა, ანგარიშობდნენ აგრეთვე ამ მოცზაურობაზედ საჭირო დროს; აქ ერთი გოგო, რომელსაც ბევრი ემოცზაურნა, უზიარებდა ამხანაგებს თავის შთაბეჭდილებას. ქ-ნ მონოს სკოლაში ისტორიის სისტემატიური კურსი არ არის, რადგანაც 5—7 წლის ბავშვები ისტორიულ შემთხვევების კავშირს ვერ მისვლებიან. ამის და მიუხედავად, ეს მაინც არ უშლის ცოტადენ ვრცლათ გაიარონ რამდენიმე ისტორიული შემთხვევანა, რომლებსაც დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც მაგალითებ; ბეჭდვის გამოგონება, კალუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა და სხვა.

ქ-ნ მონოს საბავშვო ბაღში უმთავრესი ურადლება მიქცეულია ბუნების მეტყველებაზედ. ჩვენ უკვე ვიცით ბუნების მეტყველების სწავლების გეგმა ამ ბაღში, ვიცით აგრეთვე როგორ მოხერხებულად აცისკრავნებს ქ-ნი მონო ბუნების ცხოვრებას.

დეე, ბუნების მეტყველები, ფანატიკოსები აღმოფოთდნენ ამ აღმიახის სულის გადატანით მცენარეებში და ცხოველებში, დეე ამისთანა სწავლას დაარქვან არა მეცნიერული განხეთქილება, მონათლონ ოცნებით სავსე ზღაპრების და მეტაფიზიკურ კონტრასტის სახელებით, არა-

ფერია... ეს, მხოლოდ მარტო ეს მჭიდროდ აკავშირებს ბავშვს ბუნებასთან, უფაძებს მას ცხოველ ინტერესს მის ათასწიერ მოვლენებში და რაღაცა იდუმალ, მხატვრულ სიმშვენიერეს აძლევს ბუნების გაცნობას. მაგრამ დიდი კითხვაა, ვინ უფრო ანალოგურად სიმაღლესთან, ჭეშმარიტებასთან, მეცნიერი, რომელსაც არ უნდა დაინახოს მოვლენაში აუცილებელი მოვლენა, საერთაში — პიროვნებითი, რომელიც აზობს, აქუცმაცებს ბუნების მთლიანობას მის შემადგენელ ნაწილებად, და რომელსაც ჰგონია, რომ მარტო ეს მკვდარი უსულო ნაწილები არიან სინამდვილენი, თუ ბავშვი, რომელიც მთელი თავისი ნორჩი სულით და გულით, თავისი ცოცხალ ოცნებით აერთებს ამ მკვდარ ნაწილებს, უდგამს მათ სულს, ამთლიანებს ნაკვეთებს და უნაწილებს ეგვლა თავის მსგავსთ არსებობ პიროვნებას...

ქმ მონოს საბავშვო ბაღში პირველი ადგილი უჭირავს: „დავირეგებას ბუნებისა და ცხოველებისა, ბაღსნობას და ბოსტნეულობას“ ეხლა ვნახოთ რაგდენად ხორციელდება პროგრამის ეს ნაწილი. ჩვენ განვიმორღოთ ქმ მონოს და მის ბავშვებს სწორედ მაშინ, როდესაც მათ უნდა გამოეცოცხლებინათ მძინარე თესლი. შემდეგ გაკეთდებოდნენ ქმმა მობამ მობატანა თან ვვაფილების და ბოსტნეულობის თესლი, ზოგი თავისუფალი და ზოგი კი შენახული კალოფებში, ბურბუშელებში და პატარა კალათებში. უპირველეს ყოვლისა ბავშვებს მოაგონა მოკლე მცენარის განვითარების ისტორია, ფესვის, ღეროსი, ფოთლების და ვვაფილის მნიშვნელობა და შერეუფრო ვრცლად შეასწავლა ბავშვებს თესლი და მისი აკებულობა. შემდეგ ბავშვებმა თვითონვე განმარტეს, რომელ მცენარეებს ეკუთვნიან ეს თუ ის თესლები და როდესაც კარგად გაეცნენ თესლის ამოსვლისათვის აუცილებელ პირობებს, მაშინ თვითონვე უნდა შეესაზრე-

ბინათ, თუ როგორ უზრუნველ ეყრთ თავთან გაზრდილებსათვის საჭირო სიობო, სინესტე და ჰვარი. სქელ ტილოში გახვეული თესლი გაშალეს სველივე ქვიშით დაფენილ თეფზედ. თვითველ ბავშვს გაურჩეს რამდენიმე სხვა და სხვა გვარის თესლი, რომ ესევე შინ გაეკეთებინათ.

— როდესაც თესლები ამოვლენ, მაშინ ქოთნებში გადავიღებთ, დაათავა ქმმა მობამ.

— რატომ პირდაპირ მიწაში არ ვინდათ? — ვკითხე მე.

— მიწაში არაფერი ამოდის, — ნაწყენის კილოთი მიხსუხს ქმმა მონამ. — ჩვენ ბაღს ძალიან ნაკლები მზე ადგება...

მზის შუქს მოკლებულნი მცენარეები როგორდაც უშნოთ იწოწებთან მადლა და მალე ჰგვდებთან; ხშირად ავვაგებასაც კი არ ესწრებთან.

მართლაც და შესაბრალისი იყო პატარა კუთხეში გაკეთებული რამდენიმე კვალი, რომელსაც ორი სამი დიდი ხე და მეზობელ სახლების კედლები ჩრდილავდნენ.

„ბაღს“, მოთავსებულს ლათინთა უბნის შუაგულში, შეეძლო ეხვეებინა მოწაფეებისათვის მხოლოდ ის პირობები, რომლებშიაც მცენარეების გამრავლება შეეძლებოდა; ბაღსნობა და მეზობელთა კი, რომელიც აღნიშნული იყო პროგრამაში, მარტო ქოთნებში დათესვით ხორციელდებოდა.

სწორედ სატირელი!

არა ნაკლები ხელფხური ხასიათი აქვს პირუტყვებზედ დაკვირვებას.

ძრახების, ცხვრების, თხების ან კიდევ ბატების, ინდაურების, ქათმების სანახავად ბავშვები იძულებულნი არიან წავიდნენ ფერებზედ.

მართალია, იმათ ბაღთან აქვთ თავიანთი პატარა სამხეცო, რომელშიაც თევზების გარდა მოიპოვებთან კუ, ზღვის ღერები, ბჭია,



წვეული თეთრი თაგვი და წვეული გვრიტი, მაგრამ ერთ მხრივ, ნაკლები სამეურნეო მნიშვნელობა ამ ცხოველების ართმევს ამ გვარ „ზირუტევთა მომშენებლობას“ სკოლასთან უფელნიან პრაქტიკულ ღირებულებას, მეორე მხრივ კი ესეთი შემთხვევითი არჩევა ცხოველებისა და მათზე დაკვირვება მათი არსებობის ბუნებრივ ზირებათა გარეშე, ძალიან ამცირებს კოლექტივის მნიშვნელობას, როგორც განმანათლებელ სახელმძღვანელოსი ზოოლოგიის სწავლაში. აქედან ცხადია, რომ ამ სამხეტის დანიშნულება შეეთანხმება ორ მიზანს: ერთი, რომ გამოადგეს იგი ბავშვებს დაკვირვების სავარჯიშო მასალად, და მეორე კი ის, რომ გაუდვიდოს ბავშვებს სიყვარული ცხოველებისადმი.

ბავშვებს მართლაც და ძალიან უყვართ თავიანთი ზირუტეგები, ხშირად მიდიან მათ სანახავად, აჭმევენ. ერთხელ შემდეგ სურათს შევესწარი: ქ-ნი არტელი და ბავშვები ბაღში თითოთ აჭმევენ ორ ბრმა თაგუნას რძეს. თურმე დედს მოეყვანა აქ თავისი საში შვილი, ეს ორი ღვთის ანბარაზედ დაეურა, მესამე კი თან წაეყვანა და სადღაც გამჭრალიყო...

მაგრამ, აუწერელია ბავშვების ის სიხარული, როდესაც გაქცეული დედა რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდება და ბავშვებს ძველად ჩაუბრუნებიათ მისთვის ორთავე შვილი ცოცხლები და ჯანსაღები.

ცოცხალი ბუნების ამისთანა სიმსახინჯე საბავშვო ბაღში, რომელშიაც ზირველი ადგილი ბუნების შესწავლას უჭირავს, ნათლად გვიხატავს არა ნორმალურ მოწყობილობას საბავშვო ბაღებისას ქალაქში. თუ აღამიან როგორმე შეურიგდა ქალაქის საბავშვო ბაღს ზამთრობით, სამაგიეროდ გადაქმნა ამ ბაღისა სოფლის შრომის კოლონიად გაზაფხულზედ არის პირობა *Sim qua non* რაციონალური აღზრდისა. ქ-ნი მონო ექებს უფრო ფართო ადგილს

თავის ბაღისათვის; ამის მოლოდინში კი არც ხმარობს უფელნიან საშუალებას, რომ უფრო დრმად გააწინოს ბავშვებს ბუნება. აქ იგი იშველიებს ძერწვასაც და ხატვასაც.

ქ-ნი მონო თესლისაგან მცენარის განვითარებასთან ერთად აცნობს ბავშვს კვერცხისაგან წიწილის განვითარებას. ამ მიზნით ბავშვები წაიყვანეს ფერმაზედ და ეხლა შეძერწვეს კრუხი კვერცხებზედ მჯდომი.


ქ-ნმა მონომ გასტეხა კვერცხი და ჩვენს ბავშვებს ჩასახულ ნაყოფის ღაქა, აუხსნა მათ ცილის, გულის და ჰერეოვის გამარის მნიშვნელობა, უამბო დედა-ქათმის ზრუნვა თავის წიწილებზედ.

მეორედ ცოტა დავიგვიანე გაკვეთილზედ. ბავშვები ფერად-ფერადი საღებავებით ხატავდნენ დედნიდგან, რომელიც კედელზედ იყო მიკრული მასწავლებლის ხელით დახატული. სურათი სრულიად უბრალო, მარტივი იყო: იგი წარმოადგენდა ტბას, რომელზედაც ზატარ-ზატარა ტალღები ცელქად თამაშობდნენ და მრავალი თავკომბალები და დასცურავდნენ მასში; ტბას გარს ერტვა აურებელი სიმწვანე; ზემოდგან ხაზი ღურჯი ცა დასცქეროდა. როდესაც ბავშვებმა მარდად და ღამაზად გადახატეს სურათი, მივედი მაგიდასთან და დავინახე დიდი თასი აურებელ თავ-კომბალებით.

— ესენი გუშინ ჩვენ ვენსენის ტბაში დავიჭირეთ, — სთქვა ქ-ნმა მონომ. — ჩვენ კარგად დავათვალიერეთ ქვირითები, რომლებიცაგანაც ეს თავ კომბალები გამოვიდნენ. ეხლა კი ვეცდებით ამ თავ-კომბალებისაგან ბაყაები გამოვზარდოთ.

შემდეგ გაკვეთილზედ ბავშვებმა შეისწავლეს თავ-კომბაღასი ბაყაად გადაქმნის პროცესი.

ერთ დღეს, როდესაც მე ჩვეულებრივსაშუალო მივედი, ბავშვები ძერწვდნენ ლოკოკინას დედნიდგან. ორი ბავშვისა მიერ კლასში მოტანილი ლოკოკინა არჩეინად დაცოცხვდა მას-



ვიდაზედ და ნებას აძლევდა ოცამდე ცნობის მოყვარე თავად კარვად გაესინჯა.

ქ-ნ არტლის აზრით ბაკანის კეთების ერთადერთი დონისძიება არის სფერის ერთის კვერდის დახლები, მეორესი — ოდნავ დაწვეტიანება და ფრხხილით დაკლავნილი ხაზის გასმა.

მე არ დავკმაყოფილდი ქ-ნ არტლის ამ წინადადებით და ვცდილობდი ბაკანის გაკეთებას კონუსიდან. მაგრამ, რის გაკეთებაც ჰყოლის ცომისგან შეიძლებოდა, ეს თიხისგან მოუხერხებელი იყო და მე ხახა მშრალი დავრისი. როდესაც ლაკოკინის ძერწვას მორჩნენ, ქ-ნმა მონამ გააცნო ბავშვებს მისი ცხოვრება და მანებლობა მტენარეებისათვის, როდესაც იგი თავისი კვლიანი ენით აცლის მტენარეებს შთელ სირობეს.

ამავე მეთოდით ბავშვებმა შეისწავლეს კუ, შეძერწვეს თიხისგან და დასურათეს არაკი კურდღელზედ და კუზედ, შეისწავლეს მიმიკური სიმღერა, რომელშიც ტუმპით და მიმხვრით ხათლად დასურათეს ხელი ქვემძრომა. იმ მოძრავე სიმღერასთან დაკავშირებულ თამაშობებისგან, რომლებიც ქ-ნ მონოს ბაღში ვინაჲ, მაგონდება ერთი სრულად მარტივი თამაშობა, რომელიც დიდ სიამოვნებას აძლევდა ბავშვებს და უვარჯიშებდა მათ დაკვირვებას და შეხსიერებას. ბავშვები ახამენ ფერხულს, თან რაღასაც მღერაინ შეკაბრულად თამაშობის სიამოვნებაზედ და მხიარულებაზედ. ერთ რომელსამე ბავშვს თვალეებს უხვევენ და აყენებენ შუა წრეში. ამ დროს ერთი ბავშვთაგანი გადის წრიდან მეორე ოთახში; შუა წრეში მდგომს სწრაფად ხსნიან თვალებიდან ხელსხრცს, ფერხული კი იწყებს მის გარშემო ჩქარ ტრიალს. შუა წრეში მდგომმა უნდა ფიცხლავ დასახელდოს ოთახიდან გასული; თუ ერთბაშად ვერ გამოიცნობს, მაშინ ფერხული აუკვდრის მას გულ-მავიწყობას ამხანაგებისადმი: „როგორც თვალი შორს, ისე

გულიც შორს“, — ეუბნებიან მას. ეს შეხსიერების სავარჯიშო ამოცანა არც ისე ადვილია, როგორც სჩანს. თუ თამაშობაში 10 ბავშვი იღებს მონაწილეობას, გასულის გამოცნობა ისე ადვილი არ არის. ბავშვებში მუსიკალურ ურადლების გასავითარებლად, ქ-ნ მონოს ბაღში შემოდებულის მეთოდი ქ-ნ არტლის მიერ ჩამოტანილი მის სამშობლო Pestalossi Trobel Haus'-ა-დან. ბავშვები თავისებურ (ორკესტრს) ადგენენ: მათ ურიგდებთ ჯიმჯიშები, დაირები, დალაბანდები, დაფები. ქ-ნი მონო ურავს შინაინობზედ, ან ქ-ნი არტლი კი ხელმძღვანელობს ზატარა მემუსიკეებით. ზატარა ჯოხის მოქმედებით ან ეველანა ერთად უნდა აჰყვებენ შინაინოს, ცალცალკე. ამისთანა ორკესტრის მიზანია — შინაინოს ბავშვები მარდს და ერთ დროულ სმენის და თვალის შთაბეჭდილებათა შეგნებას, რაც ეველას ბავშვისათვის ადვილი არ არის. ამში მე დრმად დავრწმუნდი. რიტმიული გიმნასტიკა ქ-ნ მონოს ბაღში სწარმოებს ხან და ხან ფერად-ფერადი ბაირადებით. ეს Hage exercises, როგორც ამას ინგლისელები ეძახიან, მშკენიერა სხსხავია და დიდი სიხიარულე შეაქვს ზატარა გიმნასტიკის ჯგუფში.

გარდა თვალის ვარჯიშობის ფერადების განსხვავებაში, ეს ბაირადები ეველას მოძრაობას აძლევენ მეტ სიმტკიცეს, მტხინვარებას, რაც ძალიან ხელს უწყობს მოძრაობათა თანხმოვნებას და რიტმოვნებას. ამის გარდა, ეოველავე ხელის მოქნევა ვარჯიშებს იმ კუნთებს, რომლებიც უბრადო გიმნასტიკის დროს ნაკლებად მოძრაობენ.

დასასრულ ვიტყვი რამდენსამე სიტყვას ქ-ნ მონოს ბაღის დისციპლინაზედ და ამ დისციპლინის დასაცველ ზომებზედ.

მშვიდი, თანასწორი ალერსიანობა, დარბაისლობა, წკიერება და სიმტკიცე ბაღის ხელმძღვანელებისა. — აი ის გზნებანი, რომ-



ლებიც არამც თუ ჰქვამენ ბავშვებში სიფხიზ-
 ლეს, არამედ აჩვენებენ ბავშვის ზომიერობას,
 რომელიც სჯობს სწავლის წინსვლისათვის.
 მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ სკამარი-
 სი იყო ცოტადენი მოუთმენლობა, ან ხმის
 ამაღლება, რომ გაფანტულიყო მ.მნიშვნელო-
 ბა ნებაყოფლობათა ჰარმონიისა... ის თავის
 შემაჯგობა, რომელიც ხშირად ბავშვებს უფრო-
 სებისაგან გადაეცემათ ხელში, მთლად გაჭქრე-
 ბოდა და აღმზრდელებს ბავშვების მძაფრ ბუ-
 ნების დასამორჩილებლად აღარაფერი დარჩე-
 ბოდათ, გარდა დაჭკვიებისა ძალდატანებში-
 დე და წარა-მარა მუქარაშდე, რომლებამდინაც
 ისინი ასე გაუფრთხილებლად მივიდნენ.

წესიერება ბავშვი დაცულია ნამდვილი გერ-
 მანული რიგისობით და წესიერობით. რომ-
 ლებსაც ქ-ნმა არტლმა სრულიად შეუმჩნევლად
 შეაჩვია ბავშვები, როგორც მაგალითობრ; სკა-
 მების და მაგიდების ალაგებ-დალაგებით, რკუ-
 ლების დარეგებით და ალაგებით, ნახატების
 და შეძერწვილ ნივთების შეჩახვით.

— მე აქ მხედველობაში მაქვს ბავშვის
 ეროვნება, — სთქვა ქ-ნმა არტლმა: — ფრან-
 ცის ბავშვების მძაფრობას და ამაოებას მე-
 ტი არ იქნება შეუფარდო გერმანული წესიე-
 რება; ჩვენი გერმანული ზანტები კი ვცდები
 ცოტათი მაინც გამოვაცოცხლო და ფრანგების
 სიფხიზლეს მივაჩვიო.

ხელებისა და თითების უსარგებ-
 ლო ფათურის გადასაჩვენად, ქ-ნ არტლის სა-
 უვარელი დონისძიება არის ბრძანება: „les
 mains au dos“ (ხელები ზურგზედ). ამ დო-
 ნისძიებას ჰიგიენურ საძირკვლად უდევს ხერ-

ხემლის გასწორება და გულის უფროდობის
 განვითარება. უნდა ნახოს აღამანმა, რა და-
 უნებით თხოულობს ქ-ნი არტლი ახლად მო-
 უვანად მოწაფეებისაგან ამ თხოვნის ასრულე-
 ბას. და აი სწორედ ეს ამისთანა მკაცრი
 გაწრთვანა არის ძვირფასი ჰედაგოგიური დირ-
 სება, რომელსაც მოკლებულნი არიან ბევრი
 ჩვენი აღმზრდელთაგანნი. შეიძლება ლაპარა-
 კი ამა თუ იმ ჰედაგოგიურ დონისძიების გო-
 ნივრობაზედ, საჭიროა მკაცრი და ღრმა მო-
 ფიქრება იმ მოთხოვნებისა, რომელნიც ბავშვს
 უნდა გამოეცნადოთ, შეიძლება დაუნიებით
 მოთხოვნა იმისი, რომ ახრი ამ მოთხოვნე-
 ბის ნათელი იყოს ბავშვისათვის ვით დდე,
 მაგრამ ამისთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ
 მასწავლებლის მოთხოვნა ბუმბულივით სუბუ-
 ქი არ უნდა იყოს, რომლის მოტაცება ჰატა-
 რასაც კი შეუძლიან. მოუფიქრებლობა, ქარა-
 ფშუტობა, უწესრიგობა ბავშვის ბუნებრივი
 ნაკლებეგანებას და ჰედაგოგიურ წარა მარა
 მეთოდებს შეუძლიანთ უფრო განავითარონ
 ისინი.

მოფიქრებით, გონივრულად და სისტემა-
 ტურად აკმაყოფილებენ ქ-ნი მონო და ქ-ნი
 არტლი ბავშვის მძაფრ და მშფოთარე სულის;
 ბავშვებიც აღვილად იღებენ აღდგას სკოლის
 ატმოსფერისას, თვითონვე სცდილობენ ხელი
 შეუწყო მტრადინებობისათვის საჭირო დისციპ-
 ლინას, რომელსაც იოტის ოდენად არა სწი-
 რავენ თავიანთ სიმხიარულეს, რადგანაც თვით
 ამისთანა სკოლა მათთვის სიცოცხლე და სიმ-
 ხიარულესა.

კატო ბაქ — ძე.



სუსტ-ნერვებიანი ბავშვები

და მათი აღსრდა

ადამიანის გონებითი მუშაობა და მთელი მისი ნერვების ცხოვრება დაკავშირებულია ტვინთან, რომელიც სათუთი და მეტად რთული ორგანოა... ტვინი ასრულებს ათხს დანიშნულებას. პირველი — მოძრაობა. ნებაყოფლობითს მოძრაობას ტვინი აწარმოებს; იგი აღძრავს კუთებს, წესრიგი შეაქვს მის ძალაში და ჰარმონია კი მთელი კუთებისა, მოძრაობაში. ხელების და ფეხების კუთები და აგრეთვე კუთები მუცლისა თავისთავად კი არ მოძრაობენ, არამედ მათ ამოძრავებს ნერვების ნაკადი კუთების რომელიც ტვინიდან გამომდინარეობს. ამ სახით ქკუა, ნერვების რე კუთების მოძრაობა ურთიერთშორის ძლიერ დაკავშირებულნი არიან. მეორე დანიშნულება ტვინისა — ეს მისი ის ნიჭია, რომლის მეოხებით ის მიიღებს გრძნობათა, განცდათა, შეგრძნებათა — გრძნობათა ორგანოები ხედვისა, სმენისა, ყნოსვისა, შეხებისა, გემოვნებისა და მოძრაობისა ნერვების საშუალებით დაკავშირებულნი არიან ტვინთან. უმათოდ ტვინიც ვერ განვითარდება, და მათი რაიმე ნაკლი ანუ დასნეულება ასე თუ ისე მოქმედებს ტვინზეც. მესამე დანიშნულება — ეს სხეულის სისხლძარღვების გამგეობაა. მთელი სხეული იკვებება სისხლის მასალებიდან... თუ ტვინი არ განაგებს კვების პროცესს, მაშინ კვება სისწორით და უნაკლებოდ არ სწარმოებს. ტვინს შეაქვს წესრიგი სხეულში სისხლის განაწილების საქმეში. არტერიების და ბეწვის მსგავსი ძარღვების

საშუალებით. ტვინის მეოხზე უფრო უმათავრესი დანიშნულებაა — განუხილავი მუშაობა. ტვინის უმეტესი ნაწილი, და ამასთანავე უფრო რთული და ნაზი, ემსახურება გონებითს მუშაობას. ნერვებს დასაწყისი თავის ტვინში აქვს. ადამიანის სხეულში უფრო ყურადღების ღირსია უჯრედები... უჯრედების რიცხვი სხეულში აურაცხელია. ამ უჯრედების ცხოვრება — თვით სხეულის ცხოვრებაა. სადაც სიცოცხლეა იქაც უჯრედაა. ადამიანის ცოცხალი, გვამი — არის ერთგვარი კავშირი უჯრედებისა, ანუ საუჯრედო სახელმწიფო, რომელშიც კერძო უჯრედები აღასრულებენ თავთავის მოვალეობას. უჯრედები ნერვებშიც არის. ნერვების უჯრედებს მგრძობიარე უჯრედებს ეძახიან. უჯრედები მიიღებენ მასაზრდოებელს მასალას სისხლის მატარებელ ორგანოებიდან, რომლებთანაც ისინი შეკავშირებულნი არიან. დაღლილობის, მძიმე მუშაობის, ხანგრძლივი აზროვნების შემდეგ, ან სნეულების შემს, უჯრედებს უკვე ცოტა მასაზრდოებელი მასალა მოეპოებათ. საზოგადოდ უჯრედების სისხლნაკლებულობა, დაბერება, გადახასილება და გადაკვარება გამოიწვევს ადამიანის უღროვო მოხუცებულებას და მის სიკვდილსა. ტვინი, კუთები, ნერვები და უჯრედები ურთიერთ შორის მტკიცედ დაკავშირებულნი არიან... ესენი იკვებებიან სისხლიდან, — და ვისაც საღი სისხლი აქვს, მას საღი ნერვები აქვს... ხშირად ხდება, რომ შეშინებული, ცუდს ზიარებებში



აღზრდის ან რომელიმე სწეულების მეოხებით ბავშვის ტვინი, ნერვები და უჯრედები, მოკლებულნი საღს შემადგენელობას, არ ვითარდებიან ნორმალურად, რის მეოხებით ასეთი ბავშვის სუდიერს ბუნებას არ აქვს ის, რასაც სიჭკვიანეს და გონიერობას უწოდებენ... ამისთანა ბავშვი სუსტი სერკებისა. სუსტნერვებიანი ბავშვების აღზრდა თხოულობს განსაკუთრებულს ყურადღებას და სიფრთხილეს, აღზრდის მეცნიერების ცოდნას, — წინააღმდეგს შემთხვევაში, ისინი სულით ავადმყოფნი გამოვლენ და საზოგადოებას მეტ ბარგად შეიქმნებიან... რაც ხანი მიდის, ნერვების სისუსტე უფრო ვრცელდება, — მრავლდება ამასთანავე სულით ავადმყოფთარიცხვი... მაგრამ ადამიანის ყოვლად მძლე კონება, მეცნიერების სხივით განშუქებულმა, გამოიხატება მრავალი ბუნებრივი საშუალება სუსტ-ნერვებიანი ბავშვების აღსაზრდელად. ამ საშუალებათა მეოხებით, შესაძლო შეიქმნა ასეთი ბავშვებისთვის საუბედურო მერმისის თავიდან აშორება... რაში გამოიხატება ბავშვების ნერვების სისუსტე? არიან ბავშვები ან მეტად მოწყენილი, ან მეტად ცოცხალი... ხშირად მათ ემართებათ გულ-ყრა, თავის ტკივილი, უძილობა, კუთების სისუსტე, ხერხეზლის ტკივილი, კუჭის და ნაწლავების მოშლა... სუსტ ნერვებიანს ბავშვს უყვარს მანჭიობა, თითების წოვა, ფრჩხილების კენეტა, ის გულფიცხია, ზარმაცი, ჩლუნგი გონებისა, ზოგი კი უმოძრავია, ზანტი და ზოგიც დიდის ნიჭისა...

განვიხილოთ კერძო მაგალითებიც, რომელთაც ვხვდებით სხვა და სხვა წიგნში. ერთი პატარა ქალი შვიდს წლამდის ჭკვიანი იყო. შემდეგ უეცრად შეიცვალა... ის შეიქმნა მქისე, მიუყარებელი, ზარმაცი, ჯიუტი; მთელი დღეები დარბოდა მინ-

დვრებში და, თუ შენიშენას ამდენდენს, იგინებოდა. მშობლებს არავითარი გავლენა აღარ ჰქონდათ მასზე... გახდა საშინელი ქურდი: იპარავდა ძვირფასს ნივთებს, მათ ან მალავდა და ან სპობდა. რომ ვეღარ იმოქმედეს მასზე მშობლებმა, ამათ მკურნალს მიმართეს, რომელმაც აღმოაჩინა შემდეგი: პატარა ქალს თვლე 'ი მეტისძეტად უჭკვიანობდა. — თვლების კაკლის შუაგულში სითეთრის მაგივრად სიწითლე ჰქონდა, თავი — ცხელი, ხელ-ფეხი — ცივი: საჭმლის მონელება სუსტი... მადა არ ჰქონდა ნორმალური, უყვარდა ძილი იატაკზე, — მოსწონდა უსუფთაოდ ცხოვრება და სხვა... მკურნალის გამოკითხვამ აღმოაჩინა, რომ ბავშვის ნათესავებში ყოფილან ისეთნი, რომელნიც სულით ავადმყოფნი იყვნენ. ეს ბავშვი მაშასადამე სულიერად სწეული იყო. მკურნალმა ის ორი თვის ჯეროვანი წამლობის შემდეგ მოაჩინა.

ორი წლის ბავშვი იყო ბორბოტი და უხასიათო: იგლეჯდა ტანისამოსს, ყველაფერს ამტვრევდა, რასაც ხელს მოავლებდა და საჭმელსაც ხშირად არ იკარებდა. მეტად უყვარდა და სიამოვნებას გვრიდა შემდეგი გარემოება: დაიქერდა კატას, მოავლეჯდა უღვაშებს და ან ცეცხლში ჩაუძახებდა საბრალო ცხოველს და ან ფანჯრიდამ ძირს გადისვრიდა. ყველა ამას დიდის მოხერხებით და სიჩქარით ასრულებდა. არავისთან მეგობრად არ იყო. ბევრი აღმზრდელი ამოდ სცდილობდა მის გასწორებას... შემდეგ მიაბარეს მშობლებმა ხასიათის გამასწორებელს თავშესაფარში... მკურნალმა გასინჯა და აღმოაჩინა მასში ძარღვების სისუსტე, და სულით ავადმყოფობა.

ერთი ბავშვი არც ერთს სკოლაში არ დააყენეს. ის მეტის მეტი გულფიცხი იყო...

კაცს მოსაკლავად არ დაზოგავდა. ხან და ხან ხდებოდა წყნარი, მშვიდი, სათნო... მკურნალმა აღმოაჩინა, რომ მას ჰქონდა სულით ავთომეფობის ნიშნები...

შეს ნიშნავი ინგლისელი სულით ავად-მყოფობის მცოდნე მკურნალი **მაუდსლი** ამბობს შემდეგ: „ზოგიერთი ბავშვები ზნეობის მხრით მეტად მოუხეშავნი არიან და ამის გამო ღრმად ბიწიერნი; ისინი ცრუობენ და ქურდობენ რაღაცნაირის ჩაგონებით... იმათ მშობლები არ უყვართ და არც თუ სხვებისკენ უწევთ გული. ერთად ერთი მათი საზრუნავია — გამონახვა საშუალებათა თვის ბიწიერ ლტოლვათა დასაკმაყოფილებლად...“

ამისთანა ბავშვების ჭკუის ნიჭნი აღ-რეულნი არიან; თექვსმეტის წლისანი ისინი კითხულობენ ექვსის წლის ბავშვზე არა უკეთესად... ამისდა მიუხედავად, ისინი ხელოვნურად ატყუებენ სხვას, როცა კი ეს საჭიროა მათთვის და თავის სურვილს დაჟინებით განახორციელებენ. ზოგიერთს ბავშვებს არ ემჩნევთ რაიმე ნაკლებულევანება. იმათ შეუძლიათ მიიღონ კარგი საზოგადო განათლება. მათ აქვსო სულის ნიჭნი ერთი რომელიმე დარგის ცოდნის შესაძენად. ისინი გატაცებულნი არიან პირადი გრძნობით და ძლიერ შრომობენ. ამასთანავე ისინი ვერ ამჩნევენ, თუ რამდენად მავნებელია მათთვის ასეთი გატაცებული მუშაობა. ხშირად ამისთანა ბავშვები კარგად იქცევიან და სხვებთან კეთილ-განწყობილებაში არიან. თუ მათ რომელიმე ცუდს საქციელში დაიჭერენ, ისინი სწვრენ წერილებს, რომლებშიც გამოთქმენ თვისს ღრმა სინანულს, იძლევიან აღთქმას, — რომ გასწორდებიან, მაგრამ ამას ისინი განძრახს სჩადიან და არა გულითადის გადაწყვეტილებით...“

ხშირად გულფიცხოზა, სიბოროტე,

დაუდევრობა ემართებათ სრულიადიჯან-საღს ბავშვებსაც, როგორც წარმავალი დროებითი მოვლენა. სულის გამოცდილი მკურნალი და დაკვირვებული მასწავლებელი ადვილად გაიგებს, თუ რომელი ბავშვია ნერვებით სნეული და რომელი არა...

მაგრამ უმრავლესობას არა გაეგება რა ბავშვის ტვინის და ნერვების განვითარების პროცესის შესახებ. ასე იყო საქმე მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდის, როდესაც მეცნიერებმა პირველად მიაქციეს ყურადღება ამ გარემოებას. რეიმარომ, ლოკმა, კაბანისმა, ბიშამ, დარვინმა ეს საკითხი ზედმიწევნით განმარტეს და ცხად ჰყვეს. მაგრამ მათი აზრები ხალხის ფართო მასაში გავრცელებული არაა. დღესაც უმეტესობა ბავშვის სიმახინჯეს ხსნის იმ გარემოებით, რომ მის დედას ფეხმძიმეობის დროს არა სასიამოვნო შთაბეჭდილებანი შეხვდა... ბავშვის ნერვების სისუსტეს ხსნიან დედის რძის უვარგისობით... დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ბავშვის აღზრდას მიანდობდნენ ბუნებას იმ დრომდის, სანამ მასწავლებელი ან პოლიციელი არ მიჰყოფდა ხელს მის დაქვეანებას. დღესაც ას დედაში, შესაძლოა, ორმა იცოდეს, როგორ იზრდება ბავშვი, როგორ მატულობს წონაში, როდის უვითარდება მას დაკვირვების და მეხსიერების ნიჭი, უძლიერდება მიბაძვის სურვილი, გამოაჩნდება შიშის და რისხვის გრძნობა... და სხვა... ის კია, რომ ძალღთა მოყვარულებმა უფრო იციან ძალღთა ლეკვების ცხოვრების განვითარება, მათი სიმამაცის და ერთგულების გამოჩენის ამბავი, მათის გაჩენის პირველი წლიდანვე. სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ტვინი, როგორც უმთავრესი ორგანო, მოაწეს-



რიგებს გონების და სხეულის წინსვლა-წარმატების საქმესა და სხვა ორგანოებზე უფრო მეტად გადასცემს სულსა და სხეულს მემკვიდრეობითი მიღებულს სიავ-კარგეს... მემკვიდრეობა კი ორგვარია: ერთი ჩვეულებრივი, როდესაც წინაპართა სიავკარგე ჩამომავლობას გარდაეცემა და მეორე — თესლის მოწამლევა (ბლასტოფიტორია)... უკანასკნელის მეოხებით იწამლებიან შვილიერობის უჯრედები... მაგალითად, უკეთუ ლოთის შვილი გამოვა ყუყუჩა, პატარა ტანი ა, ბოროტ მოქმედი და სხვა: ეს მეორე ჯურის მემკვიდრეობაა შვილიერობის უჯრედების მოწამლევისაგან წარმომდგარი... სპირტ ნარევი სასმელების ჭარბად ხმარების მეოხებით ჩნდება და იზრდება მრავალი გამოუსადეგარი ნერვები მოშლილი ადამიანი... მხოლიდ სრული უარყოფა ასეთი სასმელებისა იხსნის კაცობრიობას მრავალ უბედურებათაგან... უკეთუ ტანი ნორმალურად იზრდება, ჭკუა-გონებაც ვითარდება ბუნებრივად. იქ, სადაც ტვინის ზრდა ისპობა, ან ჩერდება დედის საშოში მიღებული ავადმყოფობით, ან ბიწიერი მემკვიდრეობისაგან — ისპობა ჭკუა-გონების განვითარება და იწყება სიყუყუჩე (იდიოტიზმი). წინაპართა სხვა ავადმყოფობანიც ხშირად ხდება მიზეზად ბავშვის ნერვების სისუსტისა... ასეთს ავადმყოფობათა რიცხვს ეკუთვნიან: ქლერქი, ჭაობის ცივება, სპირტ ნარევი სასმელების გადაჭარბებული ხმარება, ტყვიით მოწამლევა, ჭყურტი, ქარებით სნეულება, ნეკრესის ავადმყოფობა და სხვ. ნერვების სისუსტეს წარმოშობს აგრეთვე შეუფერებელი აღზრდა, რომელსაც შეუძლია მისცეს ბავშვს ცუდი მიდრეკილებანი და გამოიყვანოს უხასიათო, დაასუსტოს ფიზიკურად და სულიერად. ხშირად ცუდის აღზრდის მეოხებით ბავ-

შვი გამოდის თვისება, ჯიუტი, სუსტის ნების და მოკლებული სრულს ზნეობრივს შეხედულებას; თუ ამას ზედ დაერთო კიდევ ცუდი სწავლება, დამაჩლუნებელი მისი გონების ძალთა და ნიქთა, რაც ასე ხშირი მოვლენაა, და სწავლების ჟამს ყურადღების მიუქცევლობა მის ფიზიკურს განვითარებაზე, მაშინ ბავშვის ცუდი მერმისი წინასწარ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს... ის უსათუოდ გამოვა ნერვები მოშლილი, ენერგიას მოკლებული და მალე დაეცემა შავბედთან ბრძოლაში.

არა ნაკლები ცუდი გავლენა აქვს სკოლაში სწავლების ჟამს ბავშვის დაღლილობა-დაძანკულობას, მაგრამ ამ გარემოებას მშობლები მეტად აზვიადებენ. გამოცდილი და დაკვირებული მკურნალები კი იმას ამბობენ, რომ ხშირად ბავშვები მოდიან სკოლაში და ხდებიან მის მოწაფეებად ისე, რომ მათ თან მოსდევთ მშობელთა სახლიდან ნერვების სნეულებათა თესლნი; სკოლაში სწავლების ჟამს გონებითი მუშაობის მიერ წარმოშობილი ნერვების აღძვრის მეოხებით მათ აჩნდებათ ნერვების სისუსტე, რასაც უვიცნი მშობელნი მხოლოდ და მხოლოდ სკოლას ჰიაწერენ.

უნდა გავითვალისწინოთ ცხადად ის პასუხისმგებლობა, რომელიც მშობელთ და აღმზრდელთ გვაქვს დაკისრებული... დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სუსტ ნერვებიანი ბავშვების აღზრდას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკეთუ ტვინის და ნერვების სისუსტე ფეხს მოიკიდებს ბავშვის ბუნებაში, ძლიერ ძნელია მასთან ბრძოლა, მაშინ შეუძლებელია შეჩერება იმ პროცესისა, რომელსაც ეწოდება გადაგვარება, (დეგენერაცია) გადაშენება, უდროვო სიკვდილი... ყოველი ადამიანი, ვისაც კი ენატრება თვისი ჩამომავლობის

საუკეთესო მერმისი, შიშით და ძრწოლით უნდა უცქეროდეს სუსტ ნერვებიანი ბავშვების აღზრდის დიადს საკითხს. ამ აღზრდის წესრიგი მან ზეპირად და შეგნებით უნდა იცოდეს და მას უნაკლოლოდ

ახორციელებდეს ცხოვრებაში, რომ ამის მეოხებით სუსტ ნერვებიანი ბავშვი სულიერად და ხორციელად საღი გამოვიდეს.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

კიდევ ფიზიკური შრომის მნიშვნელობის შესახებ.

(ახალი შედგენილება)

წინა წერილში, (იხ. „გან.“ № IV) მე გავატარე ძველი უკვდავ პედაგოგების აზრი ფიზიკურ შრომის მნიშვნელობის შესახებ; ეხლა მინდა მოკლეთ განვმარტო რომელი მხრიდგან რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ შრომა-ვარჯიშობას ახალგაზრდობისათვის. ყველამ ვიცით, რომ ბავშვს უყვარს მუდმივი მოძრაობა; ბავშვი აკვნიდანვე იწყებს მოძრაობას, რომელსაც იწყებს აკვანზე და დედის ძუძუებზე ხელების ცაცუნით; ეს მოძრაობა არის არსების სიცოცხლის კანონი; როცა ყმაწვილის მისწრაფებას, მის მოძრაობას და თვითმოქმედებას ვაკმაყოფილებთ პედაგოგიურათ, ამით ყმაწვილში ვბადებთ ერთგვარ სიამოვნებას, ვაბედნიერებთ მას და ამავე დროს ვაღორძინებთ მასში შრომის უნარს, ვაყვარებთ შრომას; შრომის სიყვარული კი ხელს უშლის ყმაწვილში უარყოფითი მხარეების განვითარებას. ყმაწვილის ფეროვანი ბუნება მოითხოვს სხვა და სხვაობას და როდესაც სკოლაში ფიზიკური ვარჯიშობა შეცვლის საგნების გადაცემით გონებრივ განვითარებისათვის მუშაობას, მაშინ ეს მოთხოვნილება ყმაწვილისა კმაყოფილდება. ამგვარათ ფიზიკური ვარჯიშობა დააკმაყოფილებს ახალგაზრდა ინდივიდუმის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას. ფსიხოლოგიური თვალსა-

ზრისით ფიზიკური შრომა, გარდა იმისა რომ ავითარებს ყმაწვილის ფსიხიკის ელემენტარულ ფუნქციებს, ამავე დროს ძალა-დაუტანებელი ფიზიკური შრომით გამოწვეული ენერგია და ყურადღება ავითარებს ყმაწვილს სულიერათ და უორკეცებს ცოდნას.

როცა ყმაწვილი თავის საკუთარი ფიზიკური შრომის ნაყოფს დაინახავს, საგანი მეტს შთაბეჭდილებას და ინტერესს გამოიწვევს ყმაწვილში და უფრო მეტად უვითარებს ყურადღებას; გაძლიერებული ყურადღება კი ულონიერებს ყმაწვილს ყველა გრძნობებს მაგ. მხედველობას, როცა ყმაწვილი ხედავს მოდელს ან სურათს იმ საგნებისას, რომლებიც თვითონ უნდა გააკეთოს; აგრეთვე, როცა ხედავს საგნისათვის გასაკეთებელ მასალას, ან ვაკეთების დროს სახმარებელ იარაღებს. სმენას, როცა ბავშვს ესმის მასწავლებლისაგან საგნის ვაკეთების ან გაფუჭების დროს საჭირო იარაღების შესახებ განმარტება, ახსნა; როცა მას ესმის ხმაურობა გასაკეთებელ საგნის იარაღის ხმარების დროს. **შეხებას**, როც ყმაწვილი ხელში აიღებს გასაკეთებელ საგნისათვის მასალას ან სახმარებელ იარაღს და ან ხელით ეხება იმ საგანს, რომელიც თვითონ გააკეთა; ავითარებს ფიზიკური შრომა დანარ-



ჩენ გრძნობებსაც და ამავე დროს ამაგრებს ძვლებს, ძარღვებს და მთელ ორგანიზმს. თვალსაჩინო სწავლა ხომ საუკეთესო საშუალებათ არის ნაცნობი პედაგოგიაში, მაგრამ ფიზიკური ვარჯიშობა სკოლაში გაცილებით უკეთეს შედეგს და გვანახებს.

გარდა ზემო ნათქვამისა, ფიზიკური შრომა ჰბადებს ყმაწვილში გულწრფელობას; მხოლოდ ფიზიკური შრომის შემოღების შემდეგ შეუძლიან გაეცნოს მასწავლებელი სავსებით მოსწავლის ზნეობას. ამასთან ერთად ფიზიკური შრომის საშუალებით ეცნობა მოსწავლე შრომას, მის ფასს და შრომის დროს დახარჯულ ენერჯიას და ამის გამო ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგ სხვის შრომას და მშრომელსაც დააფასებს და პატივისცემით მოეპყრობა, განემტკიცება სიყვარული და თანგრძნობა მუშა კლასისადმი.

ამგვარათ, სოციალურ მხრითაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ ვარჯიშობას სკოლაში მომავალი თაობისათვის.

საგნების შესწავლასაც სკოლებში მაგ. გეომეტრიისას, ფიზიკისას, ბუნების მეტყველებისას და სხვასაც ხომ შეუწყობს ხელს ფიზიკური შრომა—მეთოდი ფიზიკურ ვარჯიშობისა, ჩემის აზრით, უნდა იქნეს დამყარებული ბიოლოგიურ ლოდიკაზე, რომელსაც საფუძვლათ უნდა ედოს კანონი ევოლიუციისა, ფსიხოლოგიური მოთხოვნებიანი, სულის კვეთე-

ბა და მისწრაფება მოსწავლისა; აგრეთვე უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური შრომით კი არ უნდა გვეკონდეს მიზნათ მოსწავლეს პროფესიანალური ცოდნა შეეძინოთ, ეს პროფესიანალური სკოლების საქმეა, ფიზიკური შრომით ყმაწვილს უნდა გაუფითაროთ **ხასიათი** ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.—

ღიახ, ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ შრომას ახალგაზრდობისათვის, ამისათვის სახალხო მასწავლებლებმა უნდა შეიგნონ ფიზიკური შრომის მნიშვნელობა და შეძლებისა დაგვარად, შეიტანონ ეს ახალი პედაგოგია ჩვენს სკოლებში. მაგრამ, „როგორც მღვდელი, იმისთანა მრევლი,“ რაცა ვსთქვი პირველ წერილში სწავლა განათლების სათავეში მყოფი „მამების“ შესახებ, სამწუხაროთ, იგივე უნდა ვსთქვა მათი „მონა“—„შვილების“ სოფლის მასწავლებლების უმეტესობის შესახებ. რას უნდა გამოველოდეთ ისეთ მასწავლებლებლებისაგან, რომლებიც სიამოვნებით შერიგებიან გასპარჩანცის გარუსების პოლიტიკას და თუ თითო-ოროლას მათ შორის სურს ხმა ამოიღოს სკოლებში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ, იმასაც შიშით გული უცემს, რადგანაც ეშინიან თავიანთ „პატიოსან“ „აფხანიკების“ დირექტორ-ინსპექტორთან დაბეზღებისა.

გრ. საქარიქედელი

ს. ყაჯამშია.



ჭაერის მნიშვნელობა

ჯანმრთელობისათვის

ამ ბოლო დროს ძლიერ განშირდა ზოგერთ ჩვენს სოფელ-ქალაქებში ავთოქოროზი, რაც არა იშვიათად თავდება სიკვდილით. ბევრი ახალგაზდა, რომელთათვის მზე ჯერ კიდევ არ ამოსულა, უდროთ ესაღმება წუთისათვის და მშობელ ნათესავთ სანუგეშოთ უტოვებს მხოლოდ ოხვრას. სიკვდილი უფრო ხშირია ახალგაზდებში. ხალხი დანიადა, წინეთ თუ ჩვენში ას წლამდე ცოცხლობდნენ, დღეს ასეთი მოვლენა მეტად იშვიათია. რად მოხდა ეს? რუ თუ ბუნება გამოიცვალა, ჭაერი მოიწაშლა და მიტომ არის ასე? ამ უბედურების მიზეზი არის ის, რომ ჩვენ ცხოვრება არ ვიცით, ჩვენი ხელთ ვიჭრით ყელს. თუთუნის წვევა რომ მავნებელია, ამას უგულა დადასტურებს. მაგრამ, საუბედუროთ, ბევრს ხასიათის სიმტკიცე ვერ გამოუჩინია, რომ მიატოვოს ეს საძაგელი ჩვეულება. ღვინო და სხვა მაკარი სასმელები მავნებელია. ხშირი მოვლენაა, როცა ღვინით მივრალი ცუდ საქმეს სჩადის, ან ციფდება, ავად ხდება და კვდება. ჩვენი მშობლები არ არიან ფრთხილად, რომ მათი შვილები არ შეეჩვიონ მეტი ღვინის სმას, რადგანაც ამას ცუდი შედეგი მოუვება ხოლმე. როცა ბავშვები თუთუნის წვევას ეჩვევიან, მშობლები ვერც კი იჩინენ ფხას, გამოცდილებას, ვერსად უნახავთ ისეთი ხერხი, რომ ჰატარებს წვევა მიატოვებინონ. ადამიანში ჰატარობიდანვე ჩანერგული ცუდი ჩვეულება, რაც დრო გადის, თანდათან იზრდება, სწამლავს ადამიანის სხეულს და უდროთ გზავნის კაცს ამ სოფლიდან „სხვა მხარეს“.

იმის მიზეზი, რომ ჩვენს ახალგაზდებში ხშირია სიკვდილი, არის ის, რომ უმაწვილე-

ბი მოკლებული არიან თავის ცხოვრებაში ბევრ ისეთ რასმე, რაც აუცილებლათ საჭიროა მათი ფიზიკური და სულიერი ძალების გასავითარებლათ. ჩვენი მოსწავლე ახალგაზდები ცუდ პირობებში ცხოვრობენ, რაც საგრძობლათ ასუსტებს მათ სხეულს.

ჯანმრთელობა ადამიანისთვის უძვირფასეს განძს შეადგენს. ავადმყოფი კაცი თითქმის მთლათ მკვდარია. სხეულს არ შეუძლიან გამოიყენოს თავისი სულიერი ძალები, რაკი მისი სხეული მოდუნებულია. ვის არ მოუკლავს გულს მზერა ავთმყოფისა, რომელიც, მწარე სენით შეპერობილი საშინლათ იმანტება, კენესის, ოხრავს და სტირის? ანტომ უგულას ვაღია არ ჩაიღინოს ისეთი რამე, რაც პირადათ მას ან სხვას ავნებს, უნდა მიექცეს მეტი ყურადღება იმას, თუ რა პირობებში უხდება ჩვენს მოზარდ თაობას ცხოვრება; უნდა გამოიკვდეს, თუ რა ასუსტებს და უდროთ ასამარებს ადამიანს და კიდევ უნდა მოცილებული იქნეს თავიდან ეს მიზეზები.

ადამიანის დამსუსტებელ ერთ მიზეზად უნდა ჩათვალოს ის, რომ ჩვენი ახალგაზდები, ნამეტნავად სკოლებში, მოკლებული არიან სუფთა, წმინდა ჭაერს, რაც აუცილებლათ საჭიროა კაცისთვის, მოწაფეებით სავსე სკოლასო ოთახები სავსეა მტვერითაც; ოთახში გროვდება ამხანაურთქი ჭაერი და იქ მყოფთ სულთქმა უძნელდებათ. სუსტდება კაცი... სხეულს სასიცოცხლო ძალა ეცლება.

ჩვენ ჭაერს ვისურთქავთ. უჭაეროთ ცხოვრება წარმოუდგენელია. ჭაერი შესდგება აზოტის, მყავბადის და ნახშირმყავისაგან (УГОЛЬНАЯ



КИСЛОТА). ჭერში ამთ გარდა კიდევ არის, მხოლოდ ძლიან ცოტა: გელი, არგანი, კსენონი, კირპტონი და ნენონი; არის ერთქლიც: ჭერის ას ნაწილი არის: 78,06 აზოტის, 2094 მყავადის და 0,04 ნაწილი ნახშირ მყავის. ადამიანისთვის საჭიროა ასეთი ჭერი, მაგრამ ჭერს სადგომებში თავისი შუამდგენლობა ეტყობა; ოთახის ჭერს ძლიერ აფუჭებს ამონასუნთქი ჭერი, რომლის შუამდგენლობა შემდეგია: 79,587 აზოტი, 16,033 მყავადი და 4,380 ნახშირ მყავი; ამონასუნთქი ჭერში ერთქლიც ბლომადაა. ზირველი და მეორე ციფრები რომ შუკადართ ერთმანეთს დიდ განსხვავებას დაუინახავთ: ამონასუნთქი ჭერში მყავადი კლებულაბს, აზოტი და ნახშირ მყავი კი მეტია. ნახშირ მყავი იშვიათად იქნება ჭერში, რომ კაცს ავნოს, მაგრამ მის შეგროვებასთან ერთად ჭერში ვრცელდება ბევრი სხვა საწამლაჳი რამე: ტანსაცმლის მტვერი, ოფლი, თების სუნი, ზირის სიმურაღე და სხვა ადამიანის სხეულისგან გამოსული მერაღი გაზი საცოძნობლათ აფუჭებს ჭერს. ამონასუნთქი ჭერი დიდად მავნებელია: ამონასუნთქი ჭერში არის საწამლაჳი—კენოტოკსინი. ამონასუნთქი ჭერი გაატარეს ცივ მიღში. მიღის გვერდებზე დამდგარი წვეთები შეაგროვეს და შეუშხაზუნეს საცდელათ ცხოველს. მის ცუდათ იმოქმედა უკანასკნელზე—ცხოველს ავადმყოფობა დაეტყო. 10—12 კუბიკური სანტიმეტრი ამგვარი სითხისა კიდევ ჭჭაჳდა ზოგ ზატარა ცხოველს. ბევრს არ სჭერდა ეს; სანამ ბოლო დროს ზრთოფსრომა ვეინარდტმა არ აღმოაჩინა ამონასუნთქი ჭერში საწამლაჳი კენოტოკსინი.

ჩვენი სასწავლებლები ცუდათ არის მოწყობილი სშირათ. საკლასო ოთახებში გროვდება ამონასუნთქი ჭერი, ამას ემატება მტვერიც; სამოსწავლო მავილები, იატაკი და ოფისებიც კი გამტვერიანებულაა. მტვერი სხვა

და სხვა ნაწილებისგან შესდგება; მტვერში არის სშირათ ბაცილები, ბაკტერიები, რაც აჩენს სხვა და სხვა სენს. ამისთანა ბაკტერიები ბევრია საკლასო ოთახის ჭერში; ეს მეცნიერებმა გამოიკვლიეს. ბაკტერიები გაკვეთილების დაწყებამდის უფრო ცოტაა, ვიდრე გაკვეთილის დროს და გათავებისას. გესემ ერთ კუბიკურ მეტრს საკლასო ოთახის ჭერში ნახა გაკვეთილის დაწყებამდე 2,000 ბაკტერია, გაკვეთილის დროს 16,500 და გაკვეთილის გათავებისას 35,000. აქიმმა ზუბრილინმა ერთ კუბიკურ მეტრ ჭერში სკოლაში მოწათეების მისვლამდე ნახა 19000 ბაკტ., ზირველი გაკვეთილის დაწყებისას 29,450, დიდ შესვენების წინ 5,525, შესვენების შემდეგ 12325, მეოთხე გაკვეთილს შემდეგ 48000. როცა ბავშვები მოძრაობაში არიან, ჭერში მეტი ბაკტერიაა. როცა ბავშვები სხედან, ბაკტერიები იატაკს ან მოწათეთა ტანისამოს ეცემა და ზედ რჩება. ამიტომ მავნებელია, როცა ბავშვები კლასში ცელქობენ, ჩხუბობენ და ამტვერებენ. სულ გაუნძრევლათ ბავში ვერ გაჩერდება, მაგრამ სტომის და რბინის ნება ბავშს არ უნდა მიეცეთ კლასში; ამისთვის სხვა ალაგი უნდა მოინახოს.

საკლასო ოთახებში ჭერი ფუჭდება კიდევ იმიით, რომ ბავშვები ვერ ინახავენ თავს სუფთად; ზოგჯერ თების ალაგებიც ახლან არის შენობასთან. ჭერი ზომის მიწიდგანაც. სშირათ ეს ჭერი ცუდაა; მისი სუნთქვა, რასაკვირველია, კაცს ავნებს. იუდი ჭერის სუნთქვით კაცს თავი ასტვივდება, თავს ბრუ ეხმის, ზოგჯერ გული მისდის კიდევ.

როცა შევდივართ ხალხით სასუკე სადგომში, გვძნობთ, რომ ჭერს ცუდი სუნი აქვს. სშირათ უნახვით შეგვიძლიან გვიგოთ, თუ რამდენათ გაფუჭებულაა ჭერი. მაგრამ მთლად ამ გრძნობას არ უნდა ვენდოთ, რადგანაც არის სხეულის ისეთი მდგომარეობა, როცა კაცს უნახვის გრძნობა დაკარგულა აქვს.



გაფუჭებული ჰაერი მავნებელია კაცისთვის. წამხდარი ჰაერის სუნთქვას მაშინ უფრო დიდი ზნება მიაქვს, როცა ის ორთქლითაა გაჟღერებული ან და როცა ცხელია. საჭიროა, რომ ჰაერი, რასაც ვსუნთქავთ, არ იყოს ზომამდე მეტი თბილი და ორთქლით გაჟღერებული.

რომ ამონასუნთქი ჰაერი ოთახში იყოს მკურნალობად, მაშინ ოთახში გაძლება არ შეგვიძლება, რადგანაც ჰაერში თანდათან მოიმატება ისეთი ნაწილები, რაც სხეულს სწამლავს. სადგომებში ჰაერი იწმინდება. ჰაერის გაწმენდა ხდება ბუნებრივად და ხელაფნურათ. სახლის კედლებიდან, რისგანაც არ უნდა იყოს აკრებული შენობა, და ფანჯრებიდან შემოდის უხარისხი და სუფთა ჰაერი; ოთახის თბილი და წამხდარი ჰაერი კი გადის გარეთ. მაგრამ ოთახის ჰაერის ამგვარი გაწმენდა ხდება ხელა და არ არის საკმაო. ჰაერის გაწმენდისთვის საჭიროა, რომ ოთახისა და უხარისხი ჰაერი სითბოთი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. და ეს განსხვავება რაც მეტია, მით უკეთესი. როცა გვინდა ჰაერი გაწმინდოთ, უნდა გავადოთ ეგვალა ფანჯრები და კარები. მაგრამ უფრო დროს ასე მოქცევა არ ივარგებს. მაგალითად, ზამთრით ერთ დროულად კარებისა და ფანჯრების გაღებას შეიძლება მოჭევეს ის, რომ ბავშვები გაცივდებიან. ზაფხულში და გაზაფხულზე, როცა კარგი ამინდია, ზამთარშია, კარგი იქნება თუ სარკმელს გააღებენ კლასში; შესვენებისას კი ეგვალა ფანჯრები უნდა გაიღოს. ბავშვები უნდა მიეზიარონ სუფთა ჰაერით სარკებლობას, რადგანაც ეს ფორმად სასარგებლოა ჯანმთავლობისთვის.

ზოგიერთ მოწვევს საშინლად ეშინიან ფანჯრების გაღების. ფიქრებს, თუ ფარჯანს გავაღებ, გაცივდებიან. შიში არც დიდათ საფუძვლიანია, რადგანაც გაცივებისგან კიდევ შეგვიძლიან დავისხნათ თავი თბილად ჩაცმით,

ცუდი ჰაერის მომაკვდინებელი გავლენისგან კი ვერა, თუ არ შემოვუშვით გარედან წმინდა ჰაერი. კარგია, რომ ფანჯრები და კარები, სადაც კი ეს შესაძლოა, გაღებული იქნებოდეს გავეთილებამდე. სკიპიტრით ან ხავთით მოწმენდილი იატაკი ცუდ სუნს აყენებს კლასში. როცა ამ წამლებით ახლით მოწმენდილ კლასში შემხვედრია მეცადინობა, მთელი დღე არ გამიხარია: — თავი მტკიოდა, გაბრუნებული ვიყავი. ვწუხდი...

კლასში თუ ბეგრი ბავშვა, ოთახი ამონასუნთქი ჰაერით ჩქარა გაივსება; ჰაერი ორთქლით არის სავსე. სითბოც დიდი აქვს. დღისით ჰაერი თუმცა მზარადებულია, მაგრამ იმდენათ არა, როგორც იქ, სადაც ღამით უხდებათ მოწვევებს ცხოვრება კლასში. ამ მხრივ ზანსიონში მცხოვრებნი ცუდ მდგომარეობაში არიან. მოწვევებით სავსე ზატარა ოთახი იქ მეფოთან შედარებით, ოთხი-ხუთი დიდი ლამპის სითბო, კარნაგეტილობა ცუდათ მოქმედებს მოწვევებზე. შიშის სხვის მკრთალი ფერი სისუსტის ნიშანია. როცა ერთ-ერთი სემინარიის ზანსიონერებმა შემთხვევით სამტრედიაში გაიარეს, იქ ღამსწრემ მითხრა — ეგვალანი ავთ ხომ არ უფიქრებთ. ხალხი ძლიერ გავიერდა იმითი, რომ მოწვევებს მკრთალი ფერი ქვინდათ.

კარებისა და ფანჯრების გაღებით ოთახის ჰაერის გაწმენდა მოსწონია. როცა კი შესაძლებელია, უნდა ვცადოთ გაწმინდოთ ამ რიგათ კლასში ჰაერი. მაგრამ რაკი ბუნებრივი გაწმენდა არ კმარა და ზოგჯერ მოუხერხებელიცაა, საჭიროა ხდება ჰაერის ხელაფნურათ გაწმენდა. ისეთი ადგილიდან, სადაც სუფთა ჰაერია, შემოვუშვებენ მიღს ოთახში. ამ მილიდან შემოვა კარგი ჰაერი. ხელაფნურათ ჰაერის გაწმენდის დროს უურადდება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენათ სუფთაა მილი (შეიძლება მილი, ხანი რა გავა, ჟანგით დაიფაროს, გაჭედილი იქნეს); აგრეთვე ჰაერი უნდა



მოგვეუდეს ისეთი ჯაგინდანი, სადაც არაფერი სიბინძურე არ არის. სადგომებში უნდა იყოს ფანჯრების თ ვზე ჰატარა სარკმელი, ეს სარკმელი უნდა იღებოდეს ხშირათ, რომ თათხში განუწყვეტლივ შემოდინდეს წმინდა ჰაერი.

ვისრუნათ ახალგაზდობისთვის! ნუ მთ

ვაკლებთ სუუთა ჰაერს. ისუნთქეს ვაწმინდა, გამაცოცხლებელი ჰაერი. მანსიონის ბხელ კედლებში ნუ შევუხუთავთ მოსწავლეებს სუფს და ვეცადით ერთქლით გაუდენთილი, თბილი და გაფუჭებული ჰაერთ არ მოუწამლოთ სხეულა მოზარდ თაბას—ჩვენს მომავალს.

გერასიმე.

ადამიანის უძლურება და ბედის წერა ლეკ ანდრეევის თხზულებებში

(„დღენი ჩვენის ცხოვრებისა“ და „გაუდაქუს“)

შინც რავდენადმე მაინც თვალყურს ადევნებს თანამედროვე ლიტერატურას, ის აშკარად შეამჩნევდა, რომ თანამედროვე სიტყვა კაზმული მწერლობა მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიის გავლენის ქვეშ იმყოფება და, რაც უფრო მეტი ხანი გადის, იმდენად უფრო ვრცელდება და ჯერ ჯერობთ მტკიცედ ფეხსაც იკიდებს ამგვარი მიმართულება. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ფილოსოფიურ მიმართულებათა შორის კი უფრო ძლიერი გავლენა სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ზოგის საუბედუროდ და ზოგის საბედნიეროდ, აქვს ასრეთ წოდებულ მოდერნი სტულ მიმართულებას, რომლის მამა-მთავრადაც შეიძლება ჩავთვალოთ ჯერ შტირნერი თავის თხზულებით: ერთად ერთი და მისი საკუთრება და მერვ ფრიდრიხ ნიცშე, რომლის ნაწარმოებთა შორის ყველაზედ მეტი გავლენა აქვს ორთხზულებას: ბორტისა და კეთილის იქით და ასე სთქვა ზარატუსტრამ.

საკვირველია, საზოგადოების წყობილებასთან და სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობასთან აქვს მჭიდროდ დამოკიდულება.

მეცხრამეტე საუკუნემდის ცხოვრება მეტად მარტივი იყო: პოლიტიკური აბსოლიუტიზმი, ე. ი. თვით მპყრობელობა, სოციალური ფეოდალიზმი და ეკონომიური კარ ჩაკეტილობა, გაცვლა-გამოცვლა საქონლისა. ამაზედ რთულს მაშინდელი მოაზრენი არაფერს ჰხედავდნენ ცხოვრებაში.

ამიტომ აზროვნებაც ასევე მარტივი იყო. და ამასთან მარტივად და ადვილ საქმედ ეჩვენებოდა ადამიანს საზოგადოების გარდაქმნაც. საკმარისია, რომ ადამიანი მოინდომოს და ხელად დაამსხვრევს მონობის უღელს, ან, უკეთ რომ ვთქვათ დამსხვრევაც არ არის საჭირო, აიღებს და გადაადგებს. თუ სურვილი და კეთილსადმი მისწრაფება ექნება უმრავლესობას, იგი ადვილად დაამყარებს ქვეყანაზედ სამოთხეს. კეთილი სურვილის გაღვიძება კი

ამგვარი მიმართულების გამეფებას, რა-

ადვილია. საკმარისია, ყოველ ადამიანს დაუხატოთ სილამაზე, მშვენიერება და ბედნიერება მომავალი ცხოვრებისა, იგი მაშინვე დათანხმდება და თვითონვე გადაადგებს იმ უღელს, რომელითაც იგი იმორჩილებს თავის მონას. ასეთი იყო საზოგადოდ რაციონალისტური შეხედულება ადამიანის ბუნებაზედ.

ასეთ მანერას აზროვნობისას სიტყვა-კაზმულ მწერლობაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. მაშინ ლიტერატურაში მეფობდა რომანტიზმი. რომანტიკოსების ერთი უმთავრეს თვისებათაგანი კი ის იყო, რომ მათ უყვარდათ გმირებზე წერა, იმ გმირებზე, რომელნიც ებრძოდნენ მონობის უღელს და საზოგადოებას მომავალ ბედნიერებისაკენ ეწეოდნენ, კარლ მოოროსავით, ან და გეტეს პრომეთეოსისავით თვით ზევესს ებრძოლება და ცეცხლს სტაცებს ხალხისათვის.

მაგრამ გავიდა ხანი. ცხოვრება გართულდა. ბატონისა და ყმის დამოკიდებულების მაგივრად ფეხი შემოდგა სხვა და სხვა გვარმა ეკონომიურმა დამოკიდებულებამ. გაჩნდა მრავალგვარი იდეოლოგია, მრავალგვარი ჯგუფი, რთული ცხოვრების ამოცანის ახსნა გაძნელდა. გაცრუვდა იმედი ძველი მოაზრებებისა, საფრანგეთმა აშკარად დაანახვა ყველას, რომ ცარიელი სურვილი არ კმარა, რომ ჩვენ ჩვენი ცხოვრება სურვილისამებრ გარდავქმნათ, რომ არიან, რაღაც ჩვენ გარეშე მყოფი პირობები, რომელნიც გვზღუდავენ ჩვენ, იმორჩილებენ ჩვენს ნებას, ჩვენს სურვილსაც კი და ამიტომ ყოველი ჩვენი ნაბიჯი რაღაც საიდუმლო კანონებზეა დამყარებული. ამ მიმართულებამ შექმნა პესსიმისტური მიმართულება შოპენჰაუერისა და ამანვე შექმნა ნიცშეს სწავლა დიდ გონებაზედ და პატარა გონებაზედ.

ამ მოძღვრების ძალით ყოველი მოაზრე ადამიანი წარმოადგენს პატარა გონებას. ხოლო საღდაც, უხილავად და ფარულად არსებობს დიდი გონება, რომელსაც ზოგი განგებას ეძახის, ზოგი ბუნების კანონებს, ზოგი ღმერთს. ამ დიდი გონების ხელში ვართ ყველა ჩვენ და რა საქმეც უნდა დავიწყოთ, რასაც უნდა მოვკიდოთ ხელი, ჩვენ მის უფლების გარეშე მოქმედება არ შეგვიძლიან. ცხოვრებაში ჩვენ თითქოს ლუნატიკებს ვემსგავსებით, რადგანაც ყველა ჩვენგანი თვითონ თავის საკუთარი სურვილით და ნებით მოქმედობს, ნამდვილად კი რაღაც ძალას მიეყვართ ჩვენ ხან აქეთ, ხან იქით. ეს ძალა არის ძალა დიდი გონებისა. მართალია, ეს მოძღვრება ნიცშესი არ ეთანხმება მის მეორე ნახევარს. ნიცშე საზოგადოდ მოტრფიალეთა თვისუფალი ადამიანისა, რომელიც დაჰგმობს და გადალახავს ყოველ სწავლას, ყოველ კანონს, საზოგადოების აზრს, ზნეობას და იმოქმედებს ისე, როგორც ეს თვით სურს, მაგრამ მეორე მხრით იგი გრძნობდა, რომ ჩვეულებრივ ადამიანს ეს არ შეუძლიან, რადგანაც იგი დამოკიდებულია საერთო ნებისა და საერთო გონებისაგან. ამაში მდგომარეობდა ნიცშეს პესსიმისმი და აგრეთვე ტრაგიზმი მრთელი მისი ცხოვრებისა.

ამგვარი პესსიმისტიური შეხედულება შეითვისეს ზოგმა თანამედროვე მწერლებმაც და კერძოდ ლეონიდ ანდრეევმაც. დიდი ხანია ფიქრობენ, რომ ლ. ანდრეევის პესსიმისმის საფუძველი სწორედ ეს არისო, მაგრამ გადაჭრით თქმა ძნელი იყო, ვიდრე თვით ავტორმა პირდაპირ არ წარმოსთქვა ეს სიტყვა თავის ანათემაში და არ დაარქვა დიდი გონება იმ განგებას, რომელმაც დავით ლეიხერის კეთილი საქმე ბოროტად გადააქცია, აქ



პატარა გონებს ანათემას ეგონა, გავიგე საიდუმლოება ცხოვრებისაო, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ბოროტება მეფობს სიკეთეზეო, მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ დავ. ლეიჯერს საიქიოს ბედნიერება ეწია, აქ იგი ისევ წყეულ სულად გრძნობს თავს და ისევ უცოდინრობით იტანჯება. დიდი გონება კი ისევ დიდებული და ძლიერია, ისევ დუმილით და იდუმალი რისხვით არის აღსავსე, ასე განმარტავს ლ. ანდრეევი თავის შეხედულებას ანათემაში. ხოლო არცერთ ნაწარმოებში არ განუმარტავს ეს შეხედულება მას ისე მარტივად და გარკვევით, როგორც ორ საუცხოვო პიესაში: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა და „გაუღდამუს“.

ორსავე პიესაში ლ. ანდრეევს საგნად აქვს აღებული სტუდენტების ცხოვრება. სტუდენტების ცხოვრება იმიტომ კი არ აულია საგნად ანდრეევს, რომ გვაჩვენოს მათი ლოთობა, მათი ქეიფი და დაქვეითება. ამ გვარი დასმა საკითხისა მორალისტების საქმეა. ანდრეევი კი მორალისტი არ არის.

სტუდენტები აინტერესებენ ანდრეევს, როგორც ახალგაზღობა, სიცოცხლით სავსე, სიცოცხლის და სიხარულის ნიჭით აღჭურვილი და მეორე მხრივ როგორც უფრო შეგნებული ნაწილი ჩვენის ახალგაზღობისა. ერთი მხრით ისინი ხარბად ეწაფებიან ცხოვრებას და სტკბებიან მის სიტკბოებით და მეორე მხრით კი ყველაზედ კარგად გრძნობენ ცხოვრების ამოებას. როგორც ჯერ ახალგაზრდა სპეტაკი სულის პატრონთ, მათ ჯერ ცხოვრების ტალახი არ მიჰკარებიან და ამიტომ უფრო ღრმად უკვირდებიან ცხოვრებას და სხვაზედ კარგად ჰხედვენ უფსკრულს სინამდვილისა და იდეალის შუა გათხრილის. ამგვარი პესსიმიზმი ერთი მხრით, ცხოვ-

რების ამოება მეორით და სიცოცხლის და სიხარულის წყურვილი მესამე მხრივ აიძულებს მათ ისარგებლონ წუთიერ ცხოვრებით, და ამიტომ მათი ცხოვრება წაავაგვს გაუთავებელ ქეიფს. მაგრამ ამ ქეიფში ბევრი შხამი და სამსალაა ჩარეული.

ამგვარი სულის გამომხატველია მათი საყვარელი სიმღერებიც „ფუჟია ვით ტალა ცხოვრება ჩვენი“ და *gaudeamus*.

ამგვარი სულის გამომხატველია შეუღარებელი ონოფრეც. წარმოიდგინეთ იგი თავისი ნაკლულევანებით და ღირსებით: გაქონილ ტუყურკით, ღვინისაგან გაჟღენთილ სახით, ფართო მხარბეჭით და ძლიერი ხელებით. მიუმატეთ ამას კონიაკის ბოთლიც ხელში და თვალ წინ წარმოგიდგება განხორციელებული იუმორი, ღრმა უიმედობით სავსე, სასოწარკვეთილი იუმორი ანდრეევისა. ონოფრე სვამს იმიტომ, რომ ამის მეტი სხვა ყველა ამოებაა ქვეყანაზედ. იგი სტუდენტის ტანისამოსს არ იხდის და უნივერსიტეტში აპირებს დარჩენას სიკვდილამდის იმიტომ, რომ იცის, თუ ცხოვრებაში გამოვიდა და საქმეს მოჰკიდა ხელი, მოღვაწეობა დაიწყო, ისიც ცხოვრების ჭაობში ჩაიფლობა, დაწვრილმანდება ისე, როგორც ის მემამულეები, რომელთანაც ის სტუმრად იყო და რომელთაც ერთი კვერის დაკარგვის გამო ალიაქოთი ასტეხეს.

„იმათი კვერი მუცელში კინალამ ბოროლად გადამექცაო“, ამბობს სასოწარკვეთილი, მაგრამ მუდამ ოხუნჯი და მოციხარი ონოფრე. სამაგიეროდ აიღეთ მეორე მხრივ მისი სულის სისპეტაკე, მისი გულკეთილობა. გასაოცარია, როგორ თავსდება მის უგვან გარეგნობაში ასეთი ღირსებები; იგი ჩინებული და თავდადებული მეგობარია: თუცა წინააღმდეგია ყრილობისა, მაგრამ რაკი ამხანაგები მი-

დიან, ის არ სტოვებს მათ და მათთან ერთად უნდა განსაცდელი გამოსცადოს, თუმცა არ მალავს, რომ ყრილობაზედ წასვლა მას სისულელედ მიაჩნია.

ვისაც რა გაჭირვება უნდა დაადგეს, ონოფრე პირველი ეხმარება და ზოგს, როგორც სტულ. ელუზოვცევს, განსაცდელიდანაც იხსნის ამისთანა დროს. ის სრულიადაც არ ფიქრობს თავის თავზედ, თავის შეწუხებაზედ. ნუ გვეგონება, რომ ონოფრე ცხოვრებისაგან გამორიყული კაცია, რომელიც არ აფასებს დამშვიდებულ ცხოვრებას, რადგანაც მისი ფასი არ იცის, რომ მის გაფუჭებულ ხასიათს მხოლოდ ლოთობა და უთავბოლოთ ხეტიალი შეეფერება. არა. ის ოცნებობს მყუდრო ოჯახზე, სწყურიან მყუდროდ, დამშვიდებით ცხოვრება. მყუდრო ოჯახის ძებნა ეს მარტო ოხუნჯობა არ არის. ამ ოხუნჯობაში ღრმა ჭეშმარიტებაა: მყუდრო ოჯახზედ მისი აზრით მხოლოდ ოცნებობა შეიძლება, ნამდვილად იგი არ არსებობს, მეტადრე ონოფრესათვის, რადგანაც მყუდრო ოჯახის შექმნას ათასნაირი კომპრომისები და ქედის მოხრა სჭირდება და მას კი ეს არ შეუძლიან.

ონოფრეს ანტიპოდია კურსისტკა ლილია. იგიც ცხოვრებისაგან გაუფუჭებელი, გულ უბრყვილო არსებაა. მასში დაცულია ხელ-შეუხლებელი, წმინდა და უანგარო გულკეთილობა უბრალო ხალხისა. იგი სულით ჯერ სრულიად ბავშვია და არცკი ფიქრობს იმაზედ, თუ რამდენად უგვანი და ჭუჭყიანი რამ არის ცხოვრება. იგი განხორციელება მდაბიო ხალხის გულკეთილობისა. მოიგონეთ რა ბავშვური გულ-წრაფელობით აღევლებს მას მეფოვეს ბრიყვული საქციელი, მოიგონეთ რანაირის თავდავიწყებით ცდილობს იგი, რომ მოაწყოს სტუდენტების ყრილობა,

რომელიც მას ძლიერ საჭირო საქმედ მიაჩნია. საშინელი ყინვაა; მას ტანთ-საცმელი არა აქვს საკმაოდ თბილი, მაგრამ მაინც დარბის გაუზომელ ქალაქში, რომ ყველას შეატყობინოს, თუ როდის და სად უნდა მოიყარონ თავი. სიცივე მას სტანჯავს. ფეხები და ხელები დაზრული აქვს; ტკივილები სტანჯავს იქამდის, რომ იგი ტირილსაც ვერ იკავებს, მაგრამ ორი სიტყვა მომავალ ყრილობაზედ და ტკივილები დავიწყებულია. ორიოდვე წუთში უთხრა ლილიამ ყველას, რაც სათქმელი იყო და ხელახლად ჩაიცვა თავისი გახუნებული ქურქი, რომ ხელახლად ირბინოს საშინელ ყინვაში. არც მუდარება, არც ხვეწნა მას არ ესმის. არცკი მოჰფიქრებია, თუ შეიძლება, რომ ახლა სხვა წავიდეს იმის მაგიერად. და ყველა ამას სჩადის იგი უფრაზოდ. ეს საქციელი მისი ორგანიული მოთხოვნილებაა, ჩვეულებრივი საქციელია. მართალია, ამით იგი დიდ საქმეს არ აკეთებს, მაგრამ დიდ საქმეშიც იგი ამგვარსვე უანგარობას გამოიჩენს. დასასრულ მოვიგონოთ, რანაირი დედობრივი აღერსით ამშვიდებს იგი მოხუც სტუდენტს, როდესაც იგი სასოწარკვეთილებას ეძლევა, დინას მშვენეირებით მოხიბლული და უიმედოდ შეყვარებული. იგი ყველას დედაა, ყველას მანუგეშებელია და თავისთვის კი სულ არაფერს არ თხოულობს. მხოლოდ ერთხელ მოაფიქრდება, რომ იგი არავის არ უყვარს, რომ იგი სხვებსავით არ მზიარულობს, მაგრამ ერთი მოხდენილი უბრალო ხალხური ცეკვა და მისი ახალგაზრდული გიჟ-მაჟი სურვილი სრულიად დაკმაყოფილებულია.

ონოფრე კარგად აფასებს ლილიას. მას ყველაზედ მეტად ლილია უყვარს, მაგრამ აქაც იგი მასალას პოულობს თავის პესიმიზმისას. იგი სწუხს, რომ ლილიას გულ-



კეთილობა სრულიად ამაოა. იგი ვერავის ვერაფერს არგებს. მოხუც სტუდენტსაც ვერ უმსუბუქებს ვარამს და ვერც თვით ლილია ჰხედავს სიცოცხლეში ბედნიერებას. მაშასადამე წყეული ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ადამიანის კეთილ გულს და თავის დადებასაც კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ ონოფრე ჩვეულებრივის ოხუნჯობით ეუბნება მას: შეექმნათ მყუდრო ოჯახიო, რატო ვერე ყველას კისერზე ეხვევია.

ამგვარი მოტივია გატარებული თავიდან ბოლომდის ორივე დრამაში. საზოგადოდ ონოფრე სულია ორსავე დრამისა. იგი ამ ორივე დრამაში ისეთ როლს თამაშობს, როგორც აკომპანიმენტი რაიმე სიმღერაში. იგი აძლევს მას მიმართულებას, იგი ხსნის უმთავრეს აზრს დრამისას.

თვით სიუჟეტები ამ ორი დრამისა სრულიად ერთნაირია ონოფრეს სულის განწყობილებას. პირველი დრამის სიუჟეტი შემდეგში მდგომარეობს: ახალგაზრდა, ლამაზი და სპეტაკი სულის ნაზი არსება, ოლგა ნიკოლაეფნა ინსტიტუტის გათავების შემდეგ დედასთან სცხოვრობს. მისი დედა გარყვნილი დედაკაცია და ამასთან ღარიბიც. ამიტომ იგი სარგებლობს ახალგაზრდა და ლამაზი ქალით და მისი გაყიდვით შოულობს საზრდოს. ქალი იტანჯება ამგვარი მდგომარეობით. მაგრამ ხსნა არსად არის, რადგანაც ინსტიტუტმა იგი ცხოვრებას მოსწყვიტა და ხასიათის ძლიერებაც წაართვა, მაგრამ შემთხვევით იგი მოჰყვა ასეთ წრეში, რომელზედაც წარმოადგენაც კი არა ჰქონდა: მოსწავლე ახალგაზრდობაში მას შეუყვარდა სტუდენტი გლუხოვცევი. როდესაც ეს უკანასკნელი გაიგებს თავის სატრფოს მდგომარეობას, პირველად ოდნავ გაუბედავად სცდილობს მის დახსნას, მაგრამ ამაოდ.

იგი ბრძოლაში შეეტაკება ცხოვრების საშინელებას: მატერიალურ გაჭირვებას. ბევრი ლაპარაკი და ძებნა დასჭირდათ, რომ ორი დღის მშვიერი ქალისთვის ექმნათ რამე, მაგრამ ეს ხომ სამუდამოდ ხსნა არ არის. როგორ გაუწიოს წინააღმდეგობა საცოდავმა ქალმა დედას, როდესაც ორივეს სიმშვილე-წყურვილი ელის? ფულის შოვნა მუშაობით შეიძლებოდა. ოლგაც ფიქრობს ამაზე, მაგრამ იგი გრძნობს ამაშიც თავის უძლიერებას: „აი, ცოტა დამაცადე, ნუ ამაჩქარებ, მე ვიმუშავებ, შენ მასწავლი მუშაობას“ ეუბნება იგი გლუხოვცევს, მაგრამ მის სიტყვებში აშკარად სჩანს, რომ მას ეს არ შეუძლიან. ინსტიტუტმა სრულიად დაუხშო მას ინიციატივა და ესეც რომ არ იყოს, განა ისე ადვილია ჩვენ უკუღმართ ცხოვრებაში სურვილისამებრ სამუშაოს შოვნა, როდესაც ათასობით რაიმე ხელოებაში გაწვრთნილი და გაწაფული მუშა ხალხიც კი უმუშევრად არის დარჩენილი? ამას გრძნობს გლუხოვცევიც და ამიტომ მასაც არა აქვს ოლგას ხსნის იმედი. მას ერთი გზაა დარჩენია: მოშორდეს ამ გარყვნილ ოჯახს და დაივიწყოს სატრფო, მაგრამ არც ეს შეუძლიან, რადგანაც იცის, რომ ოლგა არ არის დამნაშავე თავის უბედურებაში, რომ მას სპეტაკ სულს არ ეკარება ის ჭუჭყი, რომელიც მას გარს ახვევია, რომ მასაც შეუძლიან სიევარული, რომ მასაც სწყურია სიყვარული და შებრალება. ამიტომ ერთი საშინელი შეტაკების შემდეგ იგი ემორჩილება საშინელ ბედს, უღმობელს და მკაცრს, ებრალება, მხოლოდ ებრალება მის მიერ ამორჩეული მსხვერპლი და პიესის დასასრულს ისმის მისი გულიდან ამონახეთქი, სასოწარკვეთილი სიმღერა „ფუჭია, ვით ტალღა ცხოვრება ჩვენი“.

დრამა ამ სიმღერით იწყება და იმითვე
თავდება. ეს საუცხოვო სურათია ჩვენი
ცხოვრების უკუღმართობისა.

ვინ არ იცის, რომ თანამედროვე პრო-
სტიტუციის მიზეზი მის მსხვერპლთა გა-
რეშეა! დასტოვესკის სონია მარმელადო-
ვის, კატია მასლოვის, კუპრინის ჟენიასი
და ანდრეევის ლიუბას შემდეგ არც იმაში
უნდა იყვეს ეჭვი, რომ ამ სხვერპლთა
გულშიც არის ციური ნაპერწკალი, მა-
გრამ უღმობელი ბედის წერა საშინელის
ხელობით აშოვნინებს მათ ლუკმა პურს.
ეს უღმობელი ბედისწერაა სწორედ ის,
რასაც ანდრეევი უწოდებს „დიდ გონე-
ბას“, რომელიც ადამიანს ართმევს ძალას,
დასცინის მის ცოდვილობას, ვითომდა
ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ეს ცხოვრების გამაუმჯობესებელნიც
ჰყავს ლ. ანდრეევს დასურათებული, მა-
გრამ მათ მოღვაწეობაში იგი უფრო მეტს
უიმედობას ჰხედავს: სტამესკინი და ანუ-
ჩინა არიან ამგვარი მიმართულების გა-
მომხატველნი. ამათ დიდი გავლენა აქვთ
მთელ სათვისტომოზედ, რომელიც პიესა
„გაუდიამუს“ პირველ მოქმედებაში კურსი-
სტკა დინასთან იკრიბება. ესენი სცდი-
ლობენ, სათვისტომოში ახალი მიმართუ-
ლება შეიტანონ, დაუმორჩილონ იგი პა-
რტიულ მიმართულებას. მაგრამ მათი
მოღვაწეობა ანდრეევს თითქმის სასაცი-
ლოდ აქვს გამოყვანილი: ისინი იმდენს
არას აკეთებენ, რამდენათაც თავს იღებენ
და ზიზლით და დაცინვით უყურებენ სა-
თვისტომოს წევრებს. ისინი ყოველგან გა-
ნცალკევებულნი არიან, საერთო მხიარუ-
ლებაში არ იღებენ მონაწილეობას. სტა-
მესკინი მეტად სასაცილო მაშინ არის,
როდესაც მოხუც სტუდენტს ელაპარაკე-
ბა იმის მიერ გამოთქმულ აზრის გამო
ყრილობის მოხდენის შესახებ. რამდენი

ფუყე ამაცობა და თავის უპირატესობის
შეგებაა ამ სცენაში? იგი თამაშობს როლს
მოუცილებელ ავტორიტეტისას, თითქოს
ყოველი მისი სიტყვა ბაჯალლო ოქრო
იყვეს.

აქაც ანდრეევი ერთხელ კიდევ ხაზს
უსვამს დედა აზრს თავის პიესისას: ეს
ორი ცხოვრების გამაუმჯობესებელიც ვე-
რაფერს ვერ აკეთებს. ესენი უმეტესად
გარეგნობით ცდილობენ მოწინავე ახალ-
გაზრდობას, ცხოვრების სიდუხჭირესთან
მებრძოლთ დაემსგავსონ, ნამდვილად კი
ეს წვრილმანი, უმნიშვნელო ხალხია. ესე-
ნი ლუნატიკებივით მოქმედობენ, ქონდრის
კაცებს ჰგვანან, თითქოს ვილაც დიდი და
მიუვალი არსება, ზალაც განგება აიძუ-
ლებს მათ, ამ გვარად იმოქმედონ. და ეს
განგებაა ის, რასაც ანდრეევი ეძახის „დიდ
გონებას“. ამ დიდ გონებასთან შედარებით
ჩვენ ყველანი აჩრდილნი ვართ, სათამაშო
იარაღნი და ანუჩინა და სტამესკინიც ეს
აჩრდილნი არიან. მაშასადამე ანდრეევის
აზრით ცხოვრების გაუმჯობესებაზედ ფი-
ქრი, განგების, ე. ი. ჩვენებურად ობიე-
ქტივური მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა
სასაცილოა.

ასეთი ბედი ეწია თვით მოხუც სტუ-
დენტსაც, რომელმაც კიდევ უფრო მეტი
მოისურვა: ამან განიზრახა ხელახლად
დაეწყო ცხოვრება, სტუდენტების წრეს
შეთვისებოდა, გამოეცადა ხელახლად სი-
ცოცხლის სიტკბოება, მაგრამ ბოლოს
დარწმუნდა, რომ ყველა ეს ამაოა. სტუ-
დენტების ცხოვრებამ იგი უფრო დაარ-
წმუნა ცხოვრების ამაოებაში, ვიდრე
საკუთარმა გამოცდილებამ და გამოვლი-
ლმა მწუხარებამ.

შეუღარებელის ძლიერებით და მხატვ-
რული ნიჭითა აქვს ანდრეევს გამოხა-



ტული მოხუც სტუდენტის სულის კვეთება.

მოხუცი სტუდენტი 48 წლისაა. მას დაეხმოს ცოლ-შვილი და გადასწყვიტა უნივერსიტეტში შესვლა, რომ ხელახლად დაიწყოს ცხოვრება. მაგრამ მას ეჭვი აქვს, რომ ახალგაზრდობას ის ვერ შეუთვისდება. იქვენულის თვალთ აკვირდება იგი ყოველ საქციელს და ცდილობს თავის თავი დაარწმუნოს, რომ მასაც შეუძლიან უზომო მხიარულება. სინამდვილე კი ყოველ წამს წინააღმდეგობა ამტკიცებს. იგი ცდილობს ახალგაზრდული გატაცება გამოიჩინოს და ამის მაგიერ სანტიმენტალობა გამოდის, როდესაც ის უამბობს ყველას თავის ცოლ-შვილის ამბავს და ქება-დიდებათ იხსენიებს სტუდენტებს და მათ ცხოვრებას. ყოველისავე პრაქტიკული საკითხის გარჩევის დროს იგი ლოდიკას და გამოცდილებას ემორჩილება, მაშინ როდესაც ახალგაზრდობა გულის თქმას ემორჩილება და ლოდიკას ანგარიშს არ უწევს.

როდესაც იგი ცოტა ავად გახდა. როგორც გონიერ კაცს შეჰფერის, შინ დარჩა, შემოიწყო გარშემო წამლების და რეცეპტების ბატარეა და ირჩენს თავს. დინას სიყვარულმაც კი იქამდე ვერ გაიტაცა, რომ თავისი ავადმყოფობა დავიწყებოდა. იმავე დროს კი ლილია სიცივისაგან დაზრულია, საშინელ ტკივილებს იტანს, მაგრამ მაინც გარბის, რომ თავისი საქმე გააკეთოს. ახალგაზრდა ყოველივე გატაცებას თავდავიწყებასა და ქარაფშუტობამდის მიჰყავს. ის კი დარბაისელი კაცია და ქარაფშუტობა არ უყვარს. თან კი ეშინიან ამითი ჩემი უძლეურება არ დავამტკიცო.

მაშინაც კი, როდესაც ახალგაზრდობამ გიჟმაყურად იხუმრა და მოხუც სტუ-

დენტს კიბო მოართვა ძღვნად, მას ძლიერ ეწყინა, მაგრამ ეშინოდა, დაძაბუნება არ დამწამონო და ყველას თავი ისე აჩვენა, ვითომ და მიუხვდა ახალგაზრდობას და ამგვარი ხუმრობა ძლიერ იამა: ყველას თავი მოაბეზრა კიბოზედ ლაპარაკით.

მაგრამ ყველაზედ ნათლად მისი სულის დაძაბუნება იქ გამოჩნდა, როდესაც ყრილობის გამართვის წინააღმდეგ გამოსთქვა თავისი აზრი. იგი ლოდიკას და გამოცდილებას ემორჩილება მაშინ, როდესაც ერთად ერთი მისი მომხრე ონოფრე მხოლოდ გულის თქმას ემორჩილება და მიუხედავად ულოდიკობისა, ყრილობის წინააღმდეგია, მაგრამ მაინც აპირებს ამხანაგებთან წასვლას, რათგანაც ამხანაგებს ვერ უღალატებს. მას არ ეშინიან იმისი, რომ ულოდიკობას დასწამებენ: ის არავის აზრს არ ემორჩილება, გარდა თავის სურვილისა. მოხუცი სტუდენტი კი სულ იმას შიშობს, სტუდენტებმა ჩემზედ ცუდი აზრი არ შეადგინონო.

დინასადმი უიმედო სიყვარულმა და ლილიას სიბრალულმა და ალერსმა იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ახალგაზრდობას ვერ შეუთვისდება და პიესის დასასრულში, როდესაც ხოროს სიმღერა მოესმის, იგი ბედს ემორჩილება და თავის ბებრულის ჩახლეჩილი ხმით ღიღინებს, თითქოს თავის თავს ანდერძს უგვებსო:

post iucundam iuuentutem
post molestam senectutem
nos habebit humus.

გატაცებულ ახალგაზრდობისა და მძიმე სიბერის შემდეგ ჩვენ დედამიწა მიგვიბარებსო.

ეს პიესაც ამ სიმღერით იწყება და ამითივე თავდება.

აქაც ბედის მორჩილება. აქაც უიმედობა და წყვდიადი. ამ პიესაშიც მოქმედნი პირში აჩრდილებს ჰგვანან და რაც სათამაშოდ არიან გადაქცეულნი.

ასეთია ნიცშეს მოძღვრების გავლენა ანდრეევზე. მაგრამ აქ არ იქნება არ აღვნიშნოთ. რომ რუსეთში ნიცშეს მოძღვრების ფეხის მოკიდებას სხვა საფუძველიც ჰქონდა.

რუსეთში პირველად მარქსისტულმა მოძღვრებამ დაამყარა ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ადამიანის მოღვაწეობა, პიროვნება დამოკიდებულია ჩვენ გარეშე მყოფ, ობიექტიურ მიზეზებზე, რომ ჩვენი მოღვაწეობა მაშინ მოიტანს ნაყოფს, თუ იგი შეესაბამება ძალთა ურთიერთობას.

მაგრამ ოთხმოციან წლების ბოლოში და ოთხმოცდა ათიანის დასაწყისში ზოგიერთი ამ მოძღვრების მომხრენი უკიდურესობამდის მივიდნენ და თითქმის სრულიათ უარჰყოფდნენ პიროვნების როლს ცხოვრებაში. ამით მათ განუმზადეს საფუძველი ნიცშეს მოძღვრების ერთ მხარეს დიდ და პატარა გონების შესახებ. ამ წერტილზედ გაჩერდა ლ. ანდრეევიც და დღემდის ამ აზრს ადგა.

მაგრამ დრო გავიდა. მრავალმა შემთხვევამ რუსეთის ისტორიაში და მრავალმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ პიროვნებასაც აქვს მნიშვნელობა ცხოვრებაში. იმ ობიექტიურ მიზეზთა შორის, რომელიც არკვევს მომავალს, ჩვენცა ვართ ჩვენი სურვილებით, ჩვენი მოქმედობით და, თუმცა ჩვენც ობიექტიურ მიზეზების

ხელში ვართ, მაგრამ ჩვენი მოღვაწეობაც, მეტადრე თუ იგი ერთსულობრივია, დიდ გავლენას ახდენს ცხოვრებაზედ. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ვებრძოლოთ იმ წყვდიადს, რომელიც ანდრეევმა გადაგვიშალა თვალწინ და არ დავეთანხმოთ მას, ვითომდა ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლოს.

თვით ანდრეევი გვიჩვენებს ასეთ პირებს, რომელთაც სხვა პირობებში ბრძოლა შეუძლიანთ. ონოფრე ლოთობს, მაგრამ ლოთობს იმიტომ, რომ მან ცა დაჰკარგა. ცა ჩამობურვილია მის გარშემო. აბა ერთ წამს დაანახვეთ მას გულ-გახსნილი ლაჟვარდი, მოციმციმე ვარსკვლავი და მაშინ მიხვდებით, რომ ის პირველი მიუჭრება მზეს, რომ სხივი მოსტაცოს, ის პირველი წავა ბრძოლაში. ასეთისავე თავდადებით იბრძოლებს სათუთი ლილიაც და მას უკან გაჰყვებიან სერიოჟა, სტემესკინი და სხვა. ასე გასინჯეთ მათ თვით ტენორიც კი არ ჩამორჩება.

მაშასადამე ეს უიმედობა დროებითია. და თვით ლ. ანდრეევის პესსიმიზმით გატაცებაც დროებითია. ანდრეევი მხოლოდ შავი დროს მწერალია, მაგრამ შავი დროც გარდამავალია.

ამიტომ ნუ დავივიწყებთ, რომ მზე არ ჩამქრალა, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენც ბევრი რამ შეგვიძლიან, შეგვიძლიან ჩვენ ახალგაზრდა პოეტ-ბაბილინასთან ერთად ვსთქვათ, „რომ მზეს მივეჭრათ, მზეს მოვტაცოთ სხივი დიადი. და დედამიწას შემოვტყუოცნოთ, მოვსპოთ წყვდიადი“.

გრ. ნათაძე.



მოგონება

ლაუკაწარი იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილის შესახებ

იაკობ გოგებაშვილს, როგორც სახელმძღვანელოების ავტორს და თავდადებულ მოღვაწეს, შორიდან, რასაკვირველია, დიდი ხანია რო ვიცნობდი, მაგრამ პირადად მისი გაცნობა და მასთან დაახლოება წილად მხვდა მეოთხმოცდაათი წლების მიწურულში, როდესაც თბილისში მომიხდა მასწავლებლობა.

არა მგონია თუ საქართველოში მოიძებნებოდეს ან როდისმე ყოფილიყოს იმისთანა კაცი, როგორც იყო იაკობი, რომელსაც ყოველივე კერძო პირადული, გარდა ჯანმრთელობაზე ზრუნვა-ფიქრისა დაღვიწყებოდეს და განუწყვეტლად, დღე და ღამე საზოგადო საქმეზე ზრუნავდეს და ლაპარაკობდეს... სახლში თუ გარეთ, ქუჩაში თუ თეატრში მისი ფიქრი თავს დასტრიალებდა ქართველების კარამს, უმთავრესათ კი ქართული სკოლის და ქართულ ენას. თითონ რო თვალსა და ყურს ვეღარ აწვდენდა, პროვინციიდან ყველა ახლად ჩამოსულს საქართველოში სკოლების მდგომარეობის შესახებ ეკითხებოდა. როდესაც გაიგებდა, რო სკოლები ემატება, მასწავლებლები და მოწაფეები გულმოდგინებით ეკიდებიან საქმეს უფრო კი დედა ენის შესწავლას, მის სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა: ასე ჰგონია რამდენიმე წლით გაახალგაზრდავდაო, მის უამისოთაც ცოცხალსა და რიხიან ლაპარაკს ალი ემატებოდა და თან გადმოშლიდა მოქმედების ახალ ახალ გეგმებს... მაგრამ როდესაც გაიგებდა, რო ესა თუ ის მოხელე ცუდად ექცეოდა სასწავლებელს ან

ჩვენს დედა-ენას მაშინ კი ცოტა მოიწყენდა, მაგრამ გულს არასოდეს არ გაიტეხდა, სასოწარკვეთილებას თავს არ მისცემდა...

— არა უშავსრა... სოფელმა თუ შეიგნო ქართული სკოლის მნიშვნელობა მთავრობის ვერავითარი მოხელე ვერას გახდება... მაგრამ სოფელმა კი უნდა გაუწიოს პატრონობა და მფარველობა... სოფელი და მასწავლებელი თუ გამოიღებენ თავს—ყოველთვის გაიმარჯვებენ, რადგანაც ისინი კანონიერ ნიადაგზე სდგანან. ჩვენ ის უნდა მოვითხოვოთ და დავიცვათ ჯერ-ჯერობით, რომ არსებული კანონი სკოლების შესახებ არ დაარღვიონ...

ქართულ სკოლებში ოთხ წელიწადს დედაენაზე სწავლების პროექტის მიღებამ სახელმწიფო სათათბიროში, მეტათ ასიამოვნა ჩვენ მხცოვან პედაგოგს და ოცნებობდა—როდის იქცეოდა კანონათ... იმავე ხანებში იყო, რო დიდ კმაყოფილებას აცხადებდა ჩვენი დებუტატების შესახებ და ერთხელ კიდევ სთქვა: ისევ ისინი უნდა ავირჩიოთ: დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინესო. ჩვენი ეროვნული საქმეების დაცვაში უფრო ბ. ჩხეიძეს ემადლიერებოდა, მაგრამ ამასთანავე დიდათ აფასებდა გეგე-ქკორის ორატორულ ნიქსა და ცოდნას. თანაც დაუმატა: „სადამდისაც ხმა მიმიწვდება, ყველას ვურჩევ, რომ ისინივე აირჩიონ...“

ყველამ იცის, რომ ჩვენი პედაგოგი გაფაციკვებით ადევნებდა თვალს ყოველ ახლად გამოსულ სახელმძღვანელოს, მომე-



ნაპოზ გოგებაშვილი

1840 – 1912 წ.



ტებულად მაშინ, თუ ამ წიგნს მიზნათ ჰქონდა დედა-ენის „ან ბუნების კარის“ ადგილის დაჭერა ისე წაიკითხავდა, ისე გაიცნობდა ამისთანა წიგნს; რომ ერთი კორექტურული შეცდომაც კი არ გამოეპარებოდა და თუ სხვა არავინ ხმას არ ამოიღებდა — თვითონ უთუოთ დაეტაკებოდა.

ერთხელ მე გავუჩუქავენე ზოგიერთების უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ ახლად გამოსულ სახელმძღვანელოს ის უთუოთ უნდა შეებრძოლოს ხალმე.

— მაშ როგორა ნებავთ!?. შინაარსით ლატაკი, სიფრიფანა წიგნაკი მოახვიონ ქართულ სკოლას დედა ენის სასწავლებლად და მე გაუჩუმდე, ხმას ნუ ამოვიღებ?! ეგ არასდროს არ იქნება!.. შეადგინონ „დედა-ენაზე“ უფრო მეტი შინაარსიანი, უფრო მდიდარი სახელმძღვანელო და მაშინ მე პირველი დავულოცავ ვხასო...

* * *

წარსულ იანვარს თბილისში ყოფნის დროს ერთ საღამოს ვინახულე ჩვენი იაკობი. სხვათა შორის, შემომჩივლა, რამდენიმე თვე სახლში დამწყვდეული ვარო და თანაც დაუმატა: ჩემი ექიმის აზრით მაღარია მიჭირებს საქმესო. ავადმყოფობა ძალიან არ ეტყობოდა, თავისებურად მხნეთ იყო, კორექტურას ასწორებდა. ცოტა ხან ქართულ სკოლებსა და სახელმძღვანელოებზე, ლაპარაკის შემდეგ ისევ უცბათ მომიბრუნდა და მითხრა:

— თქვენის აზრით, სად ემჯობინება დავსაფლავდე, მთაწმინდასა თუ დიდუბეში?

ამ მოულოდნელმა კითხვამ შემაწუხა და თანაც შემაშფოთა. უცბათ პასუხი ვერ მივეცი. იაკობი მიმიხვდა ჩემს მდგომარეობას და ჩემდა დასამწვიდებლათ და-

უმატა: სამოცდა თორმეტი წლისა ვარ, დავუძლოური, ეხლა დროც არისო.

— თქვენ ჯერ სიკვდილისთვის არა გცალიანთ, ჯერ ადრეა, მაგაზე ლაპარაკს კიდევ მოვესწრებით მეთქი.

რას ვითქვებდი, რომ ამ ლაპარაკის შემდეგ ჩვენი ძვირფასი იაკობი ექვს თვეს ველარ იცოცხლებდა!..

რო აღარ მომეშვა, მეტი გზა აღარ იყო, მეც ავიღე და შემდეგი მოვახსენე:

— თქვენ ხალხის შვილი ხართ, ხალხისთვის თავგამოდებული მოღვაწე, ამიტომ თქვენი საფლავი ისეთ ადგილას უნდა იყოს, სადაც ხალხია. ასეთი ადგილი კი დიდუბეა. საფლავის ნახვა რომ უნდოდეს ადამიანს მთაწმინდაში — განგებ უნდა წავიდეს, ყველა ვერც მოახერხებს. მანდა კი ვისაც უნდა ადვილათ შეუძლიან საფლავის ნახვა მეთქი.

— მეც დიდუბეს ვამჯობინებო, სთქვა იაკობმა. ამის შემდეგ, მესამე, მეოთხე დღეს, ნ. ლოლობერიძის დასაფლავების დღეს კიდევ სთხოვა დიდუბის ეკლესიის წინამძღვარს, რომ მისთვის შეენახა, სასაფლაო ლოლობერიძის გვერდით. და ამის შემდეგ სხვაზე ლავიწყეთა ლაპარაკი.

იმ ჟამათ ძალიან აწუხებდა მის სახელმძღვანელოების წინააღმდეგ „კოლხიდის“ ფურცლებზე ატეხილი აყალ მაყალი. ემდურებოდა მოწინააღმდეგეებს. თვითვეულის ვინაობას ცალკ-ცალკე არჩევდა, მათს მოქმედებას და სიტყვას...

მე დავეთანხმე, რომ ამ ჟამათ მოწინააღმდეგეებმა შეუფერებელი და უკადრისი კილო აიღეს, მაგრამ ზოგიერთა სიტყვების მართლწერასა და გამოთქმაში ვერ დავეთანხმე, რადგანაც საქართველოს არც ერთ კუთხეში, შეიძლება ქართლის გარდა, მაგისტანა გამოთქმა ხალხში არ არსებობს მეთქი და სხვა...



იაკობი კუბოში



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ფოტო იაკობ კუბოში, რომელიც გადაღებულია 1923 წელს. იაკობ კუბოში იყო ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და პოეტის ნაწილობრივი ნაშრომების ავტორი. იგი დაიბადა 1867 წელს და გარდაიცვალა 1923 წელს. მისი ნაშრომები მოიცავდა ჟურნალურ ნაშრომებს, რომლებიც ეძღვნებოდა ქართული საზოგადოების განვითარების საკითხებს.

გვერდი 123



მაშინ აიღო „დედა-ენის“ ორივე ნაწილი და მიიხრა: აბა მაშ გაისარჯეთ, და გადაიკითხეთ ეს წიგნები და დანიშნეთ რის გასწორება მიგაჩნიათ საჭიროთ... წიგნები კი წავიდე, მაგრამ ის კი ველარ მოვასწარ, რომ ჩემი შენიშვნები გამეზიარებინა საყვარელი მასწავლებლისათვის...

სააღდგომოთ რო ჩაველ თბილისში. იაკობის ავადმყოფობა გავიგე და იმავე საღამოთ წავეღ სანახავათ. მოხუცებული პედაგოგი ჩვეულებრივით მარტო იყო. სამუშაო ოთახში იჯდა. შევეკითხე ჯანმრთელობის შესახებ.

— ეს მალიარაა რაღაცა არ მეშვება, თუმცა ბევრნაირი საშუალება იხმარეს ექიმებმა. საღამ საღამოობით სიცხე არ მეშვება. ამ ლაპარაკის დროს უბიდან ამოიღო ტერმომეტრი, დახედა და სთქვა: აი ეხლაც ოცდაჩვიდმეტ ნახევარი გრადუსი სიცხე მაქვსო.

— ნახევარი გრადუსი არაფერია მეთქი, ვანუგეშე.

— პატარისთვის მართლა არაფერი, მაგრამ ჩემისთანა მოხუცებულისათვის კი ბევრია, მაგრამ ჰე, რაც იქნება! დაუმატა და ისევ ქართული ენის, ქართული სკოლისა და სახელმძღვანელოების შესახებ დაიწყო ლაპარაკი.

ამ დროს შემოვიდა ასოთ ამწყობი და სახელმძღვანელოს კორექტურა შემოუტა ნა. ავადმყოფი პედაგოგი კარგა ხანს ელაპარაკა სახელმძღვანელოების დაბეჭდვის შესახებ და ბოლოს უთხრა: „Рус. Слов.“ პირველი ნაწილის ბეჭედას, რო მოვრჩებით მაშინათვე „დედა ენის“ ბეჭედას უნდა შეუდგეთ იმ ანგარიშით. რომ „დედა ენის აბეჭვდა პირველ ივნისამდის დამთავრდესო...

ასე ჰგონია გრძნობდა, რომ პირველი ივნისის გარდაიცვლებოდა და უნდოდა, რომ თავისი საყვარელი წიგნის „დედა-ენის“ ბეჭვდა მოესწრო... აკი სწორეთ იმ დღეს გათავდა თითონაც, როდესაც „დედა ენის“ ბეჭვდა უნდა გათავებულიყო.

რამდენჯერ მინახავს შეუძლოთ და ავად მყოფი ძვირფასი იაკობი, მაგრამ არასდროს ისეთი ფიქრი არ მომსვლია, როგორც იმ საღამოს. უცბათ რაღაცამ ჩამძახა გულში, რომ უკანასკნელად ჰხედავ ცოცხალ იაკობსო და გულმა აჩქარებით ძგერა დამიწყო, თვალეში ცრემლი მამადგა. ამ გრძნობის აშლის მიზეზი კი ავადმყოფის არა ჩვეულებრივი, გამახდარი და გაყვითლებული ხელები იყო. მინდოდა დიდხანს მელაპარაკა მასთან, დიდ ხანს მომესმინა მისი მხნე და იმედიანი ლაპარაკი... გახდა თერთმეტი საათი. ვფიქრობდი არ შემეწუხებინა და ამიტომ გამოვემშვიდობე.

ჩემი წინათ გრძნობა მოსვენებას არ მძღვებდა. ქალაქიდან წასვლამდის ერთხელ მაინც ვნახავდი კიდევ... ასე მგონია მიმიხვდა ჩემი გულის პასუხსაო და მიიხრა: თუ არ დაიზაროთ წასვლამდის ერთხელ კიდევ შემოიარეთო. ძალიან გაშიხარდა ეს მიპატიჟება და მოვახსენე: დიდის სიამოვნებით მეთქი... მართლაც მესამე-მეოთხე დღეს შევედი საღამო ხანზე... მაგრამ ის აზრი რომ ეს უკანასკნელი ნახვაა— მოსვენებას არ მძღვებდა. ალბათ ამისი მიზეზი უნდა იყოს, რომ სრულებით არ მახსოვს არც ერთი სიტყვა იმ საღამოს რაზე მელაპარაკა.

ამისრულდა წინადგრძნობა: თავდადებული იაკობი კუბოში მდებარე ვნახე!..

ი. გ.—რი.

ჩ ა გ ვ ი ძ რ ე ს

უცხვად ჩაგვიქრეს ვარსკვლავი,
ჩვენი ცის მანათობელი,
მკურნალი ჩაგრულთ წყლოლისა,
ჩვენი მამა და მშობელი.

ნეტამც კი გაგვაგებინა
ვინ იყო მისი მემობელი,
ან ვისმა ფიქრმა უწილა
მას ტყვია დაუნდობელი!

ვაი თუ იყო იქ ზაქრო
და კაკო ბლაქიაშვილი,
ან ლარიბების მოსარჩლე
არსენა ოძელაშვილი?!

არა და არა, ისინი
იყვნენ ილიას გმირები,
უსამართლობის მებრძოლნი,
მოსამართლეთა შვილები.

ვაჟკაცნი მტერს და მოყვარეს
მუდამ პირდაპირ ხვდებოდნენ,

დღისით მზეს, ღამით მთვარის შუქს
არსად არ ემალებოდნენ.

ზაქრომ რა ნახა უხამსი,
უმადურობა ჟამისა,
იქვე აიღო მან სისხლი
თავის მოხუცი მამისა.

ასეთი გმირი მტერს მუდამ
ყველგან გულდა-გულ დახვდება,
ან მოჰკლავს მოპირდაპირეს,
ან მტრის გულისა გახდება.

რომ მართალ გმირებს ილია
პირდაპირ შესჯახებოდა,
განა ილიას სიკვდილი
ჩვენ ასე დაგვენანდებოდა?!

ვაი რომ მსხვერპლად გაუნდა
ბილწთ და ლაჩართა ტყვიასა...
სირცხვილი ბეჩავ ქართველებს,
სირცხვილი ივერიასა!..

შიო მღვიმელი.

გ უ ლ ი ს ზ რ ა ხ ვ ა

სა რომ ნისლით იბურება,
ეგ ვერ მიკრთობს გულის ზრახვას,
ნისლით 'უღმივი სვლა მიქადის
ცის ლაყვარდის კვლავ—დანახვას!..

დაჰკრავს ჟამი!—ბნელი ჯანღი
სივრცის საზღვარს გადალახავს
და კვლავ სპეტაკ ცის ტატნობზედ
მზეს ჟამთ სრბოლა გამოსახავს!

განახლების განთიადი
სამშობლოს ცას აღმოჰხდება,—
მრავალ ას წლის ღვიძლი შვილი
უმნიშვნელოდ არ მოკვდება!..

მზის ცეცხლში კი მწირი სულიც
თვის იდეალს დაინახავს,—
მაშინ ნისლი განახლებულს
გულის ზრახვას ვერ დათალხავს!..

მაშ იმით, რომ ცა პირქუშობს
და მრისხანედ სცემს გრიგალი
და შემუხვრას რომ უქადის
კეთილს ავ-სულთ ბნელი ძალი,

ბრძოლის ველზედ სულის ლტოლვა
შეჰკრთება და შეჩერდება?!.

არა! არა! გულის ზრახვა
არ მომკვდარა, არც მოკვდება!..

ილ. გოგია.

ჩანგის ხმა

ჩოს მე ხმა მესმის,
 გრძნობა აღმედრვის:
 მზადა ვარ მოვკვდე...
 მრავლის შემცოდე
 ანგელოზი ვარ,
 ედემში ვფრინავ.
 წინ მიდგა სახე
 მაშინ უფლისა,
 მონაწილე ვარ
 იმის სუფრისა.
 მეფე ვარ ამ დროს,
 ქვეყნის მპყრობელი,
 უბრალო ჭია
 მიწას მძრომელი.
 მთლად სიწმინდე ვარ
 მადლის მთოველი.
 და ტან-საცმელი
 ჩემი ყოველი
 სიწმინდით ბრწყინავს,
 მზეს უკან სწირავს.
 აღფრთოვანებით
 ვერ ძლება გული,
 ტკბილს ხმებს უყივის
 კვლავ ჩემი სული...
 თქვენ, ტკბილო ხმებო,
 ძვირფასო ძმებო,
 სადაც კი ჰსუფევთ
 ცა—ხმელთა შორის,
 ჩემთან მოგროვდით.
 თავს შემოგვევლეთ,
 მტლედ დაგედევით.
 მინდა ჩაეწნათ

ჩემ ბედკრულ ჩანგსა,
 შეუსისხლობრცდეთ
 მსურს იმის ჰანგსა
 დავეწვეინო მსურს
 იმის ხმასა.
 და ოდეს წახვალთ
 ბარსა თუ მთაში,
 წყაროს ჩაერთვით—
 ჩაჰსხდებით ვარდში—
 ან გაეხვევით
 ქანწულთა თმაში—
 და დაიძინებთ
 მათ გულის თქმაში;
 ჩემის არსების
 თან თითო ფერფლი—
 გთხოვთ გაიყოლოთ
 და იგი ცეცხლი
 თვითეულისა—
 ჰგრძნობდეს იმასვე,
 რასაც მე ღღესა.
 ხმა სიმართლისა,
 ხმა სათნოების,
 თავის განწირვის,
 ტრფიალებისა
 გაებას ნისლად
 ქვეყნისა ჰირსა.
 ჰაერად იქცეს
 შესასუნთქავად
 ზეცაში ღმერთი,
 მიწაზე ისა!..

გუჯა-ფშაველა.



ნაწყობები

შ ე ნ

I

სულთა კოლხეთისაო, შენ, რომელსაც გეძახის სული ჩემი!..

მწარე სევდით მოქანცული ვიდექ ტბის ნაპირას და მოკამკამე ზვირთებში ვეძებდი შენს სახეს ეგზომ სპეტაკს და ღვთაებრივს!.. შენი სახეც ხომ ტბის მოკამკამე, სპეკალ ზვირთივით ნაზი და მომხიბლავია: იმასავით წმინდაა და უმწიკვლო!..

— სად ჰსუფევ, სად?!

ჟამსა მწუხრისას, როცა ღამის ბინდუნდი ეფინება არე-მარეს, როცა დღისით მოქანცული, გიჟმაჟი ზვირთები ვნებით ჩაჰკონებია ღამის ყრუ ღუმილს!.. და ტირიფი... ტბის პირად ამოსული წელი შრიალით უამბობს ზვირთებს თავის დაუსრულებელ ზღაპარს ერთმანეთის სიყვარულზე, თავ-გადასავალზე... როცა მთვარის ნათელ სხივებზე გაშუქებული არე-მარე საუცხოვოდ ეღვარებს, ციმციმებს.

— ყურს ვუგდებ ბუნების ღუმილს და მასში მსურს გავიგონო შენი გამოძახილი!.. შევისწავლე ღუმილის ენა, რომ მოვისმინო შენ ბაგეთა საუცხოვო სიმღერა!..

— შრრრ!.. შრრრ!..— შრიალებს ღერწამი და ტბის წიაღს ვნებით ეკონება...

— სსს! სსს!..— დაჰქროლავს ნიაფი და თითქოს მოიქანცაო, შორს მთის კალთებზე მიაყურებს ხმას!..

— „სულთა უკვდავო“!.. მოვედ, მოვედ!.. ნახე თუ ვით გიყივის სული სამარადისო ტანჯვით აღტყინებული!..

ჰაა!.. ტყვიის ფერიცა ცეცხლის აღის მზგავს დიადემით იმკობს შუბლს!.. მოკიაფე ვარსკვლავთა ხომლი წელ-წელ ჩაჰქრა და ცის ლურჯი მკერდი სხივთა კოცონით აინთო.. აღმოსავლიდან ვიდრე დასავლეთამდე, — მთადა თუ ველად, — ვეძიებ შენ კვალს!.. ხრიოკ უდაბნოს ქვიშამ დაჰსერა ფერხნი ჩემნი!.. გთხარი მე... გამომეცხადე ჰოი, ასულთა!.. სადა არს სამყოფელი შენი? სადა არს ბინა შენი?.. მუშკ-ამბრისაგან შეზავებული სურნელება მსურს ვაპკურო შენ საწოლ კარავს.. მიუვალ მთებში მიტოვებულ ტაძრის ხატის წინ ანთებულ სანთელს ვამზგავსე ღვთაური სახე შენი!.. შროშანო ღელისაო!.. სადა არს შვენება შენი?.. სადა არს გამოჩინება შენი?.. ვის გულს განეწონება ტრფიალების ისრად შენ შავ თვალთა ელვად კრთომა?..

არას მტყყვის ნისლით მოცული კოლხიდის ცა!.. არარას მტყყვის ცელქი ფაზისის ფიქრით სავსე ტალღად მდინარება! და... მწუხრი ჩემი სულისა ცრემლთა ნაკადად გადმოიფრქვევა!.. ისევ ვით მწირი ლტოლვილი სევდის ცეცხლით დამწვარი სულის ცრემლებით დავალტობ უდაბნოს ქვიშას— ვიდრე გპოვებდე შენ, ნარგიზო ღელისაო, საყვარელო ჩემო და უკვდაო ჩემო... შენ... რომელსაც გეძახის სული ჩემი!..

II

— ჩემო კარგო!.. იცი რა საყვარელია და ძვირფასი ჩვენი მხარე?! ვერსად ვერ ჰპოვებ სხვაგან ჩვენ ქვეყანაზე უუტურფესს და უულამაზესს... თვალს წარი-

ტაცებს ჩვენი სამშობლოს მომხიბლავი მშვენიერება!.. გულსა ახარებს და ანეტარებს... სულს უნერგავს თავისადმი წრფელს და სამარადისო სიყვარულს!..

— ვიშ!.. რა მშვენიერია და მომხიბლავი ჩვენი ქვეყანა!..

კოლხეთის მთებიცა ვით ბუმბერაზი აზიდულები, — ამყად გასცქერიან ცელქი ფაზისის ატეხილ ჭალას... შორს.. შორს ინთქება ცქრიალა ტალღების საოცნებო დუდუნნი და სალკლდის ყრუ გამოძახილთან შეერთებული, ვით ზღაპრული მელოდია, — ეფინება არე-მარეს ციურ ჰანგად!.. — აქ უკვადვება ბუნების სიმშვენიერეში განხორციელებული!..

— ჰო! რომ იცოდე, თუ როგორი ლამაზი და საყვარელია ჩვენი სამშობლო!..

— ჰო! რომ იცოდე... ჩემო კარგო!.. იცი რას მოსთქვამს ტირიფი... მოხუცი ტირიფი მოკამკამე წყალში რომ მისჩერებია თავისსავე დაღრჯილ სახეს?... იცი რას გოდებს ფოთოლთა შრიალით?! — კოლხიდის ბედს, სიყვარულს... კოლხიდის დანთქმულ შვებას, თავისუფლებას!

— შრრრ! შრრრ! — შრიალებს იგი.. ყრუა გარემო..

— შრრრ! შრრრ!..

ჩანჩქერთან

III

აი ჩემ თვალთა წინ უზარ-მაზარ კლდეზე გადმოჰქუხს მთის ჩანჩქერი!..

რა მომხიბლავი და თვალ-წარმტაცია იგი!. რა ნაზი და ტკბილი სევდით ავსებს გულს მისი სევდით სავსე რაკრაკი!.. რამდენჯერ მწარე ნაღველის განსაქარვებლად მივსულვარ მის ნაპირად და შვების სხივი მფენია გულს!.. აი ეხლაც.. ეხლაც მის ნაპირად ვდგევარ და ფიქრი ჩემი

შორს.. შორს მიმატურენს. ოცნება ჩემი ფრთასა შლის!..

ვგრძნობ, რომ არის რაღაც სულიერი ძალა, რაიც გვაერთებს, გვაკავშირებს მე და ამ მშვენიერ ჩანჩქერს!..

ჩანჩქერის ნაღვლიანი დუდუნნი ჩემი ლამაზი ქვეყნის მშვენიერ სევდას მაგონებს, რომელიც ასე მძლავრად დაკავშირებულია ჩემ სულთან!.. და... რომლის ალის დაშრეტა არ ძალუძს წყალსა მრავალსა!. აი, რატომ მიყვარს მე იგი!..

უჩაქული

IV

— ჰე! და... ჰარალო! ჰარალო! ჰეი, ჰეი, ჰეი! და!.. გაუწი, ხარო, გაუწი.. გასწი ნუ გეზარებაო... ჰეი! ჰეი! ჰეი! და!.. — გაისმის მეურმის ნაღვლიანი სიმღერა!.. დაღვრემილი არე-მარე ლამის დუმილში სთვლემს... ლაჟვარდ ცის წიაღზე მოკაფე ვარსკვლავთა ხომლი მკრთალათ პარპალებს!.. მწარე დუმილს შორი მდინარის ხმაურობაღა არღვევს.. მეურმე კი მეურმე მღერის და მისი ნაღვლიანი ხმა გლოვის ზარად ეფინება არე-მარეს!..

— „დილის რიყრაყი ცაზე კრთის, ვარსკვლავი ნელ-ნელ ჰქრებაო...

„არე თვალს იფშენეტს, იღვიძებს, — გარიყრაყს ელოდებო...

„მზეცა აღმოხდა ქვეყნადა, — მაგრამ ჩვენთვის კი ბნელოა...

გასწიე, ხარო გასწიე!.. გასწი ნუ გეზარებაო!. „და.. ლამის დუმილიც ყრუდ იმეორებს მეურმის სიტყვებს: “ მზეცა აღმოხდა ქვეყნადა, — მაგრამ ჩვენთვის კი ბნელოა!..

ჰეი, ჰეი! ჰეი! და!..

ვ. გორგაძე

1913 წ.

სსს. სემინარია.

დროთა მიმდევრობა

ქართულს ენაში

ქვეყლს ენაში დროთა მიმდევრობა ზმნათა მოძრაობის ერთნაირი რითიას. ასეთი რითიმი ზოგჯერ ენას მეტად, ზოგჯერ კი ნაკლებად აჩვენს განვითარებული. მაგალითად, უწყებულის, რომ ლათინური ენის ესრეთ წოდებული კონსეკუციო ტემპორუმ მრთელი სისტემა არის, რასაც უმთავრეს ყურადღებას აქცევს ლათინური ენის სწავლების დროსა.

დროთა მიმდევრობა ძველი ამბავია ენის განვითარებისა და უნდა განვიხილოთ მასში, რა რა კაცმა ადრე იკმარა აზრის გამოთქმა თავთავი წინადადებითა და მიჰმართა აზრის გაგრძელების დონისა ახალ ახალი წინადადების, თხზვითა ისე კი, რომ წინადადებათა ზმნების მიერ აღნიშნულ მოქმედებას, თუ მდგომარეობას რაიმე ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანერთთან. ავიღოთ მაგალითები: კაცი ბჭობს, ღმერთი იცინის, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა. ერთად წინადადებაში ზმნები ერთ დროებითი, შეწყობილია და გვიხატავს ისეთ, რითმს, რაც კაცი მარტივად ჰყოქრობს, მაგრამ სრულიად იმ დროსვე, წინადადებათა შესმენილი (ზრედიკატუს) ერთმანერთის წინადადებები არ იყვის, ერთმან მეორეს არ გაუსწრებს ერთი მეორეს არ ჩამორჩეს. ამიტომ არც უთქვამს ჩვენი ხალხის გულის, კაცი ბჭობს, ღმერთი იცინოდაო. ბჭობაც, სიცილიც აწმუღში მოაქცია, რათა განაცხადოს მითხროვდა ჰარმონია აზრთა უფლისა.


ვეფხისტყაოსნის ნათქვამი, მიბრძანეს მათლა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისაო.

სენებულები ტავის თქმა ისეთი სიტყვას,

რომელიც ავსებს ბრძანების აზრს, ასე ვსთქვათ, მისი დამატება, მეოთხე განსაზღვრულ ბრუნვაზე, რომელსაც მითხროვს ნამყოფი დრო. კმარა, შესმენილი აწმუღ, ან ნამყოფი უსრული დროის იქმნეს, დამატებითი სიტყვაც მოქცეს სათანადო ბრუნვაზე. მიბრძანებენ, მიბრძანებდენ თქმასაო, ვიტყვადით აი ასეთი დროე აზრის გამოთქმისა, რაც დამატებითი სიტყვა ინფინიტივად, ანუ ჩვენებურად რომ ვსთქვათ, სახელმწიფად გამოიხატება, შეიძლება იმ დროსვე სათუთქველს, რომელიც შეიძლება აზრის გასავრცელებლად გამოდგეს, ე. ი. დამატებითი სახელმწიფად გაიშალეს ისე კი, რომ მოქმედება, თუ მდგომარეობა, რომელსაც ჰხატავს, იყვის შესაფერად დამოკიდებული თავი წინადადების შესმენილზე. აი აქ იხატება დამოკიდებითი სახე, მასთანადავე ხსენებული სახე ზმნისა, თავისთანადავე კი არა, ნაყოფი უფოფილა მისი, რაც გვიხატავს, რაც შევისმინეთ ქვემდებარისა, რაც არის შესმენილი (ზრედიკატუს).

ესაა რომ გავშალეთ სიტყვა თქმა და მიბრძანეს ზრედიკატის დროს მივხედოთ, უნდა ვთქვათ, რათა, ანუ რომ მეთქვა.

მაგრამ რათა: რაც დამოკიდებითი სახე ქართულად ხშირად, ძლიერ ხშირად იხმარება, უკავშირდ, ამიტომ უნდა ითქვას მხოლოდ მეთქვა, ე. ი. მიბრძანეს, მეთქვა. თავი წინადადების ზმნის დრომ განსაზღვრა დრო სათითო წინადადებისა, ასე ვსთქვათ დამოკიდება, მისცა რა დამოკიდებითი სახე. მიბრძანეს, ვსთქვა ისეთივე დისჰარმონიული იქმნება, რაგონც კაცი ბჭობს, ღმერთი იცინოდა.



ასეთი უშნა შეთანხმება დროებისა ძველ მწერლობაშიაც არის, მაგ... დამოვიდა იოას, მეფე ისრაელთა, რათამცა იხილოს პირი მისი (მეფეთა, წ. დ., XIV, 11). შნთანად უთქვამს ვეფხის ტყაოსნის უკვდავ შემოქმედსა, მან მოახსენა ყველაი, ვით წასულიყო ფარულად. აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტირო და თავსა ვიცე. რა დაიჯერო, მაშინ სცნა ჩემთა საქმეთა ძნელობა.

უკანასკნელი შაირი მითია შესანიშნავი, რომ აწმყო დრო დამოკიდებითი სახისა იხმარება უოფადი დროის აზრითა, როგორც საწოთ, ისე თავ წინადადებაში. სამწუხაროდ უკანასკნელ შემთხვევაში შემოიხარა უცხო ენის გავლენა და დამოკიდებითი სახის მაგიერ ჰქმნარბენ ჩვენებისა (ინდიკატიუსი). არამც თუ ძველი მწერლობა, დღევანდელი მდაბოური ქართულიც მიჰმართავს აწმყო დროის დამოკიდებით სახეს, როგორც იარაღს მის აღსანიშნავად, რაც უნდა იქმნას. მხოლოდ გადაგვარებული იტყვის, წავალ, ვნახავ, რასა იქმს ჩემი ამხანაგო. ბუნება შეურყვნიელი კი იტყვის, წავიდე, ვნახო, რასა იქსო.

ასეთი კილო ჩვენს წინაპრებს თარგმნილ მწერლობაშიაც კი დაუცვთ, სადმთხო წერილს დვთაებრივ ძალას უდვიძებს, როგორც მშვენიება ენისა. ექვს დღე იქმოდე საქმესა, ხოლო მეშვიდესა განისვენო (გამოსვლათა წ. ბ. თ. 35, მ. 2). ერთი და ტანჯუაჲ მოვჰხანდო ფარაოს ზედა და ყოველსა ეგვიპტესა, და ამისა შემდგომად განგიტყვინეს თქჳნ ამიერ, და რაჟამს განგიტყვინეს ყოვლითურთ განგასხნეს თქჳნ განსხმითა. გამოსვლათა წ. ბ. თავი II, მ. 1).

დამოკიდებითი სახე საზოგადოდ იხმარება შემდეგ ისეთი ზმნებისა, რომელიც ჰსატავს სურვილს, სათხოვარს, განზრახვას და სხვა. მაგ. მსურს, აქ დარჩეთ, გთხოვთ, ილაპარაკოთ, განზრახვა მაქვს, ვიმგზავროო, იტყვიან.

რუსულ ენაში ჰრასიტ როცა მოითხოვს დამატებას, უარყოფით გამთქმულსა, მაშინ მიჰმართავს ინფინიტივ და თავს დაურთავს ნე უარყოფასა, მაგ. პრაშუ ნე კურიტ, იშვიათად თუ სთქვას რუსმა, პრაშუ, ჩტობი ვი ნე კურილი. ქართულში კი ასე არ არის. ქართული ენა მოითხოვს უარყოფით დამატებას უთუოდ დამოკიდებით სახედ გამთქმულსა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეხლანდელ ნასწავლ ქართველს ბუნებრივი აზროვნების წესი დაგიწყება და რაკი რუსულად ფიქრბს, რუსული ნე კურიტ აუღია და უთარგმნია უარყოფით ბრძანებით სახედ ნუ მოსწევთ, ნე კურიტ თავის თავად კი შეიძლება, ნიშნავდეს ნუ მოსწევთ, მაგრამ როცა დამოკიდებულება პრაშუ ზმნაზე, მაშინ უნდა მივიმართოთ ქართული ენის ბუნებას. ქართული თეატრის ფაეს ამშვენებს წარწერილობა, გთხოვთ ნუ მოსწევთო. ნუ ისეთი სიტყვაა, რომელიც ნიშნავს უარყოფას, უკუთქმას, დაშლას, გამხსნავს ბრძანებას არა ქმნისას. ამიტომ ბრძანება და თხოვნა ძნელი შესათანხმებელია. სადაც თხოვნაა, იქ ბრძანება უადგილია. ან უნდა იეყოს მხოლოდ ბრძანება ნუ მოსწევთ, ან მხოლოდ თხოვნა, არ მოსწიოთ. რამ გამიწვია ნუ? უკლებელია რუსულმა ნე უარყოფით სიტყვამ. აქ არის ხალხის ფსიხიკის გადაგვარების ფაქტი, როგორც შევნიშნეთ იმ გარემოებაში, როცა ნასწავლმა ქართველმა რუსული დოპუსკატ შეცდომით სთარგმნა დაშვებად.

დამოკიდებითი სახე იხმარება ა) აგრეთვე შემდეგ იმ ზმნებისა, რომელიც ხატავს სულის მდგამარებას, მაგ. ვშიშობ, ავად იყვესო, იტყვიან.

ბ) როცა ზმნები მჯერა, ვამბობ, ვაცხადებ, ვფიქრობ იხმარება უკუთქმითად, ანუ კითხვითად, ან კიდევ მაშინ, როცა უკუთქმითი აზრი აქვთ, როგორც ვეჰვ, უარყოფი ზმნებისა. მაგ. არ მჯერა, ბიძა შენი აქ



იყვეს; განა გჯერათ, აქ იყვეს; ვეჭვ, უარ ვყოფ, წავიდეს.

ბ) რატა ზიზნაკლი ზმნები და სიტუეპობა ხმარებული, რატორც მაგალითად, უნდა, საექვოა, მგონია, ეგების, ჰლამის, შეიძლება, ჰხამს, ჯერ არს და სხვა, მაგ.: უნდა, დასწეროს, საექვოა, მოვიდეს და სხვა.

ღ) რატა საკითხებია როგორ? რა? რომელი? და კავშირები რომ, რათა, სანამ, ვიდრე, თუ (უკეთუ), რა, ოდეს (როდესაც, როცა). მაგ.: რა ჰქმნას კარგმა მონარდემან, თუ დღეში არ მოუვა. ოდეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს და სხვა.

დამოკიდებითი სახის ხმარების დროს უნდა მიექტეს ურად ღება აგრეთვე ერთ გარემოებას, რამედიც უცხოეთის გავლენას კი არა, ქართული სკოლის უქნალობის, ჩვენს საკუთარი უმეტრების ნაყოფია.

მოგესხეებათ ჩვენებით მიმართვითი სახე ვნებითი გვარის ნამყოფ დროისა და დამოკიდებით მიმართვითი სახე იმავე გვარის ნამყოფ უსრული დროისა ხანდახან ერთნაირია, მაგ. მამული შუა გამეყო, მინდოდა, ძამული შუა გამეყო; მამული დამეკარგა, მინდოდა, მამული დამეკარგა. ერთავ შექთხევაში რამ ზმნა ვნებითი გვარის არის, საკმაოა მიმართვა ვიზოთ შესამე ვიზისადმი ვირველი ვირისა ვიტყვით ვავეყავ ძმასა (ძმა გამეყო, დავეკარგე ძამასა (ძამა დამეკარგა). აი ამ ფორმებს აზოგადებენ ეხის უცოდინარი მწერლები. მათ ლაზარკასა და ხაყერძი იხმარეთა აგრეთვე დამოკიდებით სახედაც მეჩუქა, მეკეთა, მამინ რატა აქ ამ ზმნებს განსაზღვრავს მხოლოდ ჩვენებით მიმართვითი სახე შესამე ვირისა ვირველ ვირისადმი და ნამყოფ სრული დრო. დამოკიდებითი სახე ამ შექთხევაში გაყოფებს წარმოების დროს სახელ-ზმნის ძირს კი არა მარტო, რატორც ჩვენებითი სახე (კეთება, კეთ, მეკეთა), არამედ

საყოფველს, სხმით გარდასვლითი სახედაც მითქმულს (კეთება, კეთებინ, მეკეთებინა; ჩუქება, ჩუქებინ. მეჩუქებინა).

ხან და ხან ისე მოხდება, რომ ქართულში თავსა და სართ წინადადებაში ქვემდებარე არ არის ერთი და იგივე. რუსულში კი ერთი და იგივეა.

ავიდოთ მაგალითი გოგონას თუმცა მუშაობა არ შეუძლია, მუშაობს მაინც. ვირველი წინადადების ქვემდებარე მუშაობა, ხოლო მეორისა ის. იგივე გოგონა, რამედიც იგულისხმება. ავიდოთ ეხლა რუსული მაგალითი, გეორგი, ხატია ნე მოჟეტ, ვსიოტაკი რაბოტაეტ. აქ ქვემდებარე ერთავ წინადადებაში არის გეორგი. გადაგვარებაც ის არის, რომ რუსული ფრაზის გარემოებას დაუბადა ნასწავლ ქართულს სურვილი თავისებურად აზრის გამოთქმებისა. გეორგი, თუმცა მუშაობა არ შეუძლია, მუშაობს მაინცო, გაიძახინ და სწერენ, ერთქის ამერიკა ეზოგნოთ. იმას აღარ დასდევენ, თუ გეორგი დამატებად არის (ქართულ წინადადებაში) და იკითხვის ვის არ შეუძლია. ქვემდებარე კი არის მუშაობა და იკითხვის რა არ შეუძლია გეორგის აო.

დასასრულ მოვიყვან მაგალითებს ვეფხის ტყაყსისას, შკითხველმა დაინახეს, რამდენად მადლა მდგარა ძველად ქართული ეხის ბუნების ცოდნა და საზოგადოდ სიტყვა — ხელფანება და რამდენად დაცემულა ეხლა. ზოგჯერ რუსთველს მუხლები გადუქსილი აქვს სულ დამოკიდებით სახედ.

თუ შეფეცა გავიშკებდეს, თვით ლაქარნი რად მოლორდენ! რად ვაგიშვან, რად დლორდენ, ხუ შხესა რად მოშორდენ. შეს წახვიდე, შტენნი ჩვენსი დავეთამდენ, დავისწორდენ, ებე ასე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ.

ამა კარგსა მოემეს
 რა ომი გამარჯვებოდეს,
 ამხანგთაგან ეჯობნოს,
 ვინცა მას თანა ჰხლებოდეს.
 მიულოცვიდენ, აქებდენ,
 მათ აკრე შეფეთა სწებოდეს,
 ჰშვენოდეს დაკადილობა,
 ცოტაი რამე ვნებოდეს.
 შე ვირე ამა წიგნისა
 მასუხი მომივიდოდეს,
 ვცნობდე, გინდოდე სკალავად,
 ან ჩემი გაგივიდოდეს,
 მანამდის გავძლო სულთა დგმა,
 გული რაზომცა მტკიოდეს;
 სიცოცხლე, ანუ სიკვდილი
 გარდმიწყდეს ნეტარძი ოდეს.

დირს ვარმცა, ვნახო შირის შირ,
 უამბო, რაცა მსმენია.
 არ მოსულიყოს, რაცა ექმნა,
 ცუდ ჩემი განაულებია!

განმარტება შეტია!

კიდევ ვიტყვი, ჩვენს დაცემულ მწერლობას
 აღარძინებს მხალად ქართული სკალასიკო
 შრომა და შოყნა. ვერძულ ნაწარმებთა
 თარგმნისაც მამინ ექმნება მადლი, როცა მათ
 მთარგმნელი ძველი სიტყვა კაზმული მწერ-
 ლობის ზედმიწევნით მტოდნე იქმნება. დამ-
 ნაშავა ის მწერალი, ვინც მწერლობას ეწევა
 ქართულ კლასიკოსთა უცოდინარ-უკითხველი.

პეტრე მირიანიშვილი.

ახალციხე

(ეთნოგრაფიული აწერილობა)

ძველად ახალციხედ იწოდებოდა თით-
 ქმის შთელი სამეხსეთის ნახევარი ნაწილი;
 დღეს კი ერთი სუთად შემცირებულა და
 მხალად სამეხსეთის ჩრდილოეთის ნაწილს,
 ზატარა - ახალციხის მახრას შეადგენს, რო-
 შედის სსზვდრავს: აღ. ჯავახეთი კოდანის
 შთებთურთ; დას. - აჭარა; ჩრდ. - იმერეთი
 და გურია სურების შთებთურთ.

ახლანდელი ახალციხის მახრის სიგრძე
 2.377,66 ოთხ-კუთხი ვერსია, ანუ 347,672
 ოთხ კუთხ. დესეტინა, სიდაც (1897 წლის
 აწერილობით) 4,904 კამლი, 70,786 სუელი
 მცხოვრებელი ითვლება, შესდგება 189 სოფ-
 ლიდგან და დაუთფილია 9 სამამასხლისოდ
 და 3 საბოქაულოდ.

ახალციხელები (1897 წლისავე აწერილო
 ბით) სარწმუნებით ასე განიყოფებიან:
 38 370 სული მ.ჰმადიანი; 20,190 სული
 სომეხ-გრიგორიანი, 6,200 სული კათოლი-
 კე; 4,288 სული მართლ-მადიდებელი და
 1,738 სული ებრაელი.

უფველ 100 სულს მამაკაცზე, 86 დედა-
 კაცია. უფველ 1,000 სულს მცხოვრებელზე
 ხდება:

ქორწინება. დაბადება. გარდაცვალება.
 მამ. სქ. მდ. სქ. მამ. ს. მდ. ს.
 ქალაქში: 8, 0; 18, 8; 17, 6; 12, 9; 10, 9
 მახრასში: 7, 3; 18, 3; 15, 3; 9, 2; 8, 4.

1897 წლის აწერილობის შემდეგ 14 წი-
 ლიწადი გაუდილია, მას შემდეგ 20,000 სუ-



ლი მანინგ ხო მიემატებოდა და ამ ვარაუდით რომ ვინაგარიშით დღეს, სასლციხის მაზრაში 90,786 ს. შესდგება. = 6,904 კომლი.

სასლციხის მაზრაში ერთად ერთი ქალაქია, სასლციხე. 16,000 მცხოვრებლით, ანუ 2400 კომლით.

ქ. სასლციხე მდებარეობს მდ. ფოცხოვზე მდ. ფოცხოვი ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს, ძველ ნაწილად, ანუ „რბათად“ და „ზღანად“ სასლ ნაწილად.

„რბათი“ ქართველებითაა დასახლებული და „ზღანი“ სომხებითა. ზღანი უფრო უფრო რბიული სახლებით და ქუჩებითაა ნაშენი, ვიდრე რბათი და ამიტომ შესაფერი სახელიც დარქმევია, „ზღანი“.

მდ. ფოცხოვი სასლციხის აღმოსავლეთზე 4 ვერსის დაშორებით ერთვის საქართველოს დედა-მდინარე მტკვარს.

სასლციხის მდებარეობა მთავარიანია, ამიტომაც ზაფხული გრილი და ზამთარი ცივი-სუსხიანი იცის.

ვაკე მინდვრები სასლციხის მხარეში მცირე არის, ისიც მთა-გორაკთა ფრთებში იშლება ცოტადღე. სასლციხის მაზრა სანახევროდ ტუეების უჭირავს, ხანუვარი ადგილები კი სრულიად გატიტვლებულია, რასაც ალავ ალავ ხელფონურად შიშვნებული ბაღები მოსავს სითიტვლეს, რაც დიდად ხელს უწყობს ბუნებრივ გამშვებნიერებაში. ბაღებს გარედ დარჩენილი მითიტიტვლებული ადგილები უშეტეს ნაწილს სახნავ-სათესს და სამოვარ ადგილებს შუადგებს; თუშტა არც გადასრუკული ადგილები აკლია, რომელსაც სარწყავად წყალი არ უდგება და წარმოადგენს უდაბნოსა.

სასლციხის ტუეებში ხარობს: ხაძვი, კატარი, ფიჭვი რცხილა და შუხა.

ამ ტუეების შუახებით, უშეტესი ადგილები კალმანით სავსე ხაკადულებით ირწყვება.

მთა-გორიანი სასლციხის მხარე, დრახტუ ხეობებდ დასერილია, რომლის სიღმრეს

წვერვლებიდან უფსკრულში აღმინის თვალთ ვერ ხაუწვდენს.

აქ შემდეგი ხეობებია: მტკვრისა, ფოცხოვისა, ქვაბლიანისა და ურავლისა, რომელნიც 30—80 ვერსს გრძელდება.

ხეობებში მშვენიერ ხანჩქრებს შეხვდებით.

მთელი სასლციხის არე-მარე მრავალ ძველ ნავერანვე შენობებს უჭირავს. ციხეებიდან შესანიშნავია: თმოგვის ქაჯეთის ციხე, აწვერისა, ასინძისა, სასლციხისა, რუსთავისა და სხ.

მონასტრებში შესანიშნავია: ვარძიისა, რომელიც მალა კლდეებშია გამოჭრილი 200-ზე მეტი მადარებით; სოფარისა, ზარზმისა, აწვერის ხანგრევი მონასტერი, გომარეთისა და სხ.

ეკკლესიებში შესანიშნავია: ჭუყებისა, ჭიტიისა და სხ.

გამოქვაბულებში შესანიშნავია: ვანის ქვაბობი, ხავარძივისა, ურავლისა და სხ. დარჩებში შესანიშნავია: დროშის დარჩები, დადებიისა და სხ.

სასლციხის მხარეში სამკურნალო წყლებიც მრავალჯან არის, მაგ. აბასტუმნისა და ასინძის გოგირდის ცხელი წყლები; ურავისა, ხომისა და ფლოტისა. რკინის ცივი წყლები; არის სხვა და სხვა გვარის სამკურნალო წყლებიც, რომელიც თვალის ტკივილსა და ტანის ქავილს რკებს ხოლმე, მაგალითად, სასლციხის—ურაების უბნისა, რბანის დამშალი წყალი, მოღნისისა, რუსთავისა და სხ.

სასლციხის მაზრაში არის მადნებიც: ვალის წერხეი (წითელი საღებავი, ს. წუერთისს (ლითონის საწმენდი, ნაგრი ფერისა) მიწა; კისათიბის თეთრი მიწა (Инфузоры), რომელითაც თუჯის დაზიანებულ მანქანებს ჰკრავენ და აკეთებენ. თეთრი მიწა—ბაქსა და სხვა ქალაქებში გააქვთ ს. კისათიბიდან, წელიწადში 50,000 ფუთამდე.

ხელოსნობა ძველიდგახვე განთქმულია სასლციხეში, მაგალითად, ოქრო-მკვდლობა

და საზოგადოდ მკედლობა ახალციხის გან-
თქმულია მთელ კავკასიაში. დღესაც ახალცი-
ხეში დამუშავებული საქრ-ვერცხლის ნივთიუ-
ლობა დიდი პარტიობით იგზავნება ხელმე
გასაყიდათ, ვარშავას, ოდესასა და დ.—ს
რსოტოვში, მეტადრე საწერ-კალამი, საფუეე
ქისები და სხ. ძვირფასი ნივთები.

სახაქებოდვე და კონტად აკეთებენ ახალცი-
ხელი ეტლის მკეთებელნი ეტლებსა, კარუ-
ტებსა და სხ., რომლის სიმშენიერეს ბორ-
ჯომიდან აბსტრუქში წამსვლელი ხშირად ნა-
ხავენ ხელმე.

ახალციხეში ბევრა სხვა და სხვა ქარხნე-
ბიც არის: ტყავისა, აგურისა. ჭურჭლეულო-
ბისა (თიხისაგან), ხე-ტყის სახერხისა, ღიმ-
ნის წვეინის დასამზადებელი, არყისა და ღუ-
ლის სახდელი და სხ. დიდხინიდან არსებობს
აქ თამბაქოს ფაბრიკაც.

მრეწველობასთან ერთათ განვითარებულია
ახალციხეში ვაჭრობაც. მეტადრე ფეხზე ვაჭ-
რობას უდიდესი ადგილი უჭირავს ახალციხე-
ში. ვაჭრობენ ხე-ტყითა, ფეხ-მსხვილი სა-
ქონლითა, რძის ნაწარმებითა და ხილითა. და-
სახელებული საქონელი რუსის სახელმწიფოს
სხვა და სხვა შორეულ ქალაქებში გააქვთ ბა-
ზარზე გასაყიდათ. ახალციხელი კაცი, საზო-
გადოდ ვაჭრობაში დიდ უნარს იხენს. არ
არის კავკასიის დიდრონი ქალაქი ისეთი, რო
ახალციხელი არ ვაჭრობდეს, რომელთა მადა-
ზიებს უკვლავ თავიანთი მდიდრული საქონ-
ლის მოწოდებით ღირსეული ელფერი არ
ეღას.

ახალციხელი გლეხი მეურნეობას მისდევს.
ხნავს მიწას და უმთავრესად სოთსავს, ზურს,
ქერს, სიმინდსა და კართოფილსა; აშენებს
ბაღს და უმთავრესად ამრავლებს ვაშლსა და
მსხალსა, რასაც რუსეთის ქალაქებში დიდი
ბაზარი აქვს მოხვედრული მეტადრე ახალციხურ
ვაშლსა; ამრავლებენ თხა-ცხვარს და ფეხ-
მსხვილ საქონელსა და მათი ნაწილი რძიდან

ამზადებენ გარდ გასაყიდათ ურბლ-
მისდევს მეფეუტკრეობას და ჩინებული თაფ-
ლიც მოდის აქა, რომელიც ერთ ოთხად მე-
ტად ფასობს, ვიდრე იმერული თაფლი, რა-
მელიც ხშირად მთაქვთ ჩვენში გასაყიდათ.
ქსოვენ ხალიჩებსა და ფარდაგებსა, სახბე
შალებსა და სხ. განთქმულია აგრეთვე ახალ-
ციხური ჭრელი მატულის წინდები, რომელიც
სტამბოლშიაც კი გადის გასაყიდათ. ახალცი-
ხელი ჭრელი მატულის წინდები აბრეშუმის
წინდებზე უკეთესი გამოჩეყავთ და თითო წვი-
ლი იყიდება სხვაგან სამ მანეთამდე.

ყუმიდ დასახელებული მეურნეობა და ნა-
წარმოები სულ მამა მანურადა, ძველი სისტე-
მით მიმდინარეობს ახალციხეში; კარგი იქნე-
ბოდა, რომ ვინმეს ეოავს და ევროპა-ამერიკუ-
ლი სასტუმის მანქანებიც გაემრავლებინათ და
ითითა დაემუშავებინათ ეოველივე, მეტადრე
სახნაკ-სათქის ადგილები და ეობო-უველის
კეთების საქმე, რაც უფრო დააწინაურება
ეკონომიურად ახალციხელ გლეხსა და დიდ
სიმდიდრესაც შესძენდა.

რ და რამდენი გადის ახალციხიდან გლე-
ხის ნაწარმოები კავკასიის გარედ და კავკასი-
ის ქალაქებში:

- ვაშლი 500 ვაგონი (300,000 ფ.).
- 1) 1 ფუთი, 2 მან.=600,000 მან.
- 2) 250 ვაგ. კართოფილი (150,000 ფ.)
- 50 ვაგ. დან=75,000 მან.
- 3) 1 1/2 ვაგ. ერბო (800 ფ.), 14 მან.=
- 11,200 მან.
- 4) 2 ვაგ. უველი (1,200 ფ.) 7 მან.=
- 8,400 მან.
- 5) ხე-ტყე, 1500 ტივი; თითო ტივი
- 200 მან.=300,000 მან.
- 6) ამდენივე და დახეული ხე ვაგა ადგი-
- ლობრივი ფიცრის სახერხი ქარხნებიდან. ესე
- ივი.=300,000 მანეთისა.
- 7) ფეხმსხვილ საქონელს გარკვევს აქედან



ქუთაისს და ბათუმს 4,000 სულს ხარ-ძრახს, თითო 30 მან. შეადგენს=120,000 მან.

კვერცხი ნახევარი მილიონი ცალი (100 ც.=1 მან. 50 კაპ.) შეადგენს=7,500 მან.

სულ შესდგება გარედ გასული, 286,600 მან.

ადგილობრივ ქალაქში შემოდის და იყოფი-
ბა შემდეგი საქანელი: 2000 ს. ფეხმსვილი
საქანელი; 8,000 ს. თხა-ცხვარი; კობო,
ყველი, შინაური ფრინველი, კვერცხი, კარ-
თოფილი, თივა-ბზე და სხვა და სხვა ხორა-
კუული ხილითურთ 500,000 მანეთისა მანც.

ამ ვარაუდით შეიძლება ვიანგარიშოთ, რომ
ახალციხის გლეხი თავის საშუალო ნაწარმოე-
ბიდან ჭეილის ყოველწლივ 1,786,6000 მან-
ეთისას.

კარდა ზემოდ ჩამოთვლილი ნაწარმოების
დაგერხა ახალციხელი გლეხის მიერ დამუშა-
ვებული შემდეგი საქანელი, არაჟი, რასაც
ბევრნი ხდიან: ქსოვილები: ხალიჩები, შალე-
ბი, წინდები და სხ., ადგილობრივ ქალაქში
შემოტანილი საწვავი შეშა, სახლეების ასაშე-
ნებელი ხე-ტყის მასალა და მისთანობა, რასაც
შემოზიდვენ სულ ცოტა 213,400 მანეთისას
მანც, ასე ვიანგარიშებთ დაახლოებით ახალ-
ციხელი გლეხის ნაწარმოებიდან შემოსულ
2,000,000 მანეთს. თითო კომლზე მოდის
333 მან. 33 კაპ. ნავაჭრი ფული. ეს ფული
რჩება ახალციხელ გლეხს კარდა თავის საცხოვ-
რებელისა, რითაც იკვებება და იმსება იგი
თავის ოჯახობითურთ, მასსადაჟე უნდა ვიგუ-
ლისხმოთ რა ახალციხელი გლეხები საქარ-
თუელს სხვა კუთხეების გლეხებზე უფრო
მდიდარნი უნდა იყვნენ, რადგანც, მაგალითად,
როგორც იმერელი და გურული გლეხი 333
მან. ნაწარმოებს ვერ გაჭეიდას; მაგრამ ნამ-
დვილად კი ახალციხელი გლეხი დარბიბი არის
სახნავ-სათესი მიწის სიფიწროის გამო, რა-
მელთაც არა ჭეოფნით მიწა და იძულებულნი
არიან შეიძინონ საყოფი მიწა, და რადგან მი-
წაც ძვირი არის ჩვენში (დესეტინა მიწა ღირს

1500 მან.) და აი, ჩვენი გლეხიც ამ ფულსა
ჭურის იმ ნასესხი ფულის სარგებელში,
რითაც იძენს თავისთვის საჭირო მიწას და
ამ გარემოებისა გამო ჩვენი გლეხი დარბიბად
რჩება. და თუ ოდესმე მოახერხა და საყოფი
მიწა შეიძინა, და ყოველწლივ ამდენივე ნა-
წარმოების გაუიდევა მოახერხა, მაშინ წელს
უკედ გაიმაგრებს და რაოდენიმე წლის გან-
მავლობაში გამდიდრდება კიდევ ამ მიწის
მისაღწევად კი საჭიროა უოკლის უზირველე-
ლესად ჩვენმა გლეხმა მამაპაპურ ტაქტიკით
მუშაობა, ახალ და ევროპულ ტაქტიკურს
მუშაობაზე შესვრად; გამოიწერონ და
გაავრცელონ თავიანთ შორის ამერაკული
სისტემის სახნავ-სათესი, საცვლავ-გასაღეწი
და კობო-ყველის საკეთებელი მანქანები და
მისთანობა. აგრეთვე კარგი იქნება ძველ ნავე-
ნახარ ადგილებზედ ხელახლავ მოაშენებდნენ
ვენახებსა და რაოდენიმე საუკუნის წინედ ნა-
მყოფ ვენახებს ისევე ადადგენდნენ, რასაც დი-
დად ხელს შეუწყობს მას აღორძინებას ჩვენ-
ბური ხეობების ნოყიერი ადგილებიც, რომ-
ლებიც რაოდენიმე საუკუნეებით შესვენებული
და დამუშავებული არის.

უკვლავ, ამ ზემოდ ნახსენების გასავრცელე-
ბლად კი საჭირო არის, რომ ახალციხეში რა-
ოდენიმე მეურნეობის მცოდნე და ენერჯიანი
კაცები იყვნენ. რომლებიც უურს გამოუხსრეკენ
ურთ ხალხს, აუხსნიან ყოველსავე ამის მნი-
შებელობასა და სარგებლობასა და თავიანთი-
ვე მუშაობითვე უჩვენებენ ყველაფერს და მით
გაუადვილებენ მანქანების შეძენასა და მო-
ხმარებასაც, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი აღმია-
ნებიდან ჯერ ერთიც კი არა სჩანს ჩვენს მი-
ერეობულ კუთხეში და ამიტომ ისევე მამაპაპუ-
რად უნდა იდგას წლებზე იფნა და წვალე-
ბით უნდა მუშაობდეს ახალციხელი გლეხი,
სანამდისინ არ გამოვლენ მათ მომავალ თა-
ობაში, ამ ცოდნით განმსჭვავლენი, რა ჩაი-
რიც საჭირო არიან.

სწავლა-განაოლებას ახალციხელი გლეხი კუს ნაიფით მისდევს და უმეტრების ოკეანეში იღუპება. მთელ მაზრაში 15-დე ჰირველ დაწეები სკოლა ძლივას არის 90 ათას მცხოვრებელთა შორის. ასე, 6-7 ათას სულზე ერთი ჰირველ დაწეებითი სკოლაა; ერთი ზრამიზია და ერთი სამოქალაქო ოთხკლასიანი სასწავლებელი. აქაც 1,600 სულზე ერთი სასწავლებელი მოდის, რაც ძალიან ცოტა არის.

ახალციხელი გლეხი თავის სადგომ სახლს ქვა ტალახისაგან იკეთებს, რასაც უღაზათო შეხედულობა აქვს. ზამთრით იგინი იმ თავლაში ცხოვრობენ, სადაც საქობელი ჭეკავთ, რის გამოც უსუფთაობა ცხოვრებაში იმყოფებიან. მიზეზიც ეს უსუფთაობა არის, რა საოფლე გამოეუბნული არის ახალციხელ გლეხთა შორის, რაც დიდ ვნებასაც აძლევს მათ სიცოცხლესა.

ჭლექი კი თითქმის იშვიათი მოვლენაა ახალციხის გლეხებში, რასაც მითი ხსნიან, რომ საქონლის განავადის სუნთახ ვერ ფარფუშობს მისი ბაცილები, როდესაც რამიანი საქონელთან ცხოვრობს. ახალციხელები ტანისამოსს ორ ნაირად იცვამენ. ქალ. ახალციხის აღმოსავლეთის ნაწილში მცხოვრებნი ჯავახურები იცვამენ ადგილობრივი სქელი შალის ნაოჭებიან, ნახევრად გრძელს ჩხებს, თავზე იხურვენ ცხვრის ტუავისაგან შეკერილ დიდრონ ქუდებს და ტანზედ ზემოდან ისხმენ ავდარსა და სიცივეში საწვიმარსა, როგორც შოთა-რუსთაველს ასწავს, სურათზე.

ქ. ახალციხის დასავლეთის ნაწილში კი აჭარულად იცვამენ მოკლე ჭონიებსა, თავზე კაბალახები ახურაკთ.

აღმოსავლეთის ნაწილის ქალებს მსხარელებს აცვიათ, ხოლო დასავლეთისას ოსმალურ ქალებსავით.

10-15 წლის წინედ კი ახალციხის გლეხ ქრისტიან ქალთა შორის შევიდა ცოტა-ცოტა ხმარებაში ქართული ჩიხტა კაში, რაც თანდათან ძლიერდება მისი ხმარება. ამნაირად მომავალთა შორისაც თანდათან შედის ხმარებაში ქართული იმერული ჩხის-ახალციხის. როგორც ტანისამოსით სხვაგვარიან ახალციხის აღმოსავლეთ დასავლეთის ნაწილების გლეხები, ეგრეთვე ხასიათითაც ცოტა განსხვავდებიან. ჰირველნი, ჯავახელებივით საწყალნი წყნარნი არიან, ხოლო მეორენი აჭარლებივით ამაყნი, ჩქარნი და გულთიფხნი არიან. ამას, მათ ცხოვრებაში კარგათ ვაჩნევთ, რა უკანასკნელებში კაცის კვლა და სხვა ბოროტობა ქმედება უფრო ხშირია, ვიდრე ჰირველებში. საშობლო ენა აღმოსავლეთის ნაწილში უფრო დაცულია, ვიდრე დასავლეთის ნაწილში; დასავლეთის ნაწილში ჩინებულად ლაპარაკობენ ქართულ ენაზე მხოლოდ აჭარის მოსახლურ მამულებში.

ახალციხის გლეხთა შორის სინიღისი და ჰატოისება უფრო დაცულია მამულებთან შორის, ვიდრე ქრისტიანებში, ეს გარემოება კი მით აიხსნება, რომ ჩვენი გაუხატებელი მღვდლები ერთობ აფუჭებენ ხალხსა, რომელთაც ჯიბის გასქელების მეტი აცა ახსოვთა და ხალხს კი ზნეობრივად სცემენ. ახალციხეში მრავალია ზეპირთქმულები. როგორც ბ-ნ ვინმე მესხს ისე მე: ბური გვაქვს შეკრებილი აქ ზეპირსიტყვაობა, რომლის ერთი ნაწილი კიდევ დაბეჭდილი გვაქვს ორთავს.

მესხი კ. გვარამაძე.



საპედაგოგო გამოფენა

თბილისის ქართულ გიმნაზიაში

(მოკლე შთაბეჭდილება)

ყველას მოგეხსენებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოწაფეებისათვის და მასწავლებლებისათვის ექსკურსიებს და სხვას, მაგრამ უკანასკნელი პედაგოგიურ გამოფენის დათვალიერების შემდეგ დავრწმუნდი, რომ არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონია პედაგოგიურ გამოფენასაც; ამაში დამემოწმება ყველა, ვინც სავსებით დაათვალიერებს თბილისის ქართულ გიმნაზიაში წრევანდელ გამოფენას, რომლის ნახვითაც ყველა დაინტერესებული პირი ნასიამოვნები დარჩება და ყველა გამოფენაზე ნანახი მასზედ დიდ ფაქიზ შთაბეჭდილებას მოახდენს. გამოფენაზე უმეტეს თქვენს ყურადღებას იპყრობს მოწაფეების მიერ გაკეთებული საგნები: ნაძერწვი, ნახატი ბუნების მეტყველებიდან და აღწერიდან; ქვის და ხის სხვა და სხვა საგნების მოდელები და სხვა. არა ნაკლები ადგილი უჭირავს გამოფენაში ზოოლოგიურსა და ბატანიკურ საგნებს: ყოველგვარი გარეული ცხოველები და ფრინველები, მცენარეები, ზოგი მათ შორის

ცოცხლებიც ატკობს მნახველის მხედველობას. ამ გამოფენის გამართვისათვის მადლობის ღირსია სასწავლო ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლოფი. გამოფენა საშუალო სასწავლებლებს შეეხება, მაგრამ კარგი იქნებოდა სახალხო სკოლებსაც მიეღოთ მონაწილეობა ამ გამოფენაში და სოფლის მასწავლებლებისათვის მიეცათ შეძლება ამ გამოფენის ნახვისა. ამ გამოფენის დათვალიერება ბევრს რასმე შესძენს მნახველს.

მნახველს შეუძლიან გაიცნოს სწავლაში ხელსაწყო მრავალი სხვა და სხვა გვარი ნივთები, საუკეთესო სახელმძღვანელოები და ახალ ახალი წიგნები, რომლის შეძენაც იქვე შეუძლიათ მსურველებს*).

ე. საქარიქედელი.


*) თბილისის ქართულ გიმნაზიაში გამართული გამოფენა, სასწავლო ოლქის მიერ გამართული, იმდენად საეუրადღეობაა, რომ მას ვრცელს წერილს შექმდე ნომერში დაეუთმობთ. რედ.

სახალხო სკოლის ცხოვრებიდან

ხეების დარგვის დღე კიცხის სკოლაში

ამ წლის ცხრა მარტი სამუდამოდ დარჩება კიცხელ ბავშვების ხსოვნაში. ამ დღეს უკანასკნელ გაკვეთილებზე გავისერირნეთ სკოლის მახლობელ არე-მარეში,

ამინდი მშვენიერი იდგა, ცაზე არცერთი ღრუბელი არ იყო, ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა, ხეებს კვირტები გასაშლელად გამობეროდა და მწვანე ბალახს




თავი ამოეყო მიწიდან. მხიარულად ავედით მაღალ ადგილზე და ერთხანს ვუტყირეთ პირველი გაზაფხულის მშვენიერ სურათს. მერე ჩავედით მოფარებულში და იქ წავიკითხეთ შარშანდელ მაისის „განათლებაში“ „ხეების დარგვის დღესასწაული“ და „გუთნიდან“ სტატია „როგორ შრომობენ მოწაფეები საზოგადოებისათვის“ რამდენიმე საათის შემდეგ მოწაფეებმა გამოიტანეს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ თვითონაც შემოიღებენ ხეების დარგვის დღეს. მაგრამ რომ სურვილი საქმედ გადაგვექცია, მოცდა აღარ შეიძლებოდა, რადგანაც ხეები მალე გამოვიდოდა და დასარგავად აღარ ივარგებდა. ამისათვის გადავწყვიტეთ, რომ თექვსმეტ მარტს ბავშვებს მოეტანათ ნერგები სკოლის ეზოში. დაერგოთ ნაჩვენებ ადგილებში და შემდეგში გაეზარდათ თავ-თავის სახელზე.

გათენდა თუ არა თექვსმეტი მარტი, რომ გავგებდათ სკოლის აქეთ-იქით, გიამებოდათ: ბავშვები ნერგებით დაზურგულნი მოდიოდნენ და თან თოხებიცა და ბარებიც მოჰქონდათ. ყველას ტუჩზე ღიმი უქროდა, ყველა აქებდა თავისს მოტანილ ნერგებს, უშინჯავდა ფესოს, ამბობდა, რა ხეხილიც იყო. დიდის მზრუნველობით დაერგევით სკოლის ეზოში ორი კაკლის ხის ნერგი და კრდეც შემოვრგევით. იმ დღეს უმცროსი განყოფილებების მოწაფეები მეცადინეობდნენ, უფროსებმა კი ჩემის დახმარებით დარგეს ხეები. საქმეს მოვუნდით ოცდა ხუთი კაცი ექვსი საათის განმავლობაში, დავრგევით ოთხასამდე სხვა და სხვა ხეხილის ნერგი, რომელთა შორის თითქმის არც ერთი არ მომკვდარა და ახლა ყველა გაფოთლილია.

იმ დღევანდელი მუშაობა თავისუფალ საწერად მივეცი ქართულის ენის გაკვე-

თილზე ჩემს მოწაფეებს და ერთმა მათგანმა, მინადორა კოვზირიძის ასულმა, დასწერა შემდეგი: „ერთხელ, როდესაც სასეირნოდ წავედით და მასწავლებელმა წავიკითხა წიგნი, თუ რა სასარგებლოა ხე, მაშინ გვითხრა, რომ წამოგველო ნერგები და შემოგვევლო ჩვენის ორკლასიანის სასწავლებლის გარშემო. მართლაც, ყველა მოწაფეებმა წამოვიღეთ ნერგები, ზოგმა თხილი, ზოგმა ბეოლა, ზოგმა ლელი, ნიგოზი და სხვანი, მოვიტანეთ 1913 წელს 16 მარტს, დღით შაფათს. ზოგს სახლიდან არ წამოვლოთ და გზაში მოთხარეს. როდესაც ნერგები მოგვექონდა, შეგვხვდა წინ ერთი კაცი და გვითხრა: „ბიძია, რაზე დალუპეთ ოჯახიო? ეგ ნერგები სახლში დაგერგოთ, გაიზრდებოდა თქვენ შექამდით, ის გირჩევენოდათო.“ ზოგმა საცინლად აგვიგლო და ზოგმა მოგვიწონა. ჩვენ მინც მოვიტანეთ ნერგები. ბავშვებს ყველას ხელი ეკიდათ თავთავის ნერგებისათვის, არ დამეკარგოსო. შემდეგ დავრგევით რგულები. ვაჟებმა იმუშავეს, და ქალიშვილებს კი არაფერი გაგვიკეთებია და წავედით სახლში, რალამც იმ დღეს სწავლა არ ყოფილა. ჩვენ როდესაც მოვდიოდით სახლში, ძლიერ აღრე იყო. ვინაც შეგვხვდებოდა, ყველა გვკითხავდა. „რათ მოდიხართ ასე აღრეო“? ჩვენ ვეტყოდით, როგორც იყო საქმე. „ვაი თქვენს კეუას! ბევრს არ ისწავლით, აგრე თუ აცდინეთ დღეები? აგრე აცდინეთ ხოლმე დღეები, და „კურსონიკები“ გამოხვალთო! ჩვენ მეორე დღეს ჩამოვედით სკოლაში და ვისწავლეთ. გვეგონა თუ ჩვენი რგულები არ გაიზარებდა, მაგრამ ღვთის მაღლით ერთიც არ მომკვდარა.“

სავლე აბულაძე.



სახალხო სკოლების გარშემო

(წერილი გურიიდან)

3 ის არ ახსოვს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის ბ. კრუშსკის განკარგულება, რომლითაც ის გამოხდა 1881 წლის გეგმას. ის, თავისი განკარგულებით, ავალდება მის ხელქვეით მასწავლებლებს, რომ დაეწყოთ პირველ განყოფილებაში, სამოსწავლო წლის პირველ ნახევრიდანვე, ლექსიკონი გაკვეთილები და მეორე წლის ნახევრიდან ე. ი. იანვრიდან, რუსული წერა-კითხვა. ამ მიზნის მისაღწევად მან არ მოიგონა არც 81 წ. სასწავლო გეგმა და არც ელემენტარული ზედაგოგის კანონები. გადათელა რა ყველა ესენი, ორი გაკვეთილი დედა-ენას მოაკლო, ორი საღვთო-რჯულს. ხაზი გაუსვა კალთასა და ხატვას და ამ რიგად მოაგრძო ექვსი გაკვეთილი რუსული ენისათვის. სამოსწავლო წლის მეორე ნახევრისათვის დედა-ენას კიდევ მოაკლო ორი გაკვეთილი და მიაწერა რუსულ ენას, რომელიც გახდა 8 გაკვეთილად. 81 წლის გეგმის თანახმად პირველ განყოფილებაში, გაკვეთილების რიცხვი, ხუხის თანახმად, უდრის 20-ის კვირაში. ახალი ხუხის რიცხვი კი 24-სა. მოგეხსენება მკითხველო, რომ 7—8 წლის სოფლის ბავშვების გონების და ქანცვა არ შეიძლება გაკვეთილების უზომო რიცხვით და ეს შეუწყნარებელი ხდებოდა მეორე სამოსწავლო წლის ნახევარში, როცა გაკვეთილების რიცხვი აღიწდა 26-დის. რა კი ამ „უკუღმართმა“ განკარგულებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოაწვია მთელ ქუთაისის გუბერნიაში და ქართველმა დეპუტატებმა დროზედ შეკითხვა შეიტანეს სათათბიროში, 81 წლის სასწავლო გეგმის უარყოფის გამო და რადგან გულმოდგინე ბიუროკრატებს სიტყვითი მათ-

რახი გადაუჭირეს, აღდგენილ იქნა 81 წლის გეგმა ყოვლად უმჯობესოდ. დაურიგდა ქუთაისის სასწავლებლებს გაკვეთილების ახალი ხუხსა, რომლის თანახმად უნდა სწავლობდეს სწავლა 1912—13 სემოსწ. წლის მეორე ნახევარში, რომელიც არის დამტკიცებული ბ. კაკასიის სემოსწ. ოფის მზრუნველის მიერ და ხელ მოწერილი ქუთ. სახ. სკოლების დირექტორისაგან. საჭიროდ მამახნია ამ გაკვეთილების ხუხის გათვალისწინება მკითხველთა შორის. თუ მასწავლებელი სამ განყოფილებაში შეტადინობს: I გან. II გ. III გ.

სამღვთო-სჯული	—	6	—
რუსული ენა	—	12	—
სამშობლო ენა	—	4	—
ანგარიში	—	6	—
კალთა	—	1	—

4 გაკვეთილი კვირაში ქართული ენისა! სწორედ სამშობლო ენის აბუხად ავლებსა.

4 გაკვეთილით კვირაში რომელი მასწავლებელი მაღლქვეს მიზანს? მგონი ვერც ერთი! თუ მასწავლებელი ორს განყოფილებაში შეტადინობს: I გან. II გან.

სამღვთო სჯული	—	4
რუსული ენა	6—9	
სამშობლო ენა	6	
ანგარიში	6	
კალთა	2	

დანახენ განყოფილებებში დიდი ცვლილება არ არის და ამიტომ არ მომუყვს აქ. განსხვავება ისაა, რომ საღვთო-სჯული კვირაში 2 გაკვეთილია და გამოტოვებულია ხატვა პირველ ოთხს განყოფილებებში. ხატვის გა-

კვეთილიც არ გაიმეტეს სამშობლო ენისათვის მიემატებიათ; მიავლებს—გალობას.

ძველი უკუღმართი ნუსხით 8 გაკვეთილი ჰქონდა სამშობლო ეხას დათმობილი კვირაში. ეხდა კი 4—6 გაკვეთილი! სწორედ აღიასქოთია ეხდა სახალხო სკოლებში.

მაგრამ მოგეხსენებათ მეითხველნო ქართული ბრძნული ანდაზა: „ცხე შიგნიდან გატუღებს.“ და სწორედ ასეც მოხდა. ჭაჭიეთის (ბასილეთის საზ.) ახალ გახსნილ სასწავლებელში მსახურებს ორთა-ბათუმის სასწავლებლის უოფილი მასწავლებელი ბ. კუხლაშვილი, კარგად ცნობილი III-მე რაიონში. მიიღო რა ახალი გაკვეთილების ნუსხა, ეს, რასაკვირველია, არ იამა და სჩქაროდ ინსპექტორს უფერინა „რაპორტი“, რომლითაც გაუკეთა მოხსენება: „ახალი ნუსხით მავლებ თუ არა რუსული წერა-კითხვის დაწეებას! მეითხველნო ამ სიტუკეებში იგულისხმება მხოლოდ ორი სიტუკე: „გთხოვთ დამავალოთ“. სურვილი მართლაც აუსრულდა. „რაპორტი“ უკანვე მიიღო ლაკონიური წარწერით: „ვადდებულობა, მხოლოდ არ დაივიწყო საზღვრები!“ ისევე უარყოფა 81 წლის კეკმისა!

ბ. ინსპექტორის რეზოლიუცია სავსებით გვიმტკიცებს; რომ სამოსწავლო მთავრობაში სრული უმორჩილება, ამ დარკის მოხელები არსებულ კანონს არ უმორჩილებთან და კანონს თვითონ ჰქმნიან თავისი სურვილისამებრ. ბ. ტერ-გასპარიანცი (მესამე რაიონის ინსპექტორი) ავლებს თავისს ხელ-ქვეით მასწავლებ-

ლებს რუსული წერა-კითხვის დაწეებისას; ბ. გრძდოვი (I-ლი რაიონის ინსპექტორი) კი არ ავლებს რუსული წერა-კითხვის დაწეებისას ზირველ განყოფილებაში. მაგალითად, როდესაც მან ს. დიდი-ჯიხაიშის სასწავლებლები დათვალიერა, მასწავლებლებს განუცხადა, რომ მთავრობას 81 წლის სასწავლო კეკმის და ქართული ენის სწავლების წინააღმდეგი არაფერი აქვს, ზირიქით კარგია, მხოლოდ მთავრობას გაკვეთილების ნუსხის და დროს შესახებ აქვს დავა.

ბ. კუხლაშვილი სინარულით შეუდგა „ბრძნების“ შესრულებას, მაგრამ, სუბედუროდ არ იცის რა ავგას არის „საზღვრები“. რამოდენიმე ზირებმა, რომ შეჰკითხეს: რატომ არღვევ 81 კეკმისა? მან რიხიანად უპასუხა: „რატომ ვაწეებო უფროსს? მე თუ სწეენს უფროსისაგან მივიღებ, ჭაჭიეთში ქვაქვზედაც არ დარჩენილან“ ესეც სახალხო სწავლა-განათლებას ემსახურება? მგონი არა.

ის ასეთი მოქმედებით იმხადებს მხოლოდ მომავალს „კარიერას“. ბ. კუხლაშვილმა გამოიჩინა ერთგულება და მგონი „ორდენსაც“ მალე მიიღებს „ვისგანაც ჭერ არს“.

უგელაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს მაინც არ უნდა ჩაუდინა ბ. კუხლაშვილს, იმ ნორჩი თაობის საკეთილდღეოთ, რომლის ბედიღობადაც მასზედაც დამოკიდებული.

მ — შვილი.



კრიტიკა და ბიბლიოგრაფია



საკვირველი ხალხია ეს ჩვენი ლიტერატორნი—ვინც რა უნდა დასწეროს და გამოაქვეყნოს, აბა ვინ აქცევს განა ყურადღებას!? ამ გვარად შეუმჩნევლად დარჩა მაგალითად, ამ წელს იანვარში გამოცემული წიგნი „მცენარენი და ცხოველნი“ ვ. ი. რცხილაძისა. ავტორს იმისთანა შესანიშნავი რამ დეფექტი აღმოუჩენია ზოოლოგიაში, რომ მთლად მეცნიერება დაფაცურდა! არც ერთი წინასწარმეტყველი თავის სამშობლოში არა ყოფილა მიღებულიო.

ექვს გარეშეა, რომ ბატონ რცხილაძის მეცნიერული შრომა საზღვარ გარეთ, ევროპაშიაც დიდს სენსაციას მოახდენს და ჯეროვანდაც დააფასებენ.

აი რა მისდა: მეცნიერთა დახვედრული შეხედულობით წინეთ და აქამდე ზღვის ლამაზი აქტინიები ცნობილ იყვნენ როგორც ზღვის ცხოველები და ამიტომაც ზოოლოგიაში იყვნენ მოთავსებული, ახლა კი მრავალ დაურღვეველ საბუთებით ჩვენმა მეცნიერმა დაამტკიცა, რომ აქტინია წამდვილი მცენარეა და თანაც თავის ცხოვრებით ჰრასიტი მცენარეებს ეკუთვნის, მუქთა-ხორებსო *) ვ. ი. აქტინია ითესება კიბოს ზურგზე, არხეინად იზდება და იკვებება კიბოს სისხლით, ხო გინახავთ ფიფი ბებერ მუხაზე ან მსხლის ხეზე ამო-


სული—ცოცხალ ხის მზა-მზარეულ წვეწვს ლორწოს სწოვს და ხარობს, იზდება, მარგალიტივით თეთრ ხილსაც კი ისხავს, ჰო და ასევე იქცევა ბ. რცხილაძის აქტინიაც.

მე ხელთ მაქვს 1911 წელს გამოცემული პროფესორის ა. მ. ნიკოლსკის წიგნი „Земля и Миръ животных“ **) სადაც პროფესორი მოგვითხრობს ცხოველებში არსებულს საინტერესო მოვლენას, რომელსაც სიმბიოზი ეწოდება (იხ. გვ. 133). ცხოვრებაში, არსებობისთვის ბრძოლაში, ძმობა—ერთობის კავშირის შედგენა, ურთიერთ სასარგებლოდ მიაჩნიათ ცხოველებს, მაგალითად, ზღვის კიბო (განდევილი) განგებ შეისვამს ხოლომე ზურგზე პაწია ცხოველს აქტინიას (იხ. იმავე გვ. ნახატი Ракъ—от-шельникъ и актинія), ორივენი კიბოც და აქტინიაც სრულს კმაყოფილებაში სცხოვრობენ: აქტინიას თითონ ცურვა მოძრაობა არ შეუძლიან, ახლა კი კიბო დაასეირნებს ზღვაში და ახალ-ახალ ადგილებში აქტინია უფრო მეტს საზრდოს შოულობს. სამაგიეროდ კიბოც იმითი სარგებლობს, რომ აქტინია საშინლად, ჰინჯარზედ უარესად ისუსხება თავის სხივებით, უღვაშებით, რის გამოც ველარა ცხოველი კიბოს სამტროდ, შესაქმელად ველარ ეკარება—აქტინიასი ეშინიანთ.

ჰო და ვიმეორებ, ეს აქამდე იყო. დღეიდან კი სიმბიოზი შეიცვლება ჰრასიტი-

*) იხილეთ „მცენარენი და ცხოველნი“ ბატონ რცხილაძის წიგნის 91 გვერდზე: „ჰრასიტი მცენარე აქტინია ამოსულა ეული კიბოს (ჰაგურის) ზურგზე“ მართლაც და შესანიშნავი მოვლენაა—მცენარე აქტინია უშუალოდ ბუჩქად გახდის, თვითონ ტახით კიბოს აღემატება სხვათა სისხლი აბა რაში შურს!

**) Брокгаузъ и Ефронъ, Библиотека самообразования, Земля и Миръ Животныхъ (Географія Животныхъ). А. М. Никольскаго, Ординарнаго Профессора Императорскаго Харьковскаго Университета, С. Петербургъ 1911 г.



ზმით და აქტინიასაც ზოოლოგიიდან გა-
 აგდებენ *) და სათანადო ადგილს მოუ-
 ნახვენ ბოტანიკაში—პარაზიტ მცენარეთა
 შორის დაასახლებენ.

* * *

საზოგადოთ, ქართულს ლიტერატურა-
 ში ბუნების მეტყველება ჯერ მკვიდრ ნი-
 ადაგზე ვერ არის დამყარებული, ამ მეც-
 ნიერებას ჯერ მწერლებიც ცოტანი ჰყავს
 და მკითხველებიც, პრაქტიკულ ფილო-
 სოფიას ქართველი კაცი მაგრე რიგად
 არც თუ სწყალობს, სამაგიეროდ სულ
 ვმღერით და ვმღერით! ღვთის მადლით
 ე. პოეტებიც ხო ბლომად გვყავს.

როგორ ჰფიქრობთ, კულტურის რო-
 მელ საფეხურზე ვსდგევართ, როდესაც
 არ გვაბადია, აქამდე არა გვაქვს რაციონ-
 ალურად, კარგი ქართულით შედგენილი
 მინერალოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია,
 ანატომია, ჰიგიენა, ქიმია, ფიზიკა და სხვ.
 და სხვ.

რომ ქართველი კაცის ტვინს, მის ჰკუა
 გონებას დიდი უნარი აქვს განვითარები-
 სა, ფილოსოფიის უმაღლეს წერტილამდე
 ამაღლებისა, ამის მაგალითი საკმაოდ ბე-
 ვრი გვაქვს. აღსანიშნავია, რომ ჩვენის-
 თანა შედარებით უკულტურო და პატა-
 რა ერმა ბუნების მეტყველებას შესძინა
 ორი უნიჭიერესი ბუმბერაზი მეცნიერი,
 რომელნიც მთელს განათლებულ ევრო-
 პაში ცნობილნი და განთქმულნი არიან
 თავის მეცნიერულ შრომითა და მრავალ
 ნაირ კვლევა-ძიებითა. სახელდობრ გამო-

ჩენილი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი თათა-
 ხნიშვილი და არა ნაკლებ განთქმული
 ქიმიკოსი პროფესორი ვ. პეტრიაშვილი
 ამ სასიქადულო ქართველ მეცნიერებში
 თუმცა პროფესორმა თარხნიშვილმა არა-
 ფერი შესძინა საკუთრად ქართულ ლიტე-
 რატურას, სამაგიეროდ სახელი კი დიდად
 გავითქვა ევროპაში—მოგვაშორა შუბ-
 ლიდან ღამა და სახელი აზიელებისა.
 ხოლო პროფესორმა პეტრიაშვილმა, სხვა-
 თა შორის, ქართული სამეცნიერო ლი-
 ტერატურაც გაამდიდრა და სამეურნეო
 მრეწველობას შესძინა უუდიდესი განძი
 და საუნჯე. 1895—9; წლებში ქართუ-
 ლად დასწერა და გამოცა ორი დიდი
 ტანის წიგნი, სადაც საფუძვლიანად, მე-
 ცნიერულად გაგვაცნო და შეგვასწავლა:
 ვაზის მოვლა, ღვინის დაყენება, მეძეობა
 და სხვ. ყველა ეს უსაჭიროესი ცოდნა
 ქართველ მემამულეს შეუძლიან შეიძინოს
 და რაციონალურად, გონივრულად გამო-
 იყენოს ცხოვრებაში თავის ოჯახისა და
 მოყვასთა საკეთილდღეოთ, ამ 10—15
 წელიწადში რა თქმა უნდა ტეხნიკა და
 მაშინა—იარაღები შეიძლება გაუმჯობეს-
 და, მაგრამ მეცნიერული საფუძველი,
 პრინციპი იგივე დარჩა. მარტოოდენ ის
 იფიქრეთ პროფესორმა პეტრიაშვილმა რა
 აუარებელი ტერმინები შესძინა ქართ. ლი-
 ტერატურას ორგანიულ და არა ორგანი-
 ულ ქიმიიდან!

დიპლომი და მეცნიერება ერთი და
 იგივე არ არის—„შუა უზის დიდი ზღვა-
 რი“. ვინც ბუნების მეტყველების ფაკულ-
 ტეტს ათავსებს, ყველას ხო მართლაც
 მეცნიერულად არა აქვს შესწავლული
 თვით მეცნიერება, აგრეთვე რომელი ფა-
 კულტეტის გინდათ გაათავეთ, ეგ სულ
 ერთია - დიპლომი გაძღვეთ მხოლოდ უფ-
 ლებას განაგრძოთ სწავლა ან იმავე უნი-

*) ნეტა თუ რა უხერხულ მდგომარეობაში
 ჩავარდებიან, რამდენ სირცხვილს სჭამენ მე-
 ცნიერნი: ჰეოსსე, ჰეკსელი გემ, ღიაკაც — დი-
 თიე და მეტადრე ჰერტვიგი, რამელთაც ას-
 წერეს, ანატომია — ფიზიოლოგიურად გამო-
 იკვლიეს და გაგვანეს აქტინიები.



ვერსიტეტში, ან საზღვარ გარეთ. მაგალითად, სვინიდისის ქვეშ რომ ვსთქვათ, არც ერთმა ექიმმა ხელი არ უნდა მოჰკიდოს ექიმობას, ვიდრემდის გათავების შემდეგ, ხუთიოდე წელიწადს კიდევ არ იმუშავებს უნივერსიტეტების კლინიკებში და ისიც რა, მედიცინის ერთი რამ დარგი უნდა სპეციალურად შეისწავლოს. მხოლოდ მაშინ ნება აქვს წმიდის სინდისით მოჰკიდოს ხელი ექიმობას და ისიც მხოლოდ თავის სპეციალ საგანში. სიტყვა უნებურად გაგრძელდა. ჩვენ იმის თქმა გვინდოდა, რომ განსვენებულ პეტრიაშვილისთანა მეცნიერი ქართველებში ვინ იცის როდის და გამოჩნდება, როდის-ღა ეღირსება ქართული მეცნიერება მისებრ შრომას.

ეს თუმცა ყველა ასეა, მაგრამ ცხოვრება ბატონებო, როდი იცდის. ჯერეთ მესამოციან წლებში ქართველმა მწერლებმა და მოღვაწეებმა დაიწყეს ბუნების მეტყველების ყველა დარგიდან თარგმნა და ეურნალ-გაზეთებში პატარ-პატარა წერილებად ბეჭედა, მათგან ნათარგმნ თუ გამოგონილ ტერმინებს დღესაც ვსარგებლობთ. მართალია ბრმა მორჩილება რუსულ ენისა ძრვიელ ეტყობა ტერმინებს, მაგრამ ეხლა რაღას გავაწყობთ, ბევრიც რომ დავიწუნოთ. მაგალითად, განსვენებული პეტრიაშვილმა თავის წიგნებში შემოიღო ქიმიურად ზედ გამოჭრილი ტერმინი ჟანგბადი (Кислородъ), მაგრამ აბა ვინ მიაქცია ყურადღება. რუსები დამოუკიდებლად ლათინურს *oxigenium*, -ს, *) ქართველები რუსულ Кислородъ და თუთიყუშივით ვიმეორებთ, ვიზებირებთ.

*) ჯანაფიკემ ვერ მძასწრო მთელი ბუნება, ხასიათი და უნარი გამოეკვლია ამ მარტივ სხეულისა თორემ არ დაარქმევდა *oxigenium*-ს (ჟანგბადს).

დღეს საქართველოს უნივერსიტეტების პრობებში სცხოვრობენ და მოღვაწეობენ, რომ თუ ვინმემ უმაღლეს სწავლა გათავებულმა ქართველმა თავის დედა ენა მინც შეიჩინა და ქართულად კიდევ ლაპარაკობს, ესეც დიდი უნარია. მიუხედავად ამ აუტანელ პირობებისა დღეს მშვენიერის ქართულით და მდაბიურათაც, ადვილ გასაგებად სწერენ ექიმები გიარგი ბადრიძე, ივანე გამარიაძე და აგრეთვე ივ. ელიაშვილი, ხოლო განვილილ წელს ახლად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ ექიმი ევ. ლოსაბერიძე. **)

მე რომ მეკითხებოდეს, წერა-კითხვის საზოგადოებიდამ დიდს პენსიას დაუნიშნავდი ორივე ექიმებს ივ. გომართელს და გ. ბადრიძეს—დასხდნენ და მხოლოდ ბუნების მეტყველების და სამკურნალო მეცნიერების ყველა დარგიდან გვითარგმნონ, მაშინ გაგვიჩნდებოდა ქართველებს ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, წამლები და წამლობა, პოპულიარულად შედგენილი და სრულუბით არ გაუჭირდებოდათ ეთარგმნათ ბოტანიკა, მინერალოგია, ზოოლოგია და სხვ...

ვიდრე ჩემის ნატვრის აღსრულებას მოვესწრებოდე, დღეს მე მსურს ჩემი მოსაზრებანი გამოვსთქვა შესახებ ოთხი შრომისა. მე მინდა გადავთვალეო „გუთანი“-ს საბუნებისმეტყველო განყოფილება, „ბუნების სარკე“ ივ. ელიაშვილისა „მცენარენი და ცხოველნი“ ვ. რცხილაძისა და „განათლებაში“ დასტამბული სტატიები ექიმ ლოსაბერიძისა.

ექიმი ლოსაბერიძე ძრვიელ პატიოსნად და პრაქტიკულად მოიქცა—წერილების

***) წელსაც „განათლების“ მაისის ნომერში მშვენიერის ქართულით სწერს ჭკეჭის შესახებ ექიმი შ. შიქელაძე.



ბილოს სრული სია გამოაქვეყნა მთლად იმ ტერმინებისა, რომელნიც მან თავის შრომაში იხმარა (იხ. „განათლება“ № 10 დეკემბრისა) ამას უნდა გამოეწვია აზრის გაცვლა გამოცვლა, რომელიც შეამუშავებდა, ერთხელ და სამუდამოდ დადგენდა ამა თუ იმ ტერმინს, თუ არ ვცდები მგონი ჯერ ხმა, კრინტი ამაზედ არავის დაუძრავს და აგერ მე ვიხიდი ზნეობრივ მოვალეობას ქართულ საბუნებისმეტყველო ლიტერატურის წინაშე, არა როგორც ავტორიტეტი, არამედ როგორც თვით საგნის წრფელი გულით მოსიყვარული.

ჩვენ, რასაკვირველია, არ შევეჩებით თვით ანატომიას, ვინაიდან ანატომია, რომ ექიმმა არ იცოდეს, ეგ იმას ეგვანებოდა, მღვდელმა მამოჩვენო არ იცოდეს. ჩვენ მხოლოდ გვიანტერესებს რამდენად გასაგებად, კაი ქართულით არის დაწერილი, ხოლო უმთავრესად კი ტერმინების მხრივ ექიმმა ლოსაბერიძემ რაგაკ მშვიდობით გაიარა ხარისხი და სწილდა.

ჯერ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ექიმი ლოსაბერიძე ენას უეჭველად შეიმუშავებს — თუმცა პროვინციალიზმი ეტყობა ქართულს, სამაგიეროდ რუსიციზმი შედარებით ნაკლებათაა. მეორეც ესა თუ რა ანატომია მშრალი საგანია, სამაგიეროდ ფიზიოლოგია მკითხველისათვის ძრიელ საინტერესო და სახალისო საკითხავია, ამიტო იყო საჭირო, ბატონო ჩემო, ფიზიოლოგიიდან მეტი გეთქვათ. თუ სურვილი გაქვთ ეგ თქვენი შრომა ცალკე წიგნაკად გამოსცეთ, ფიზიოლოგიის პოპულიარზაციას მიაქციეთ მეტი ყურადღება.

ამ რამდენიმე წლის წინეთ მე თვითონ დამჭირდა ანატომია ჩემი მაიმუნებისთვის (იბეჭდებოდა „ჯეჯილში“), და ნახევარზე მეტი ვადმოვსთარგმნე კიდევ იასინსკის

ზოოლოგიიდან, მაგრამ იმდენი ნახატები სჭირდება, რომ არც ერთი ჩვენი რედაქცია არ იკისრებს მის დაბეჭვდას.

ჩემი სურვილია მოხუცმა თქვენ ახალგაზდას დაგილოცოთ გზა და შეგაწიოთ ჩემი შრომა ტერმინების მხრივ. ბევრჯელ მოუმართავთ ჩემთვის ტერმინების წინასწარ გადასათვლიერებლად ქართველ ცნობილ მწერლებს და თქვენც იმედი მაქვს, როგორც ინტელიგენტი კაცი, არ ითაკლებთ.

საჭიროა, ბატონებო, საერთო შრომით ვისაც რა შეგვიძლიან გამოვარკვიოთ საჭირო საგანი, თორემ როდის რა გვეღიროსება?

1) აფრა гребень — იქნება ლაფათის სჯობდეს?..

2) ანდი — გარდმო ზად — ზადი поперечно полосатый — უნდა ითქვას გარდიგარდმო ზოლიანი.

3) აფისინებს дѣлаетъ скользкимъ იქნება გამოდგეს ლექსი ლიში, მადიშული სსხლეტი?..

4) აგუბთავებს собираетъ въ комокъ წარმოსდგება სიტყვიდან გუფთა და არა გუბთა. სჯობს კი ითქვას აგუნდავეს.

5) აღმაცრად Косо. *)

6) აფსკა диафрагма грудобрюшная преграда. მთელს ანატომიაში (ადამიანის აგებულობაში) მხოლოდ ერთი დიაფრაგმაა. თქვენც მოგეხსენებათ, რომ დიაფრაგმა და грудобрюшная преграда ერთი და იგივეა, მაშასადამე ან ერთი უნდა ითქვას ან მეორე — დიაფრაგმა ლათინურათაა (diaphragma) და гр. ბრ. пр. რუსულათ აფსკა აქ სრულებით უხერხულად მიმაჩნია — „აფსკა ანუ აფკა ეწოდების

*) სადაც რაფეკს შეგნიშნავ კვ მაგრევე უნდა დარჩეს.



თხელი რამ კანი რო იქნება“ საბა სულ-
ხან ორბელიანი (ლექსიკ.).

მე წინადადება შემომაქვს სიტყვა აფსკა
ანუ აფკი ვიხმაროთ გარსის მაგივრად.
ჩვენ არ გვაქვს სრულებით ტერმინი **ОБЪЕМЪ**
და ამის გამოსახატავად მე დიდი ხა-
ნია ვხმარობ სიტყვას გარსი—**ОБХВАТЪ**,
ОБЪЕМЪ. ხოლო სიტყვა **Diaphragma** უნ-
და ქართულადაც დაიფრავა—**დარჩეს**.
დიაფრავა არის მუცლის და მკერდის
არეს გამსაზღვრელი მთავარი სასუნთქი
ანუ სუნთქვის დამხმარებელი ჯირკველი,
გუმბათის ფორმისაა, რომლის კამარა მიჰ-
ბჯენია გულის კოვზს, ვეკითხები მკით-
ხველს აბა რა სახელი გამოუგონოთ ამ
ფარს:—მუცლისა და მკერდის შორისი კა-
მარა? ანუ დგომი? ეს ასე ადვილად ითქ-
მის, მაგრამ ტექსტში კი ჭიანჭურია. ისევ
სჯობს ქართულადაც ლათინური დაიფრავ-
გმა შემოვიღოთ, ისე როგორც მთელი
განათლებული კაცობრიობა ხმარობს.

7) ანდიგარდმა **поперекъ**. უნდა იყოს
განდიგარდმა.

8) ბლანდი **шовъ**. სჯობს ნაკერავი, ანუ
ნაკერი, ხოლო ბლანდი ეთქმის **нажив-**
ленный—გაბლანდული, გახლართული
ერთი და იგივეა.

9) ბორცვი **холмъ, возвышенность**
ეს ხო ასეა, მაგრამ ანატომიაში სახმარე-
ბლად იქნება სხვა სიტყვა გამოვანხოთ,
მაგ. ჯლა, ჩხა, რქა და სხვ.

10) ბრუტაინი წველი **слѣпая кишка**.
ჯერ ერთი რო უნდა ითქვას ნაწლევი და
არა წელი, მაგრამ საქმე ის არის, რო
слѣпая кишка-ს ქართულად ჰქვიან აური.
აი რას ამბობს საბა: აური უბეს *) ქვე-
ვით ნაწლევი, მოკლე და ფართო და
ერთი პირი აქვს (კარაბადინი).

11) ბუსუსები **Ворсянки**. ამისთვის ტერ-
მინები ბევრი გვაქვს. ხაა, გინგლა, ჩინ-
ჩლი და სხვ.

12) ბირთვები **шарики**. ბირთვი არის
ბოტანიკური ტერმინი და ნიშნავს **ядро-ს**
ხოლო ბირთვიდა **ядрышко-ს** (**клеточ-**
ное ядро и ядрышко) ჰო და ამ ტერ-
მინებს ბოტანიკისათვის უნდა გაუფრთხი-
ლდეთ ისე, როგორც თვალის ჩინს. ხო-
ლო **шарик-ებისთვის** აკი გაქვთ ტერმინი
სოარსლები.

13) ბაია **зрачекъ**. აგრეთვე შეიძლება
ითქვას გუგა.

14) ბადე ცხრილი. **Сѣтчатка**. სჯობს
ითქვას ცხრილა, ხოლო ბადე კი არ შეჰ-
ფერის—ბადე უკვე დაცხრილულია.

15) ბრადის მსგავსი სხეული **хруста-**
ликъ სჯობს მოკლედ ითქვას თვალის
ბრადი.

16) გულძინძის სიდრეუ **полость гру-**
дной клетки. ჯერ ერთი რო გული **Сер-**
дце არის, მეორეც **грудная клетка-ს**
ჰქვიან მკერდის ყაფაზი, გინდ მკერდის კა-
ლოფი (**грудная коробка**) და თუ რო
დრე მოგწონთ, მაშინ შეიძლება ითქვას:
მკერდის ყაფაზის დრე, მკერდის დრე, მკე-
რდის სიდრეუ. მხოლოდ გუდი კი აქ არა-
ფერ უნდა.


17) გულის სიმეხა **мышечные тяжи**
сердца. ზოგან შეიძლება საჭიმლები ით-
ქვას, სჯობდეს.

18) გამწევი **Эластичный**. იქნება მოქ-
ნიდი სჯობდეს. ყველას კი ის სჯობს პი-
რდაპირ ითქვას ელასტიური. მთელი განა-
თლებული ევროპა და ამერიკა ამ სიტ-
ყვას ხმარობს, ჩვენ კი ვუკადრისობთ.

19) გამჭვირვადი **прозрачный**

20) გუგა **радужка, радужная обол-**
очка—ჰო, მაგრამ ბაია და გუგა მგონი
ერთი და იგივეა. ჩვენი მელექსიკონები

*) უბე ანუ ჭიანჭურია.



არ არჩევენ ერთმანერთში მაგალითად, ჩუბინაშვილი ასე სთარგმნის: **зрачекъ** — გუგა, შავი ზაფ თვალისა. ქართველებს კიდევ გვაქვს ერთი ტერმინი მაგ. თვალის ჩინი, იქნება ეს ტერმინი გამოდგეს. **зрѣніе**-სთვის შეიძლება თვალმხედველობა ვინმე სხვართ.

21) გრდემლი და უხანგი. **Наковальня и стремя**. კი, მაგრამ უხანგის მაგიერ შეიძლება ვინმე სიტყვა ავიყენო, რადგან უხანგი ცხოვრებაში ხმარებულია ხშირად.

22) ენის კლიტე. **Язычекъ**. უნდა იყოს საკლიტუდი, ანუ საკლიტე, რაიცა ნიშნავს სასის ჩამონაკიდარს (საბა) და არც თუ საჭიროა ენის მიმატება. ენას არავითარი კლიტე არა აქვს.

23) ენები (ხუფები) **заслонки, клипаны**. სჯობს ხუფები ანუ ზარფუშები, კეფანი (საბა).

24) ეშვები **Клыки**. იქნება სჯობდეს ღოჯი.

25) თავის ქალა — **Черепъ**. სიტყვა თავი მეტია, რადგან სხვა ქალა (და არა ქალა) არ არსებობს. ქალა თათრული სიტყვაა და ნუ თუ აჯობებს ვინმე სხვართული სიტყვა კენხსა *) ან არა და თავის კოლოფი.

26) თხემის ძვალი **Темьянная Кость**.

27) თირკმლები (ქაჭები) **Почки**.

28) ირისუჯად **Косо**.

29) კორძი **Бугоръ**. კორძი **Нарост-საც** ეტყვიან და **Мазоль-საც**. ანუ „ლითათა და საზარდულთა ჯირკვალი“ (საბა), მაგრამ ესენი იგულისხმების **бубонъ**.

30) კეფა **Затылокъ**.

31) კუდუსუნი **Копчикъ**.

32) კაკნატელა — **Хрящъ**.

33) კუთი **Мышца, Мускуль**. აგრეთვე ითქმის კუნთი.

34) კანი **Кожя**. უნდა ითქვას **ტყავი**, რადგან კანი სხვაგან ბევრგან არის სიქირო, მეტადრე ბოტანიკაში. **) საბა ამბობს: „კანი არის თხელი ტყავი“.

35) კუჭკუჭა ჯირკველი **Поджелудочная железа** — მარჯვე ტერმინია და მგონი რო პირველად იქვენ ხმარობთ.

36) კენკეცად **Послойно** აგრეთვე ითქმის შრე.

37) კოჭობი (ივ. გომართელი) **Желудочекъ**. ითქმის კოჭობი და არა კოჭობი. მაგრამ სჯობს ითქვას კოჭობა **Желудочекъ Сердца** ანუ დავარქვად კვანწია, რომელ არს მცირე კოჭობი (საბა). ***)

38) კბილის ტანი **Коронка зуба** იქნება სჯობდეს კბილის თავი.

39) კბილის ეელი **Шейка зуба** არც ასეთი ბრმა მორჩილება უნდა რუსულ ენისა. იქნება სჯობდეს კბილის ღერო.

40) კბილის ძირი ფესო. **Корень зуба** სჯობს ითქვას კბილის ფესვი. საზოგადოთ კბილის ტერმინები უნდა ინახოს კბილის ექიმის ივ. ახალშენოვის წიგნში, რომელიც მან გამოსცა და ხელთ კი არა მაქვს.

41) ჭავიწი (კიბ-კიბა) **Ключица**.

42) ღორწოანის გარსი. **слизистая оболочка**. უნდა ითქვას ღორწოანის აფსკა — თუ რო ჩემს წინადადებას მიიღებთ, ზემოდ რო მოგახსენეთ.

43) ღოკოკინის სოკკარ დახეუული მილი **Улитка**. უნდა ითქვას ღოკოკინს ანუ ღოკოკინებურ ხეუული მილი. ანუ საუკეთესოა ტერმინი **სოლიანარი**.

44) მკვრივი **Компактный**. ჯერ ერთი

) **Кожина, Кутикула.

***) იმედია ექ. ივ. გომართელიც ურადლებას მაქცევს ამ ჩემ წინადადებას თუ კი გვაქვს, გვქონია, მზა ტერმინი კვანწია რატომ არ უნდა ვისარგებლოთ.

*) ასე ხმარობენ კახეთში.



რო კომპაქტნი რუსული არ არის, თანაც ПЛОТНЫЙ უფრო შეეფერების მკვრივს.

45) შიშვები ПОЗВОНКИ.

46) მენჯი (გავა) тазъ. აქ ყველა არეულია: 1) პირველი რომ მენჯი არის БЕЗЪ ИМЯННАЯ КОСТЬ, 2) გავა არის ЗАДЪ У ЖИВОТНЫХЪ, ანუ Крестецъ, огузокъ. ხოლო სიტყვას тазъს უნდა სხვა რამ ტერმინი გამოუნახოთ მაგალითად მე მიმაჩნია საუკეთესო ტერმინად ჯაგანი. ეს სპარსული სიტყვა, ქართულში გამეფებული, ნიშნავს გარდაშლილს ტაშტს და სწორედ რომ შეეფერების გადაშლილს მენჯის ძვლებს.

47) მუხლის კვირისტავი Колѣнная чашечка

48) მჯის ძვალი Лучевая кость

49) მუწუკი Язва. ეს არ არის სწორე, რადგან მუწუკი რუსულად არის вередъ, чирей, прищикъ და სხვ. ხოლო Язва არის წყლული.

50) მხოტრავი Алопеція. სჯობს ითქვას მელოტი. თვით სიტყვა მხოტრავი პირველად გვესმის და არც ერთს ქართულ ლექსიკონში არც კი მოიპოვება, მაშასადამე რა გაჭირვება გვადგია ქართულს საუნჯეში შევიტანოთ რაგინდა-რა, ნაყარ-ნუყარი სიტყვები.

51) მსჭიკი Сычужокъ. აგრეთვე ითქმის ღვრიტა.

52) მარილის სიმყავე—СОЛЯНАЯ КИСЛОТА. მარილს, ჩემო ბატონო, არაფერი სიმყავე არა აქვს და ამის ასაცილებლად საუკეთესოა ითქვას მყავა წყაღბადხლორანსი ანუ სიმოკლისთვის მყავა მარილისა. ქართულს მწერლობაში თითქმის ყველანი ასე სწერენ Кислота მყავე და აქედან მყავე მარილისა, მყავე გოგირდისა და სხვ. მაგრამ ვისაც ჩემოდენად უზრომნია ქიმიურ ტერმინების ქართულად გადმოღება შემუშავებაში, მხოლოდ ის დამე-

თანხმება, რომ უნდა ითქვას: მყავა მარილისა, მყავა გოგირდისა, მყავა ძმრისა, მყავა მყაუნისა და სხვ აბა მითარგმნონ: Кислая виннокаліевая соль ანუ Кислая шавелевокаліевая соль ანუ Кислое сѣно; кисловое кали და სხვ.

53) მციმციმე გასი Мерцательная Эпителія. ჩემის აზრით ეს სიტყვა გასი აქ უადგილოა. აბა მაშ თარგმნეთ: Эпителій слизистой оболочкы? მეორეც ესა Эпителіи გასი კი არ არის ქსელი ქსელსა ქმნიან Эпителіальная ткань და მათ შორის იპოვება мерцательная (рѣсничная წამწამა) призматическая Эпителія-ც. მაშასადამე სჯობს ითქვას ციმციმა ანუ წამწამს ქსელი. თუ არა და რა საჭიროა თავის მტერევა, ამერიკა მეორეთ ხო არ უნდა აღმოვაჩინოთ. ეგ ბერძნული სიტყვა ეპიტელისა ჩვენც მივიღოთ, როგორც ყველა განათლებულს ერს მიუღია.

54) მრავალჭკვლიანი გასი Многосложный Эпители უნდა ითქვას: მრავლად რთული ეპიტელიები ანუ მრავალჭკველიანი გასი. საბა განმარტავს, რომ ჭკვლი არს მდინარის ჩ ციმციმებს, ჰო და მით უკეთესი. ჩვენც ეპიტელის ჭკვლი უწოდოთ თუ რომ უცხო სიტყვის შემოღება არა გვსურს.

55) მკვრივი Плотный, упругий უბრუგი და პლოტნი განა ერთი და იგივეა? Упругий ქართულად უდრეკია, ხოლო Плотный მკვრივი.

56) მყავაზი Кислородъ.

57) მგრძნობელობის ნერვი Чувствительный нервъ. უნდა იყოს მგრძნობელი ანუ როგორც საბა ამბობს მგრძნობიარე ნერვი. მაინც და მაინც დიდი განსხვავება არ არსებობს თუ გინდ აგრევე დარჩეს მგრძნობელობის ნერვი.

58) მოძრაობის ნერვი Двигательный нервъ.

59) მინის მსგავსი. СТЕКЛОВИДНОЕ ТЪЛО. აგრეთვე შეიძლება ითქვას: მინის მგავანი, მინისებური.

60) Шоры. ნასვრეტი არ არის ქართული სიტყვა. ნასვრეტების მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ: კანის ცხრილი, ფორა, ჩასი და სხვ.

61) ნაჭკები Складки

62) ნაწლევები Кишки

63) ნაღველი Жел.тъ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ნაღველი არის ღარდი печ.лъ ხოლო ნაღველა желч.тъ.

64) ნახშირის სიმჟავე углекислота უნდა ითქვას ნახშირმჟავა გაზი, ვინაიდან ნახშირის არავითარი სიმჟავე არა აქვს.

65) ნაზრავი разсѣлина, борозда, აქაც არკულობა: რაზსელინა და ბოროზდა ერთი და იგივე არ არის. ნაზრავი დეე იყოს разсѣлина ხოლო Борозда-ს ეთქმის ღრვაში.

66) ხახვარ სიფერფანი полушаріе

67) ნეკნები გვერდის წკნელები, წიბოები. Ребра.

აქ უნდა შევნიშნო, რომ ქართველებს გაცილებით უკეთესი ტერმინები გვაქვს. ჯერ ეგ რაღაც წკნელება სანაგვეში გადავადლოთ, ხოლო Ребра-ს მე გითარგმნით:

1) Истинныя ребра-ს რუსები რო ეძახიან, ქართულად ჰქვიან წიბოები. ესენი არიან შვიდი წყვილი, რომელნიც ხრტილით უერთდებიან მკერდის ძვალს (გულის ფიცარს). 2) ამათ ქვეითებს რუსები ეძახიან ложныя ребра, რომელთა რიცხვი არის ხუთი წყვილი. ესენი თავებით (ბოლოებით) მუცლის ანუ ერთმანერთთან არიან ხრტილით შეხორცებული. ამათ ქართულად ჰქვიან ნეკნები. *) მაშა-

*) უკანასკნელი ორი წვედი ნეკნების ხრტილიანი თავები თავისუფლად აწეკანს მუცლის ანუ ერთმანერთთან არ უერთდებიან).

საღამე ჩვენს წინაპრებს უკეთესად ანატომია. დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანის სხეულის ყველა ორგანოს უეჭველად ექნებოდა თავისი ქართული სახელი (გარდა იმ სახელებისა, რომელნიც შემდეგში მიკროსკოპმა აღმოაჩინა) და უფრო უკეთესიც, ვიდრე ეხლა ჩვენ შეგვიძლიან შევქმნათ. მაგრამ დღეს აბა ვინ იკისრებს დახავსებულ კარაბადინების ქექას და ძიებას.

მახსოვს ერთხელ დოქტორმა მიხეილ გედევანიშვილმა მოიხალისა და ჩვენ ერთად გვინდოდა დღეში ერთი საათი დრო შეგვეწირა და რაც წ. კ. საზოგადოების წიგნთ საცავში ქართული კარაბადინია, უნდა წავგვეკითხა და ღირს შესანიშნავი ადგილები ამოგვეწერა, მაგრამ სურვილი სურვილადვე დარჩა.

68) ორუბოვანი двуполостный двуслойный. ამის გამოსათქმელად ბევრი სიტყვები გვაქვს. ეგ იმაზეა დამოკიდებული სად და რა აზრით ეხმარება ეს რუსული სიტყვები.

69) ზარკი Сумка, Слезное озеро. სჯობს ითქვას ჩახვი, ანუ ცრემლია, ცრემლია ჩახვი.

70) რქის გასი роговица роговая оболочка. ეს ვერ არის ზედ გამოკრილი ტერმინი. უნდა სხვა მოენახოს. მაგალითად იქნება გამოდგეს თვალის მკარი აფსკა? რქა და თუ გინდ რქისებრივე ქართულ ენას არ ეხამუშება.

71) საფეთქლის ძვალი. Высочная Кость

72) სიფრთფინა тонкая очень. აი ეს სიცრიფინაც შეიძლება გამოდგეს გასის მაგივრად.

73) სადა гладкий. ეს იმაზეა დამოკიდებული სად და რა უნდა ითქვას.

74) სატკბური Мокнущая Экзема. ეს მშვენიერი ტერმინი გვაქვს. თუმცა ელქუმი უფრო ხშირ ხმარებაშია.



75) სისხვილი, Лишай. ზოგან სისხვილი სწერია კარაბადინში. რუსულად კი უნდა მივხატოს Сухой ე. ი. Сухой Лишай.

76) სისხვილი Нёбо. ეს არის ენის ზედათა ხახა (საბა).

77) საუფაჰავი მიდი. Глотка.

78) სიდრუე Полость. ზოგან ფუჟე სჯობს, ზოგან არე—მაგალ. მუცლის არე, მკერდის არე (брюшная полость груд пол.)

79) საშვილოსნო Матка

80) სისხლის მიმოქცევის მოკლე შარს Малый кругъ кровообращенія

81) სისხლ. მიმოქცევის გრძელი შარს Большой круг. кровообращ. ეს ორივე ტერმინი თქვენ, ავტორს გეკუთვნით და ამაზედ უკეთესად გამოთქმა აღარ შეიძლება.

82) სფრსლები (გომართელი) Шарикн.

83) სისხლის წითელი სორსლები Красныя кровяныя шарики.

84) სისხლის უფერო სფრსლები (თეთრი) Бѣлыя кровяныя шарики. ჩემის აზრით სიტყვა უფერო აქ მეტია: დეე, ითქვას თეთრი.

85) ტაბუხი. головка бедрен. кости ამას ჩვენ ვეძახით ტაბუხის თავს, ხოლო თვით ბედრო არის თქვა.

86) ტურფი Стопа.

87) ტუინა, ეჟენტა Селезенка, აქ სჯობს ტუინა სატკივრის სახელად დაუსტოოთ საკუთრად (заваль, ხოლო Селезенка არის ეჟენტა.

88) ფხვიერა губчатый ძალიან უხერხული ტერმინია. ჯერ ერთი რო გუბჩათყმ სულაც არ არის ფხვიერი. ეს სიტყვა ფხვიერი თქვენ დაგვირდათ ძვლების ბუნების ასახსნელად. ძვალი რო გულში ფხვიერი იყოს, მაშინ შენი მტერი! პირველ წელიწადშივე დაიფხვნებოდა, დაიფხვნიტოდა. უნდა გეთქვათ: გარკადს ძვა-

დი მკვრივია, გული კი ხსხუტი აქვს. გვაქვს კიდევ სიტყვები: ალქატი, ხსხუტი მქადა (მქადა ქვა пористый камень), მხატე და სხვა. ამათში საუკეთესო ტერმინია (ძვლებისათვის) ხსხუტი. ხოლო ფხვიერი არასგზით არ შეიძლება.

89) ფილტვების კუნჭულები - Доли легких. აქ ყველაფერი არეულათაა: კუნჭული არის კუთხე-уголь, ხოლო სიტყვა доля არის ნაწილი, წილი. კერძი, არშივი (საჭმლის კერძი), ნაწევარი (სახსართ შედგმულობა (საბა). მე ასე ვიტყვოდი: თვითვეული ფილტვი დაღარულ დაყოფილია ნაწევარებად. მარჯვენა ფილტვი სამათ არის შემოხსული, სამი ნაწევარი აქვს, ხოლო მარცხენა ფილტვს ორი ნაწევარი აქვს.

90) ფაფთუშა (ბადეკონი) Сальникъ. ამას ჰქვია პირდაპირ შუცდის ფარი.

91) ქიმი отростокъ. შეიძლება შესაფერი სხვა ტერმინიც მოინახოს.

92) ქაჩალი კოლტუნი. არსად მთელს საქართველოში კოლტუნი (Plica polonica) არ არსებობს. და ამიტომ არც სახელი გვაქვს. ქაჩალი არის плѣшивый, მელოტი лысый, ქეციანი паршивый და სხვ. ხოლო თმის ავადმყოფობა (თავის კანისა) კოლტუნი, მხოლოდ რუსეთშია რამდენსამე გუბერნიაში. ქაჩალს თმა აქვს გაცივებული და კოლტუნს პირ იქით თავზე ადევს ნაბადივით მოთელილი თმა, რომელსაც ცრუმორწმუნოების გამო მთელი თავის სიცოცხლე არ იკრეკავს და თავის ქერქიდან გამონაჟონ წალაში ითელება და ითელება.

93) ქუთუთა Вѣко.

94) ღვიძლი печень.

95) ღრუ ვენა полая вена. ეს თქვენ გამოგონილი ტერმინია, იქნება სჯობდეს ფუჟე ვენა?

96) ვიფედი ბლანდი — длинный шовъ,

ბლიანდი ჰო, მაგრამ, ყიფლი რა სიტყვაა, ვერსად ლექსიკონებშია ც ვერ ვპოვე. განა არ შეიძლება ასე ვსთარგმნოთ: ДЛИННЫЙ ШОВЪ—გრძლად ნაკერავი, გრძელი ნაკერავი.

97) ებება Челюсти

98) ეია Дыхательное горло. თუმცა ასეა, მაგრამ მე მგონი სჯობდეს შეცვალოთ: ეია დავარქვათ Кадыкъ-ს (ყაყრა-ნტო), ხოლო Дыхательное горло-ს სასუნთქი მილი და Бронх-ებს დავარქვათ სასუფე. თუმცა Bronchi შეიძლება ქართულადაც ბრანხი შემოვიღოთ, რადგან ამ ლათინურ სიტყვას ყველა განათლებული ერი ხმარობს.

99) ევითელი ტაღი. Желтое пятно. უთუოთ კორრექტურული შეცდომაა. ტაღი არის Кремень და არა пятно უთუოთ გინდოდან გეთქვათ ყვითელი ხაღი.

100) ეურის ხაკა Барабанная перепонка. ღრიგო არ იქნება ღრაჭი დავარქვათ ამ „პერებონკას“.

101) შუბლის ძვალი Лобная кость.

102) შემკურთხეული კანი. Соединительная ткань—ყველამ კარგად ვიცით, რომ „ტკანი“ არ არის კანი. უნდა ითქვას შემკურთხეული ქსელი, რომელიც თავის მხრივ ქმნის ებიტელია ქსელს, ხრტილის ქსელს, ძვლის ქსელს. არიან აგრეთვე მხატე ქსელი, ნართებრივი (ფიბროზი) ქსელი, ბადებრივი (რეტიკულიარი) ქსელი. ესენი სულ ნამდვილ შემკურთხეულ ქსელისაგან წარმოსდგებიან. კიდევ არის კუნთების ქსელი, ნერვების ქსელი და სხ.

103) ჩონჩხი Скелеть

104) ჩაქუჩი Молоточекъ. იქნება სჯობდეს: ჩაქუჩა, ჩაქუჩინა, ჩაქუჩელა?

105) ცხავის მსკავსი ძვალი Ръшетчатая кость. იქნება სჯობდეს ცხავა ძვალი.

106) ცქინტი отростокъ. არ ვიცი

ცქინტს სად ხმარობენ. იქნება სჯობდეს ჯდა, ჩქა, ჩხა? სადაც რა შეეფერება. საზოგადოთ იშვიათ შემთხვევაში მხოლოდ შეიძლება მივმართოთ პროვინციის კუნძულებს.

107) ცხვეელ შეფუქლობა Жизнедеятельность.

108) ცხრა ზატარძალი 12 перстная кишка. თუ მართლა ხალხი ხმარობს ამ სიტყვას, მაშინ სჯობს ითქვას ცხრა ზატარძალი. ან არა და რა უჭირს ტერმინს: თორმეტ თითა ნაწლევი.

109) ცრუფეხები Ложноножки. იქნება სჯობდეს. სუდფეხები, ამოფეხები, ტყუილა ფეხები.

110) ცრუმძივი Ложный позвонок უნდა ითქვას ამომძივი.

111) ძუძუთა კბილები. Молочные зубы. მგონი რო სჯობდეს ძუძუკბილები.

112) წროფი Слизь, серозная жидкость. წროფი მშვენიერი ტერმინია Серозная жидкость-ის დამახასიათებელი. ხოლო слизь არის ღორწო. ერთს მეორეში ნულა აურევთ დომხალივით.

113) წენი поясница, თუ სადმე სიტყვა წენი იხმარება ხალხში, ეგ ხალასი პროვინციალიზმია, ხოლო поясница არის წელი—მაგალ. წელის ტკივილი боль поясницы და სხვ. თუ გნებავთ კიდევ არის ერთი მივიწყებული ტერმინი სიბა, რომელიც ნიშნავს წელს.

114) წერთის ძვალი Локтевая кость ამას იდაყვის ძვალი ჰქვია. წერთა არის ზომა იდაყვიდან შუა თითის წვერამდე.

115) წინგული. предсердие იქნება ივარგოს გულის დერეფანი. ხელთ არა მაქვს ლექსიკონი auriculae ვსთარგმნო.

116) წინაკბილები. рѣсцы.

117) ხრტილი хрящъ. არსებობს აგრეთვე ტერმინი კახანტელა და აგრეთვე ღრაჭი—ძვალთა და რბილთა საშუალი (საბა).



118) ხელის ჩაჩხი. КИСТЬ РУКИ ამ ტერმინმა ძირეულ მასიამოვნა. თორემ აბა რასა ჰგავს ხელის მტკვანი? აი ასე უხეშად არის ნათარგმნი წიგნი პოლბერისა პ. სურგულაძის მიერ და გამომცემული წერა კითხვის საზოგადოებისა.

119) ხმელი ძარღვი Сухожилые შეიძლება ითქვას აგრეთვე ხმელძარღვობა.

120) ხა, С-сочки. უნდა ითქვას: წუწნის, წუწნები.

121) ხახხ (ხორხი) Дыхательное горло. სასუნთქი აპპარატი ადამიანისა: а) — гортань (larynx) ხორხი; მხოლოდ სჯობს ითქვას ხახხ в) дыхательное горло (trachea) ყანყრატო, სსუნთქი მილი. с) бронхы (Bronchi) სასულე ანუ ბრახხები სასუნთქ მილი (ყანყრატოს) ტოტები. а) легкое — ფილტვი. ასეა თუ ისე ხახხ და თუ გინდ ხორხი ან ვიოარ შემთხვევაში дыхательное горло თ არ შეიწყნარებს, მეტადრე ხორხი სულ თავს არ მოდის ხორხი არის харкотина.

122) ხრტულები бороzды, извилины. უნდა ითქვას დვლარჭნიდი — არს სიჭრულდე მიგრეხილ მოგრეხილი (საბა). ხოლო როგორც ზევით ვსთქვით бороzды არის დრამი ანუ დრანტი და თუ გინდ ხაზი, ზოლი. და თუ извилины შეიძლება ითქვას მიხვეულ-მოხვეული დაკლანჯული ანუ როგორც საბა ამბობს დვლარჭნიდი. ხრტული კი სრულებით არ ვიცით რა სიტყვაა.

123) ჯირკვლები. Железы.

124) ჭურჭლის გარსი, Сосудистая оболоча. თუმცა საბა გვაძლევს საბუთს ამ ტერმინს დავარქვათ ლანჯანა აფსკა, მაგრამ ყველასა სჯობს ჭიჭლა და აქედან კიკლიანი ანუ ჭიჭლა აფსკა. Кровенос-

ные сосуды სისხლის მატარებელი ჭიჭლები.

გარდა ამისა ლექსიკონებში ჩხრეკა ძიების დროს, სხვათა შორის ვპოე შემდეგი საჭირო ტერმინები. 1) შავი ნალველი ипохондрия, 2) ყიტანაწლვეი (უკანა დიდი ნაწლვეი) заднепроходная кишка 3) ღვიძლის ყური перепонка печени. 4) ღვიძლის კენჭი Камушки в печени. თუ მომთხოვთ შეძლების და გვარად სხვა ტერმინებსაც მოგაწვდით, ოღონდ ბუნებას მეტყველებიდან მომთხოვთ რა დარგიც გინდა იყოს. *)

ვიმეორებ, რო მე არც თოფის წამალი მომიგონია და არც ამერიკა აღმომიჩინია. მხოლოდ მეხალისება და ოცი წელიწადი მეტია კვლევა-ძიებაში ვარ — წაკითხული, გაგონილი ყოველივე ნაჩხრეკი და ჩაწერილი მაქვს. „მამალმა სთქვა მე კი მიყვილია და გინდ გათენდეს და გინდ არაო“ ჰო და მე წინადადება შემომამქვს და ახლა გინდ მიიღეთ და გინდ არა — საკამათო და სადაო არა მაქვს-რა. მხოლოდ ღმერთი გადღევრძელებდეთ, ბატონებო, როცა ქართულში მოიძებნება სათანადო ტერმინი, გეხვეწებით უცხო ენიდან ნულა შემოვაქვთ. ნუ რყვნით ქართულს. ამის მაგალითი კი ბევრი მაქვს ჩაწერილი.

ილ. ალხაზიშვილი.

*) სიამოვნებით დაგებუქდავთ ტერმინებს მეტნიკეების ყოველ დარგიდან მტადნე პირთაგან მოწოდებულს. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. გ. ბოცვაძე.

სნობეპი

კ. უ. წერა-პითხვის გამავრცელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

მღუსენება

ფოთის განყოფილების შესახებ

ფოთის განყოფილება და ამ განყოფილების საქმეები დავათვალიერე 1012 წლის მაისის 22-ს. განყოფილება გაიხსნა 1912 წლის აპრილის 1. დასაწყისში განყოფილებას ჰყავდა 37 წევრი. 1910 წელს ჰყოლიათ სულ 72 წევრი, 1911 წელს კი საწევრო ფული გადაუხდია მხოლოდ 28 წევრს, ამ სახით წევრთა რიცხვი თვალსაჩინოდ შემცირებულა.

განყოფილების გამგეობას მოუნდომებია წიგნების სავაჭრო კიოსკის აგება, ამისათვის გეგმაც და ხარჯთაღრიცხვაც შეუდგენიათ, დაახლოვებით 574 მან., ბოლოს ესეც გადაუფიქრიათ, სხვა რისამე გაკეთება მოუნდომებიათ, მაგრამ ყველა ფიქრი განუხორციელებელი დარჩენილა.

გამგეობას უკისრნია მოზრდილთათვის მოეწყო ფოთში საღამოს კურსები, ამ კურსებზე უნდა ესწავლებინათ: ქართული, რუსული, არითმეტიკა და საქართველოს მოკლე გეოგრაფია და ისტორია. ამ მიზნის განსახორციელებლად 1910 წ. ნოემბრის 17-ს მიუმართათ დირექციისათვის ნებართვის შესახებ. პასუხად დირექტორი სემიონოვი სწერს განყოფილებას: 1910 წ. 20 ნოემბერი № 6860; მოსთხოვს საზოგადოების წესდებს და აგრეთვე საზოგადოების სკოლების პროგრამას და ეკითხება აგრეთვე შეატყობინოს ვის მიერ და როდის არის დამტკიცებული ფოთის განყოფილება. ამაზე ფოთის განყოფილება ატყობინებს დირექტორს, რომ განყოფილება გახსნილია წესდების § 25 მიხედვით და ამასთან უგზავნის დირექტორს საზოგადოების წესდებს და განყოფილებათა ორგანიზაციის ინსტრუქციას. როგორც მიწერ-მოწერიდანა სჩანს — დირექტორი შეჰკითხებია სასწავლო ოლქის მზრუნველს და ეს უკანასკნელიც 1911 წლის 24 იანვარს № 2045 ატყობინებს დირექტორს, რომ



ამ ტიპის სასწავლებლის გახსნის ნებართვა არ შეიძლება მიეცესო „Можно раз-
рѣшить открытіе курсовъ для взрослыхъ по правиламъ 20 марта 1907 г.
(См. сбор. распор. т. XII стр. 280). მზრუნველის აზრს დირექტორი ატყო-
ბინებს განყოფილებას. ფოთის განყოფილება სთხოვს დირექციას ნება დართოს
გახსნას ფოთში — კურსები მოზრდილთათვის („Открытіе курсовъ для взрос-
лыхъ“). ამაზე სახალხო სკოლების დირექტორი აცნობებს ფოთის განყოფილების
გამგეობას წესდებას მოზრდილთა კურსების შესახებ და სვათა შორის სწერს:
- за ящр. 1907 г. № 7693 распоряженіе м. н. пр. преподаваждаю при семь,
утвержденны мин. правила объ урокахъ и курсахъ для взрослыхъ, вза-
мѣнъ правилъ 22 авг. 1902 г. и прошу приводить въ исполненіе.

Веденіе помянутыхъ курсовъ должно быть поручено лицамъ благо-
надетнымъ по усмотрѣнію мѣстной администраціи и самыя курсы могутъ
быть открываемы въ мѣстностяхъ, гдѣ наблюденіе за ними предоставля-
ется нынѣ обезпеченнымъ М. Н. Пр. Фонъ-Каутманъ 20 марта 1906 г.
правила объ урокахъ и курсахъ для взрослыхъ. ამ ცნობებს აწვდის დირექ-
ტორი ფოთის განყოფილებას და თან სთხოვს გაუგზავნოს „учебный планъ, прог-
рамму въ 2 экз. и планъ зданія, въ которомъ будетъ открыта школа
и за тѣмъ буду возбуждать ходатайство“ № 2640. Директоръ Семе-
новъ. ამის შემდეგ განყოფილების გამგეობა სთხოვს ალექსიშვილს არითმეტიკის
პროგრამის შედგენას, ვლ. გაგუას რუსული ენისას, მღვდელს ლ. წულაძეს ქარ-
თული ენისას და ზრუნავს საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებ-
ლის შოვნაზე. მაგრამ აქ დაისმება წერტილი და ამ წერტილზე იყენება საკითხი
კურსების მოწყობის შესახებ.

1911 წლის 14 ენკენისთვის ფოთის განყოფილების გამგეობაში აღიძვრება
საკითხი წიგნის მაღაზიის გახსნის შესახებ. ეს საკითხი მწვავე კამათს იწვევს გამ-
გეობაში, ზოგი ამტკიცებს, რომ წიგნის მაღაზიის გახსნა საშიშოა და სამძიმო
გამგეობისათვის. ზოგს კი სასურველად მიაჩნია, ხმის უმეტესობით გამგეობაში
გადაწყდება მაღაზიისათვის შენობის აგება სივრძით 9 არშ. სივრცით 7 არჩინი. სიმ-
მალლით 6 არშინი და არჩეული იქმნა ამშენებელი კომისიაც. გამგეობის წევრი
იაგულოვი თავს ანებებს გამგეობის წევრობას, რადგანაც იგი წინააღმდეგია წიგ-
ნის მაღაზიის გახსნისა ფოთში.

1912 წელს განყოფილების გამგეობა უწერს სკოლებს თავისის ხარჯით საყ-
მაწვილო ჟურნალს, ამას გარდა ღარიბ მოწაფეებს დაეხმარებიან 90 მან. საღირალო
სასწავლო ნივთებით.

1910 წ. განყოფილების გამგეობას შემოსავალი ჰქონია 219 მ. და საწევრო
167 მ. 23 კ. სულ 386 მ. 23 კ. აქედან დაუხარჯავთ 44 მ. 15 კ, 1911 წლის
1 იანვარს დარჩენიათ 342 მან. 08 კაპ.

1911 წლის შემოსავალი ყოფილა 302 მ. 20 კ. ხარჯი 102 მ. სხვ. (ამაში
ურევია 68 მ. 32 კ. 20⁰/₁₀₀ გამოგზავნილი მთავარ გამგეობაში). 1912 წ. იანვრის 1-ს
დარჩა კასაში 542 მან. 12 კ. ამ ანგარიშს ამტკიცებს საზოგადო კრება, შემდგა-

რი 1912 ს. 14 აპრილს. ამ კრებას ესწრება 22 წევრი, სულ ითვლება 1912 წ. წევრად 37. გამგეობაშია 9 წევრია: თავმჯდომარე იონა მეუნარგია, მისი ამხანაგი ა. ვ. მიქაბერიძისა, ხაზინადარი ა. ჟვანია, მისი ამხანაგი ი. კობრეიძე, მდივანი კ. გამყრელიძე, წევრები გამგეობისა: ლ. წულაძე, ვ. ვაგუა, ი. ალექსიშვილი, და იაგოლოვი, რომელმაც თავი დაანება გამგეობის წევრობას. ამავე კრებაზე აურჩევით კიდევ სამი წევრი გამგეობისა მ. გვალია, ნ. კვინიხიძე და გ. საბახტარაშვილი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულნი არიან კ. გიგინეიშვილი, ა. ქავთარაძე და კ. კოკაია. საზოგადო კრებას ხმის უმეტესობით დაუდგენია იშუამდგომლონ მთავარ გამგეობის წინაშე, რომ საწევრო ფული შემცირებული იქმნას 2 მანეთამდე. ამავე კრებაზე მიღებული იქმნა ორი წევრი საზოგადოებისა. წიგნის მალაზის გახსნის საკითხი გამგეობას გადააქვს საზოგადო კრებაში. ეს საკითხი აქაც დიდს კამათს იწვევს, ბოლოს გამოაქვთ შემდეგი დადგენილება:

„აიგოს აგურის შენობა ელექტრო-თეატრისათვის. დაევალოს გამგეობას გამოიანგარიშოს, რას მოგვცემს წელიწადში ამნაირია შენობა ე. ი. შენობა, რომელიც დააკმაყოფილებს ფოთის მოთხოვნილებას თეატრისა და ილიუზიონის შესახებ და ამ შემოსავლის თანახმად ივარაუდოს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ვალი თავის სარგებლით (6,75%) თუ რამდენს ვალს აიტანს თეატრი და ილიუზიონი თავის შემოსავლით. ამ ვალის გათვალისწინებით შეადგინოს გამგეობამ პლანი და ხარჯთ-აღრიცხვა და რაც შეიძლება მალე მოახსენოს საზოგადო კრება“.

თვითონ საქმის წარმოება განყოფილებაში თხოულობს მოწესრიგებას. სარევიზიო კომისია მხოლოდ უკანასკნელ საზოგადო კრებაზე აურჩევიათ. შედგენილია ერთი საქმე, რომელშიაც ჩაკერებულია ყოველგვარი ქაღალდები — მიწერ-მოწერა, ხარჯის გასამართლებელი საბუთები და სხ.

საზოგადოთ ფოთის განყოფილებას უსაქმურობა არ ეტყობა; შეძლების და გვარად ცდილობენ საქმე გააკეთონ, რისთვისაც საჭიროა ზოგჯერ ერთმანეთის დათმობა და ხელის შეწყობა იმ საქმეში, რასაც უმრავლესობა გადაწყვეტს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ფოთის განყოფილება მეტს უნარს გამოიჩენს საზოგადო საქმეში.


20, VI 1912 წ.

გამგეობის წევრი ლ. ბოცვაძე.

მღუსენება

სამტრედიის განყოფილების სავაჭრო კიოსკისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესახებ.

სამტრედიის განყოფილება მაისის 25-ში დავათვალიერე. გამგეობის თავმჯდომარეა ექიმი სოლომონ წერეთელი, მისი ამხანაგი ბარნაბა სურგულაძე, წევრები გიორგი სიხარულიძე (იგივე ხაზინადარი), რაჟდენ ნანეიშვილი, დავით კვანტა-



ლიანი, გიორგი დუნდუა, (მის ადგილზე კანდიდატია ვლადიმერ ნაცვალაძე), გრიგოლ ურუშაძე (მდივანი), ამის მაგიერ დროებით მდივნად მოწვეულია ვლადიმერ ნაცვალაძე.

1912 წელს 1 იანვარს დამფუძნებელი წევრი განყოფილებისა იყო 16, ნამდვილ წევრებად მიღებული იქმნა 29, სულ ამ ჟამად სამტრედიის განყოფილებას ჰყავს 45 წევრი.

1912 წლის 1 იანვარს გამგეობას ვალი ჰქონდა 15 მ. 78 კ. იანვრიდან შემოსვლია 124 მან. 72 კ. ხარჯი 104 მ. 46 კ. რევიზიის დროს კასაში იყო 4 მ. 48 კ. შემოსავალი იყო საწევრო 42 მ. განყოფილების გახსნამდის გამართულ სეირნობის წმინდა შემოსავალი, რომელიც მაზრის უფროს ჰქონდა დაუბრუნებიათ—52 მ. 30 კ. წარმოდგენებიდან შემოსვლიათ 29 მან. 50 კ. საკომისიო წიგნებიდან 92 კ. დაუხარჯავთ: წარმოდგენებზე—30 მ. კიოსკის საკანცელარო ნივთებში 29 მ. 50 კ., გვირგვინი მიცვალეზულზე 20 მან. 80 კ. მარკები და განცხადებების დაბეჭდვაში 6 მ. 34 კ. წვრილმანი 2 მან. 04 კ.

გამგეობას იანვრიდან ჰქონია 16 სხდომა, წევრები გამგეობისა სხდომებს იშვიათად ესწრებიან. დადგენილებებს ხელს აწერს მარტო თავმჯდომარე. საქმის წარმოება განყოფილების გამგეობაში მეტის-მეტად არეულია და უწესრიგო: არსად სჩანს მიწერ-მოწერისა და შემოსავალ-გასავლის ქაღალდები. არც დავთრები და საჭირო საკვიტანციო წიგნები აქვსთ. ოქმების უმრავლესობის შინაარსი გამგეობის წევრთა შორის ატეხილს პირად უსიამოვნებას ენება. აქამც აუცილებლად საჭიროა საქმის წარმოების მოწესრიგება, ყველა საჭირო დავთრების შემოღება და მეტი საქმიანობა.

სამტრედიის ბიბლიოთეკა-სამკითხველო საერთოდ რიგიანად არის მოწყობილი. ბიბლიოთეკაში 775 ქართული წიგნია და 146 რუსული, სულ 921. ორთა შუა რიცხვით სამკითხველოში 15—15 მკითხველია ყოველ დღეს. 1911 წ. სამკითხველოდან გაუტანიათ 1764 წიგნი; მკითხველები უფრო ეტანებიან ბელეტრისტიკულს ნაწარმოებს, საყმაწვილოს და ისტორიას. ბიბლიოთეკას უფრო მოწაფეები და მუშები ეტანებიან. სამკითხველოს მოსდის შემდეგი გამოცემები 1) „ბათუმის გაზეთი“, 2) „სახალხო გაზეთი“, 3) „კოლხიდა“, 4) მოსდიოდა „ცხოვრება“, 5) მისდის „განათლება“, 6) „კოოპერაცია“, 7) „მოსავალი“, 8) „Рѣчь“, 9) „Зак. рѣчь“, 10) „Батумская правда“, 11) Журналъ „Недѣля“, 12) „Современны мiръ“ და „Нива“. წიგნები ყველა ყდაშია დაკაზმული.

სამტრედიის განყოფილებამ წელს მოაწყო წიგნებით ვაჭრობაც. ამისათვის შუაგულ ბაზარში გაუმართავთ კიოსკი სავაჭრო სახელმძღვანელო წიგნებისა და საკანცელარო ნივთებისა. წიგნები და სასწავლო ნივთები ზოგი საკომისიოდ მისდით და ზოგსაც ნაღდ ფულზე ყიდულობენ; ვალსაც თავის დროზედ იხდიან. ჯერ-ჯერობით წიგნებით ვაჭრობას განყოფილების კიოსკში ბევრი მუშტარი არა ჰყავს, მაგრამ საქმეს მაინც ისე ოსტატურად ახერხებენ, რომ ყოველ ხარჯს გარდა, დღეს დღეობით 15 მანეთამდის წმინდა მოგება რჩება თვითურად. შემდეგში, როცა ახლო-მახლო სოფლის მასწავლებლები შეიგნებენ, რომ საჭიროა მხარი და-

უჭირონ განყოფილების წიგნების ვაჭრობას, მუშტარიც, უეჭველია, იმატებს და შემოსავალიც. დღევანდელი პირობებიც ცხადს ნიშანს იძლევა, რომ წიგნების ვაჭრობის საქმე სამტრედიის კარგად წავა. გამგეობის წევრთაგან ამ წიგნებით ვაჭრობის თვალ-ყურის მგდებელია გიორგი სინარულიძე, რომელსაც საქმე წესიერად აქვს დაყენებული და კარგს ხელმძღვანელობას უწევს კიოსკის გამგეს.

საერთოდ სრული იმედია, რომ სამტრედიის განყოფილების საქმეები კარგად წავა, თუ კი გამგეობის ეხლანდელ წევრთა შორის პირადი უსიამოვნება მოისპობა და ყველა წევრთაგანი ერთის საზოგადო აზრით და მიზნით განიმსჭვალება; პირად კინკლაობას მოსპობენ და შეერთებულის ძალიანით გაუძღვებიან საზოგადო საქმეს.

გამგეობის წევრი ლ. ბოცვაძე.

21/VI 1912 წ.

მღუსენება

სახუმის სკოლის რევიზიის შესახებ

სახუმის სკოლა დავათვალიერე 1912 წლის მაისის 23-ს. სახუმის სკოლა გაიხსნა 1910 წლის სექტემბრის 8-ს. 1911—1912 სასწავლო წელს სკოლაში სწავლობდა 92 მოწაფე. 1 განყოფილებაში სწავლობდა 56 მოწაფე (26 ქადა და 30 ვაჟი), მეორეში 36 მოწაფე (18 ქადა და 18 ვაჟი). სკოლაში ორი განყოფილებაა. პირველ განყოფილებაში ასწავლის ნოე ქერიძე, რომელიც მოწვეული იქნა გასული სამოსწავლო წლის დასწყისში. წინად მასწავლებლად ყოფილა სამეგრელოში, ცაიშის სემინისტრო სკოლაში. იგივე ასწავლის ხატვა-ხაზვას მეორე განყოფილებაში. სკოლის გამგე არის ნიკო ჭანაშია, რომელიც ასწავლის უკუა საგნებს მეორე განყოფილებაში ვარდა ხატვა-ხაზვისა და გალობისა. გალობას და სამღერას ორსავე განყოფილებაში ასწავლის ნოე ივნიძე ურუშაძე, ლიტბარი ქართული გუნდისა სახუმში.

მოწაფეების სწავლაში საკმარის წარმატებებიან სჩანს, რომ რამდენადაც შესაძლებელი ყოფილა მასწავლებლებს ბეჭითად უმუშავნიათ წლის განმავლობაში. გამცნდის დროს უფრო კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს მეორე განყოფილების მოწაფეებმა, რომელთაც გაუკლათ მთელი მასალა „დედა ენის“ მეორე ნაწილისა, შეუძენიათ საკმარისი ცოდნა და განკითარება. 1 განყოფილებაში ქართული ენიდან შეუსწავლიათ „დედა-ენის“ მეორე ნაწილის 50 გვერდამდის. სასწავლო მეთხრობების შინაარსის გადმოცემა მოწაფეებს საკმარისად ვერ ეხერხებათ, ლექსები იცინ, მხოლოდ საერთო კითხვის დროს მეტად ატეხილებენ სიტყვებს, რაც უძღის სწორ გამომეტყველების განკითარებას. სადგომო სჯულში წარმატება მოწაფეებისა ორსავე განყოფილებაში საკმარისია. არითმეტიკის სწავლება კარ-



გად არის დაუენებელი მეორე განყოფილებაში, სწრაფს ანგარიშს, ნაწევრებს და ტიპიურ ამოცანებს კარგად იგნებენ. ხატვა-ხაზვის სწავლება სკოლაში სუსტად სწარმოებს, რადგან თვითონ მასწავლებელსაც არ ეხერხება ამ საგნის სწავლება. გადობა სიმღერის სწავლება კარგად არის დაუენებელი, ქართული საერო სიმღერები მოწაფეებს ბლომად შეუსწავლიათ და შვეობრადც მღერაან 1 განყოფილებაში ერთხმაზე, მეორეში კი ორ ხმაზე. მაისის 22-ს მოუხდენიათ მოწაფეების გამოცდა ეკლასა საგნებში ადგილობრივი განყოფილების გაიგებობის წვერთა დაწერებით. გამოცდას კარგად ჩაუვლია და დამსწრენიც გამყოფილიან დარჩენილიან მოწაფეების წარმატებისა. მეორე განყოფილების მოწაფეებს დავაწერინე თავიანთი შთაბეჭდილების გადმოცემა ამ გამოცდაის დროს. ამ ნაწერებში უფრო ერთფეროვნება სჩანს, სასურველია ხშირად ვარჯიშობა მოწაფეებისა საკუთარი შთაბეჭდილების, ხახულისა და გაცხილის გადმოცემაში სწორის ქართულით, როგორც სიტყვიერად, ისე წერითაც. რუსული ენის სწავლება წესიერად სწარმოებს და მოწაფეებსაც საკმარისი ცოდნა აქვს. ზოგიერთი მოწაფეების სისუსტე ამა თუ იმ საგანში მასწავლებლების ბრალი არ არის. ეს აიხსნება იმ კარემობით, რომ სოხუმის სკოლაში ბევრმა მოწაფემ მობარების დროს სუსტად იცოდა ქართული ენა და ამას კარდა საანგარიშო წელს სწავლაში ხელი შეუშლია მოწაფეების ხშირს ავადმყოფობას და გაკვეთილების გაცდენას. სკოლაში განხილია ეულჭირვება, რომელსაც უმსხვრებლია ოთხი მოწაფე. ადგილობრივი გამგებობის დადგენილებით და ექიმთა რჩევით სკოლაში სწავლება შეჩერებულა 22 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდის; ამას კარდა ბევრს მოწაფეს ორი საში თვეობით სკოლაში არ უვლია, რის გამო ჩამორჩენილიან სწავლაში თავიანთ ამხანაგებს. სწაკლების საქმის წარმატებას, უაჭვრელათ, ხელს უშლიდა უხერხული ბინაც, სადაც სკოლაა დღეს მოთავსებული, რადგანაც ეს ბინა სრულიად ვერ აკმაყოფილებს ვერც ჰიგიენურს და ვერც სხვა სასკოლო საჭირო მობარებებს. სკოლა თანდათან იძენს სწავლებაში საჭირო ხალსაწყო ნივთებს, ზოგს ვიდვით და ზოგსაც შემოწირულობით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ამ მხრითაც დახმარებას უწევენ სკოლას. ნესტორ იოსების ძეს გოგიჯანაშვილს შეუწირავს სკოლისთვის ძვირფასი ფერადი მხატვრული სურათები გეოგრაფიისა და ბუნების შეტყუვლების შესასწავლად რიცხვით დიდი ზომისა 36 და მომცრო ზომისა 120. დაუნტვინებიათ დიდი ფერადი სურათი ტილოზე ქართული სოფლის ეოფა-ცხოვრების შესახებ, გაუდიდებიათ „ბუნების კარმი“ მოთავსებული ქართული ქარტა. ჯერჯერობით სკოლასთან წიგნთ სცავი არ არსებობს, მაგრამ იმედია ამასაც ჯეროვანს ეურადღებას მიაქცევენ.

საზოგადოთ მასწავლებლებსა, ადგილობრივ განყოფილების გამგებობის წევრებსა და მოწაფეთა მობოლებთა შორის ფრიად კარგი განწყოფილება არსებობს. ეკლას ერთის აზრით არის გამსჭვალული, რომ სოხუმის სკოლა მკვიდრს ნიადაგზე დააყენონ, რაც უაჭვრელია მასწავლებლების ერთგულ მუშაობის შედეგად უნდა ჩაითვადოს.

სოხუმის განყოფილება.

სკოლის კარდა სოხუმში დავათვალიერე ადგილობრივი განყოფილების საქმეებიც. გამგებობის თავმჯდომარეა კეიანა მარამ ნიკოლოზის ასული ანხაბაძისა, მისი ამხანაგი დესმხიე გრიგოლის ასული გელაფანისა. გამგებობას შეადნენ 23 წევრი. მდივნობა ბოლო დროს დაუკისრებიათ სკოლის გამგის ნიკო ჯანაძისათვის. სარკვიზიო კომისიის წევრებად

ქვემოთაღნიშნული

არან ა. ზ. გეორგიანი, ვ. გეორგიანი და ი. ლალა. 1 ენკენისთვიდან 23 მაისამდე დაის გამოცემას ჰქონია 10 სხდომა, თითო სხდომას ერთსავე რიცხვით დასწრება 13 წევრი გამოცემისა. გამოცემის სხდომის საგანს შეადგენდა სკოლის ნივთიერი მხარის საკითხები და საზოგადო ეროვნული საქმეები. თვითყოფილი სხდომის შესახებ იწერება დადგინდება ცალკე დავთარში, რომელიც ხელმოწერული რჩება გამოცემის სხდომაზე და მსწრე წევრთა მიერ. სკოლისა და სხვა საჭიროებაზე გადაეული ხარჯის ანგარიში ერთად სწარმოებს, არეულია ერთმანეთში; ამას გარდა საზოგადოთ საქმის წარმოება წესიერად არ არის დაუქმებული. 1912 წლის შემოსავალი და გასავალი დავთარში აღნუსხული არ არის. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ზოგიერთები დაზირებულნი არიან ფულის შემოტანას და რაცა შემოიტანენ, მაშინ აღნიშნავთ დავთარშით; არ არსებობს აგრეთვე საკვიტანციო წიგნები ფულის მიღებისა და გიცემის შესახებ, ხარჯის გასამართლებელი საბუთებიც ცალკე მოიხარება საქმეებში. საზოგადოთ სოხუმის განყოფილებაში საქმის წარმოება ფორმალურის მხრით სუსტად არის დაუქმებული, საჭიროთა თავიდანვე სრული კანცელიარული წესიერების დაცვა.

ადგილობრივი განყოფილების დეპუტი ამ ორა წლის განმავლობაში თავსაჩინოდ გამოხატება ქალაქიდან 1248 ოთხ კუთხი საყუნი მიწის შექენაში და სკოლის შენობის აგებაში. ზირს იმ აქტისას, რომლის ძალითაც განყოფილებამ ჩაიბარა ქალაქის თავითმართველობიდან ხენებული ადგილი, ამასთანავე ვუდგენ გამოცემას. ახლად შექენილს ადგილზე სოხუმის განყოფილების გამოცემას აუგია მშენიერი ქვითიერის შენობა, რომელშიაც მოთავსებულია 5 საკლასო ოთახი ვრცელი ღერუებით და ერთი სრული დარბაზი, რომლის დანიშნულებას სახალხო კითხვების გამართვა, სტენის მოწყობა და სხ. განზრახვა აქვსთ ეს სკოლის შენობა გადახეონ და მოათაონ იმდენად მაინც, რომ ენკენისთვიდან სკოლა გადაიტანონ ახალს შენობაში, რითაც აიცილებენ შენობის ქირის ხარჯს და მოწყობებისაც გაუჩინენ უკეთეს ბინას. მაგრამ განყოფილების შემოსავალი ამ ჟამად ისე მცირეა, რომ უკეთეს შეუძლებელია ეს საქმე მოკლე ხანში თავისი ძალით შესრულდონ, თუ ვინმემ სესხით დახმარება არ გაუწია.

ადგილობრივს გამოცემას იმედი აქვს მთავარი გამოცემისა, რომ იგი სესხით დაეხმარება ამ ჟამად. საქმე ის გახლავთ, რომ სკოლის შენობის დასრულებასთან ერთად უნდათ თავისუფალ საკმაოდ ვრცელ ადგილზე, რომელსაც ოთხკუთხივ ქუჩა უგდის, სავაჭრო ღუქნები ააგონ, რომლის შემოსავალი მოკლე ხანში დაჰფარავს სესხად აღებულს ვაღს და სკოლასაც სამუდამოდ უზრუნველ ჰყოფს. ამ ჟამად სოხუმში აღმოჩენილია ისეთი ქველმოქმედი ადამიანიც, რომელსაც სურს თავისი ხარჯით ხუთი სავაჭრო ღუქანი ააგოს და გადასცეს საზოგადოებას. ეს აზრი ჩემის შეხედულობითაც ფრად სიმპატიურია და თუ მთავარი გამოცემა, რომელსაც პრინციპილურად გადაწყვეტილი აქვს სესხით დახმარება გაუწიოს სოხუმის განყოფილებას, გამოსძებნის რაიმე წყაროს, საიდანაც დახმარებას აღმოუჩინს, დაწმენებული ვარ ამ სესხს თავისის სარგებლით ახლო მომავალში უგლისად დაიბრუნებს და სოხუმის სკოლის საქმესაც მკვიდრს ნიადაგზე დაამყარებს.

გამცემის წევრი ლ. გ. ბოცვაძე.



მღუსენება

გომარეთის სკოლის დათვალიერების შესახებ

20 ნოემბერს, სამშაბათს, დილის 6 საათზე, ყალამშიიდან გავემგზავრე გომარეთს, სკოლის დასათვალიერებლად.

რადგან წინა წლების რევიზიის ანგარიშებიდან ვიცოდი, რომ გომარეთის სკოლის მასწავლებელი კ. სენიაშვილი გამოცდილი მასწავლებელია და რომ მას სწავლა ალზრდის საქმე რიგიანად აქვს დაყენებული, ამიტომ თან წავიყვანე ყალამშიის სკოლის მასწავლებელი ბ-ნი მაჭავარიანი იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი გაეცნობდა გომარეთის სკოლის მდგომარეობას და ყოველსავე კარგს გადმოჩერგავდა თავის სკოლაში.

სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ ორ გაკვეთილს მივუსწართ, პირველი ორი გაკვეთილი უკვე გათავებული იყო.

გომარეთის სკოლაში ამ ჟამად 52 ბავშვია: 31 I განყოფილებაში, 14-მესამეში, 7-მეოთხეში.

ქართულში გაუვლიათ: I განყოფილებაში „დედა-ენა“, I ნაწ. 22 გვერდამდე; მე III-ში შვიდი ისტორიული ამბავი და 3 მოთხრობა „ბუნების კარიდან“; მე IV-ში გაუმეორებიათ საქართველოს ისტორია და გეოგრაფია და ქრისტომატიიდან გაუვლიათ სამი ახალი ლექსი და ხუთი იგავ-არაკი.

ართმეტიკიდან: I განყ. მიმატება და გამოკლება 10-ის ფარგალში, III განყ. შეერთება და გამოკლება დიდი დიცხვებისა; IV-ოთხი მოქმედება ყოველ გვარ დიცხვებზე.

რუსულიდან: III განყ. გაუმეორებიათ Pyc. Cl. პირველი ნაწილი, და მეორე ნაწილიდან გაუვლიათ 13 გვერდი; IV-ში გაუმეორებიათ „Pyc. Cl.“-ის მეორე ნაწილიდან ის, რაც შარშან გაუვლიათ; ახალიც გაუვლიათ 18 გვერდი. სხვა საგნებიდან არ მიკითხავს.

გავლილი მასალა ბავშვებს კარგად აქვთ შეთვისებული. ყველა კითხვაზე გარკვევით და შეგნებულად მიპასუხეს. საზოგადო განვითარებისათვის მასწავლებელს მეტი ყურადღება მიუქცევია, კითხვის პროცესის განვითარებისათვის ნაკლები: პირველმა და მეოთხე განყოფილებებმა ვერ დამაკმაყოფილეს ქართულის კითხვის ცოდნით. მასწავლებელმა სიტყვა მომცა, რომ გაზაფხულზე კითხვაც ჩინებულად ეცოდინებათ.

ხატვა მშვენივრად აქვს დაყენებული.

განწყობილება მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის ძმური და მეგობრულია.

სოფლებიც დიდად მადლობელნი არიან კ. სენხიაშვილისა, რადგანაც, თურმე, ის ძრიელ ბეჯითი და ბავშვებისთვის თავდადებული მშრომელი კაცია.

ოცზე მეტი სიმღერა უსწავლებია კ. სენხიაშვილს ბავშვებისთვის, მაგრამ ნამდვილ კილოზე თითქმის ვერც ერთს ვერა მღერიან. ასევეა ყალამშიის სკოლაშიაც. ამის უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ მასწავლებლებს სურვილი დიდი აქვთ სიმღერა გაავრცელონ სოფლებში, მაგრამ მეტი ღონე არ შესწევთ. ამიტომ, ფრიად საჭიროა: 1) ამ სამოსწავლო წლის გასულს მოეწყოს წ. კ. საზოგადოების მასწავლებელთათვის სასიმღერო კურსები, და 2) შემდეგში არ გამწესდეს სიმღერის უცოდინარი მასწავლებელი.

გომარეთის სკოლის შენობა შორიდან მტერს უყენებს თვალებს, ახლოდან მოყვარეს. სახურავი გაფუჭებული, კედლები მრუდე, თავანი ბევრ ადგილას გაფუჭებული და ჩამოწოლილი, იატაკი უსწორ მასწორ და ფართე ქუქრუტანებით, ამასთანავე ოთახები ძრიელ დაბალი.

წელს მასწავლებლის თხოვნით, შენობის შესაკეთებლად გადადებულ იქმნა ათი თუმანი; როგორც ადგილობრივმა მამასახლისმა გადმომცა, ხუთი თუმანიც სოფელს გადაუდვია. ამ ფულით აივნის იატაკის ფიცრები გამოუცვლიათ, ოთახებში შეუკეთებიათ ბევრ ადგილას როგორც იატაკი, ისე თავანი, სახურავის შესაკეთებლად კრამიტი ჰქონდათ ნაყიდი. ფული სულ არ იყო ჯერ დახარჯული. ამის ანგარიშს მასწავლებელი თავის დროზე წარმოადგენს.

ვიმეორებ, ბევრ ალაგას არის სკოლის სახლი შეკეთებული, უკეთ ვსთქვა შეკაწიწებული, მაგრამ ისევ გასაკეთებელია. მომავალ წელს კიდევ საჭირო იქნება ფულის გადადება.

ყოველ წლობით ხუთ-ხუთ თუმანს ვიხდით ამ სახლის შესაკეთებლად, წ. კ. საზოგადოებაც თავის მხრით ხარჯავს, მაგრამ ამას მაინც არაფერი არ ეტყობა ისევ გასაკეთებელია. თუ წ. კ. საზოგადოება დაგვეხმარება, ჩვენ ვეცდებით ქვიტკირის შენობა ავაგოთ სკოლისთვის ზაფხულშიო,“ მითხრა ადგილობრივმა მამასახლისმა.

ჩემის აზრით, ახალი შენობის აგება აუცილებელია. თუ გამგეობა ამ აზრს გაიზიარებს და საკითხს ახლაც პრინციპიალურად გადასწყვეტს, მაშინ შესაძლებელი იქნება დროზედ შევეუდგეთ საქმეს: მოვთხოვოთ სოფელს, შეგვატყობინოს თავის გადაწყვეტილება, თუ რა მოვალეობას კისრულობს იგი სკოლის ასაშენებლად; შედგეს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომლებიც თავის დროზე წარედგინოს გამგეობას დასამტკიცებლად, რომ შესაძლებელი გახდეს ადრევე საქმის დაწყება და დაბოლოვება.

საქმის მწარმოებელი გ. ბურჭულაძე

6 დეკემბერი 1912 წ.

მოხსენება

წინარჩენის სკოლის რევიზიის შესახებ

წინარჩენის სკოლა დავათვარიელე 14 მაისს. მასწავლებლად არის ივანე გიუნა-
შვილი. სკოლაში ოთხი განყოფილებაა. პირველ განყოფილებაშია 34 შეგირდი
(18 ვაჟი), მეორეში 15 (2 ვაჟი), მესამეში 13 (9 ვაჟი), მეოთხეში 8 (1 ვაჟი).
როგორც საკლასო ჟურნალიდან აღმოჩნდა, გაკვეთილებს უფრო ხშირად ვაჟები აკ-
ლდებიან. მასწავლებელი ამას იმითი ჰხსნის, რომ მშობლები თავიანთ შვილებს
სამუშაოზე ატარებენ. რევიზიის დროს მე თვითონაც გამოვკითხე შეგირდებს და მას-
წავლებელსაც მოვეუსმინე.

პირველი განყოფილება

საღვთო სჯული. იკოდნენ რამდენიმე პატარა ლოცვა (სახელითა მამისათა,
ლოცვა სწავლის დაწყების წინ, სწავლის გათავების შემდეგ) და რამდენიმე მოთ-
ხრობა ძველი და ახალი აღთქმიდან. მე ვაამბობინე ხარება და შეცოდება.

ქართული ენა გავლილი აქვთ „დედა-ენა“ პირველი ნაწილი, მეორე ნაწი-
ლი 29 გვერდამდე. კითხულობენ საკმაოდ გარკვევით. იციან ზეპირად რამ-
დენიმე ლექსი.

ანგარიში. იციან ოთხი მოქმედება ოცამდის, თვლა კი ასამდის. აქვთ ცო-
დნა სიგრძისა და დროს ზომისა.

მეორე განყოფილება

საღვთო სჯული. ლოცვებიდან, გარდა პირველ განყოფილებაში გავლილისა
იციან „მამაო ჩვენო“ ძველსა და ახალ აღთქმიდან გავლილი აქვთ მოთხრობები
ცოტა უფრო ვრცლად, ვიდრე პირველ განყოფილებაში.

ქართული ენა. „დედა-ენა“ აქვთ გავლილი ბოლომდის.

ანგარიში. ოთხი მოქმედება ასამდის. ზეპირი ანგარიში ოცობით ათასამდის.
იციან სხვა და სხვა ზომებით.

რუსული ლექსიური განყოფილება და ან-ბანი.

მესამე განყოფილება

საღვთო სჯული. წინად გავლილ ლოცვათა გარდა, იციან ათი მცნება და
სიმბოლო სარწმუნოებისა. ძველი და ახალი აღთქმა განვლილი აქვთ ვრცლად.

ქართული ენა. გავლილი აქვთ „ბუნების კარი“, ისტორიულ, გეოგრაფიულ
და „კაკობრიობის“ ნაწილის. გამოკლებით, გამოუტოვებიათ აგრეთვე ზოგიერთი
ძნელად შესათვისებელი მასალა. იცინ ზეპირად ლექსები. კითხულობენ თავისუფ-
ლად. აქვთ მოკლე ცნობები გრამატიკიდანაც.

ანგარიში. ზეპირი და წერიტი ანგარიში ათასამდის. ოთხი მოქმედება განყენებულსა და სახელ-წოდებულ რიცხვებზე. მე თვითონ ვაძლევდი კითხვებს და შეგირდები სწორე პასუხს მაძლევდნენ.

რუსული ენა. გავლილი აქვთ „რუსკოე სლოვის“ პირველი ნაწილი.

მეოთხე განყოფილება

საღვთო სჯული. ყველა განვლილი მასალა უსწავლითუფრო ვრცლად. ცნობები წმ. ნინოს ცხოვრებასა და ქართველთა მოქცევის შესახებ. მოკლე ცნობები სხვა და სხვა სარწმუნოებათა შესახებ. (ებრაელები, მაჰმადიანები, ბუდდისმი, კერპთთაყვანის მცემლები)

ქართული ენა „ბუნების კარი“ გათავებულია. ზოგიერთი მასალა გაუვლიათ „გუთნიდანა“ და კირიონისა და ყიფშიძის ქრისტომატიიდან. ცნობები გრამატიკიდან.

ანგარიში. ამოცანები განყენებულსა და სახელ-წოდებულ რიცხვებზე. ცნობები ყველა საჭირო ზომებსა და საწყაობებზე. ზოგიერთი ცნობები გეომეტრიულ ფიგურებზე.

რუსული ენა. „რუსკოე სლოვო“-ს მეორე ნაწილი შპ გვერდამდე.

ყველა ამის გარდა, შეგირდები სწავლობენ ხატვასა და თიხიდან საგნების გაკეთებას ხატვის რვეულებით ბევრი ვერა სარგებლობს, რადგანაც რვეულები ძვირია. თიხით კი ყველა მუშაობს. საკლასო ოთახში გამოფენილია მოწაფეების თიხიდან შეძერწული საგნები: ცხოველები, ფრინველები, ადამიანთა ჯგუფებიც კი არის, მაგალითად მთელი ჯგუფი: „ლხინის ოფელში“, „კაკო ყაჩალი“. ნამუშაოვარში სჩანს ბავშვების დაკვირვება. დაცულია სინამდვილეც კი. საზოგადოდ წინარების სკოლის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: მასწავლებელს, როგორც ეტყობა, ძალიან დიდი ყურადღება მიუქცევია ქართულს ენისა და ისტორიისთვის. შეგირდებს აქვთ საკმაროდ დიდი ცოდნა ქართულ ისტორიიდან: იცნობენ ჩვენს სხვა და სხვა ისტორიულ ხანას, იციან სამშობლო გეოგრაფია. იცნობენ ჩვენს ძველსა და ახალს მწერლებს. იციან მათ უმთავრეს ნაწარმოებთა შინაარსი. სრულიად შეგნებულად გამდმომცეს მოკლე შინაარსი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებისა. რუსულ ენაში კი ბავშვებს ვერ ემჩნევათ ისეთი ვარჯიშობა, როგორც ამას პროგრამა მოითხოვს.

დამოკიდებულება მასწავლებელსა და შეგირდებს შორის ჩინებულია. წესიერებასაც სრულიად ძალ-დაუტანებლად იცავს. ბავშვებიც კლასში თავისუფლად ჰგონობენ თავს.

გამგეობის წევრი არ. ჯაჯანაშვილი.





მოხსენება

საგურამოს სკოლის დათვალიერების შესახებ

გამგეობის მონდობილობით 24 მაისს 1912 წელს დავათვალიერე საგურამოს სკოლა, რომელიც მოთავსებულია ილიასეულ შენობაში. მასწავლებლად არის არისტოკლე რამინიშვილი. სკოლაში დამიხვდა სულ 7 შეგირდი: ოთხი პირველ განყოფილებაში და სამი მესამეში; მეორე განყოფილება არ არსებობს. სამოსწავლო წლის განმავლობაში შეგირდებს გაუვლიათ:

პირველ განყოფილებაში

სადვრთო სჯული—ქვეყნის და ადამიანის შექმნა, სამოთხე, ნეტარებითი ცხოვრება ადამისა და ევასი სამოთხეში, შეცოდება და მაცხოვრის მოლოდინი, ღვთის მშობლის დაბადება, მისი ტაძრად მიყვანება, ხარება, მაცხოვრის დაბადება და ნათლის ღება; ლოცვები: სახელითა მამისათა, წმიდაო ღმერთო, დიდება მამასა, ლოცვა სწავლის დაწყების წინ და გათავების შემდეგ.—მირქმა და ფერის ცვალება.

ქართული ენა. გაუვლიათ „ღედა ენიდან“ II ნაწ. 57 გვ. ყველა სტატიების, ლექსები და სასაუბროები.

რუსული ენა: ლექსიური განყოფილება ი. გოგებაშვილის წიგნიდან — „Русское слово“ ნაწ. I.

არითმეტიკა: რიცხვების წერა 50-დგ, ათეულებით თვლა ასამდე, შეკრება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა ოცის ფარგალში.

მესამე განყოფილებაში

სადვრთო სჯული: ძველი აღთქმა ქვეყნის გაჩენიდან ებრაელების აღთქმის ქვეყნის საზღვარზე მისვლამდის. ახალი აღთქმა — ვრცლად ქრისტეს შესახებ მოთხრობები. ლოცვები. სახელითა მამისათა, სამების ლოცვა, ლოცვა უფლისა, ლოცვა სწავლის დაწყების წინ და გათავების შემდეგ და სული წმიდის ლოცვა.

ქართული ენა: „ბუნების კარში“ მოთავსებული მასალა, მოთხრობები, ლექსები, საქართველოს შესახებ გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები.

არითმეტიკა: ოთხი მოკმედება ათასამდე, ადგილობრივი და რუსული ზომები, დაშლა და გადაქცევა საბუნწოდებულ რიცხვებისა. ამოცანების კეთება ათასის ფარგალში.

რუსული ენა: გაუთავებიათ პირველი ნაწილი ი. გოგებაშვილის „Русское слово“-ს და ამავე წიგნის მეორე ნაწილიდან გაუვლიათ ოცამდე სტატიები და ლექსები.

სადვრთო სჯულში მასალა საკმარისად არის გავლილი, მაგრამ ვერც ერთ გან-

ყოფილებაში შევირდებმა ვერ მითხრეს, თუ რადღეს უქმობენ რომელ ღღესას-წაულს: რუსული ენა ძალიან სუსტად არის დაყენებული ორსავე განყოფილებაში, თუმცა ბავშვები გაზვირებულს თავისუფლად ამბობენ, მაგრამ ძალიან ცუდი გამო-თქმით და, როგორც სჩანს, შინაარსიც ნაკლებათ ესმის შესწავლილისა. მესამე განყოფილებაში ვერ გადმითარგმნეს მაგალითად სიტყვა „ТРУДЪ“. არ იცოდენ წელიწადის დრონი; შესწავლილის გარშემო კითხვებს ვერ იგებენ და ცუდათაც სწერენ ორთოგრაფიის მხრივ; მაგალითად, მესამე განყოფილებაში დავაწერინე შე-სწავლილი სტატიიდან რუსული ფრაზა და ასე დასწერეს: „СТАЛЬ ДЕТЬ СИТ-реку ИЗЪ ЗЕМЛИ ТАЩИТЬ“ — ფრაზა ოთხჯერ გავამეორებინე შევირდებს, შემდეგ ყვებად და მარცვლებად დავაყოფინე, მაგრამ ორმა შევირდმა რვა რვა შეცდომა დაუშვა და ერთმაც ექვსი. საზოგადოთ ეტყობა, რომ მასწავლებელი შესასწავლ მასალის გარშემო ვერ ტრიალებს ისე, რომ ბავშვებს ყოველ მხრივ შეათვისოს იგი, კმაყოფილება მარტო იმის გაზვირებით, რასაც წიგნში პოულობს. ასეთი მასალის შესწავლა, რასაკვირველია, საფუძვლიანი და მკვიდრი ვერასოდეს ვერ იქნება და შევირდებსაც ადრე ამოეცლება თავიდან.

ქართულ ენაში კა ეს არ ითქმის. ეს საგანი საზოგადოთ კარგ შთაბეჭდილე-ბას ახდენს, სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ პირველ განყოფილებაში ოთხ შევი-რდეში ორმა ძალიან ცუდი კითხვა იცის, რადგან გვიან შემოსულან სკოლაში. მესამე განყოფილებაში სასიამოვნო მოსასმენია დალაგებული და შეგნებული პა-სუხები მოწაფეებისა. ისტორიიდან და გეოგრაფიიდანაც საკმაო ცოდნა აქვთ და კარგს და შეგნებულ პასუხს იძლევიან. ყურადღება იქნა მიქცეული იმაზე, რომ მოწაფეები დანამდვილებით უჩვენებდენ შესწავლილ ნაწარმოების ავტორს და ერ-თის ნაწარმოებს მეორეს არ აწერდენ. ილია ჭავჭავაძის ნაწერები ნაკლებათ იცი-ან, თუმცა ამ მგონის სურათთ მუდამ თვალწინ აქვთ დაკიდული. საჭიროა, რომ აქაური მოწაფეები ყველა მწერლებზე უფრო ილიას ნაწარმოებს იცნობდენ. პა-ტივსადემია მასწავლებლის მიერ მოყვანილი მიზეზი, რომ სკოლას არ მოეძებნება არც ერთი წიგნაკი უკვდავის მგონისა, რაც, რასაკვირველია, ხელს უშლის მის საესებით გაცნობას.

არითმეტიკის ცოდნა ორსავე განყოფილებაში საკმარისია. კარგათ აქვთ შეთ-ვისებული, როგორც მოქმედება, აგრეთვე ტერმინებიც და სწრაფადაც ანგარიშო-ბენ ზვირად — პირველ განყოფილებაში ოცამდის და მესამე განყოფილებაში ათა-სამდის.

მოწაფეთა რიცხვის სიმცირე მასწავლებელმა ახსნა მანძილის სიშორით სკო-ლასა და სოფელს შუა. (1 1/2 ვერსტი) და კიდევ იმ უსიამოვნო შემთხვევებით, რასაც წინა წლებში ადგილი ქონებია ამ შენობაში; ერთის სიტყვით სკოლასა და სოფელს შუა კავშირი არ არსებობს. მასწავლებელს და მოიჯარდრეებსაც (კ. ნა-კაშიძე და ივ. მაღალაშვილი) შესაძლებლად მიაჩნიათ ამ კავშირის დაფუძნება და გამკვიდრება, თუ სკოლა გადატანილი იქნება თვით სოფელში, რის შემდეგაც სა-გურამოს სოფელს შეუერთდებიან ახალ სოფლებიცო. ჩემის აზრითაც ეს შეხე-დულება არ არის მთლად სამართლიანობას მოკლებული, რადგან საგურამოს

მცხოვრებლებს, როგორც ქართლის უმეტეს სოფლებსაც, თუ ყოველი მხრივ არ შევუწყვეთ ხელი და არ გაუადვილებთ საქმე, — ისე სწავლას ვერ მიაძალებთ. თვითონ სკოლა ძალიან მოუწყობელი არის ხელ საწყობების მხრივ, რაზედაც მასწავლებელს არა ერთხელ გამოუგზავნია თურმე გამგეობაში მოხსენება.

გამგეობის წევრი ფილიპე მგელაძე.



მოსსენება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ სასოგადოების გამგეობას


თელავის სკოლის შესახებ.

თელავის სკოლის მასწავლებელი ქ-ნი გოგნიაშვილისა შესამჩნევის პედაგოგიურის ნიჭით და უნარით არის დაჯილდოებული: მას შეუმუშავებია და შეიძლება ბუნებრივადაც დაჰყოლია — პედაგოგიურს პრაქტიკაში იშვიათი თვისება, ერთგვარი ხერხი სკოლის დიდ ოჯახად გადაკეთებისა, რომელშიაც მოსწავლეები შეიღების და მასწავლებელი კი მშობელის როლს ასრულებენ თქვენ გზიბლავთ მასწავლებლის ნამდვილის მშობლიურის გრძნობით გაშუქებული თავისებური ხერხი ახსნა გადაცემისა, მოსწავლეაა მხილებისა და წაქეზებისა. თქვენს წარმოდგენაში შეუმჩნევლად სასკოლო ოთახი გადაიქცევა დიდ დარბაზად, სადაც ვითომც გამოცდილი, გონება გახსნილი და მოსიყვარულე დედა უხსნის, აგონებს, არიგებს და ხანაც ამხილებს თვისს საყვარელ ორმოცზე მეტს შვილებს ქალ ვაჟს. სრული ილიუზია!

თქვენ არ გეჰმისთ ბავშვების გვარების წამდა-უწყუმ ძახილი (მასწავლებელი ყველას სახელს უძახის), არ ამჩნევთ შაბლონურს ღონის ხმარებას სიწყნარის და წეს რიგის დასამყარებლად: ღმობიერი, დედა-შვილიური დამოკიდებულობაა დამყარებული სასკოლო ოთახში. ხანდისხან ბავშვების მხიარული სიცილ-ხარხარიც, გულუბრიყვო მიმართვა მასწავლებლისადმი გაკვეთილის დროს რამე სასაცილო კითხვითაც, თქვენ არ გეჩოთირებათ, რადგანაც ამ სიჩუმის დარღვევას არა აქვს ჩვეულებრივი ხასიათი: ბავშვები გრძნობენ თავს, როგორც ოჯახში და ისიც როგორც მოყვარული დედის წინ, ამისათვის თამამად უჭირავთ თავი. ამას დაუმატეთ მშვენიერი დიქცია (ქართული და რუსული) და მკაფიო და მარტივი გადმოცემა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაყოფი მასწავლებლის შრომისა არა ყოველ მხრივ აკმაყოფილებს მნახველს. თელავის სკოლაში წრეულს მხოლოდ პირველი განყოფილება იყო. ამ განყოფილებაში კი, ჩვენის აზრით, უმთავრესი და განსაკუთრებული ყურადღება წერა-კითხვას უნდა ჰქონდეს მიქცეული. ამ მხრივ თელიავს

სკოლა შესამჩნევად კოკლობს: მოწათფებს არ ეტყობათ სასურველი ვარჯიშობა წერ-
რა-კითხვაში. განსაკუთრებით წერაა დაყენებული ძრიელ სუსტად. ამ საგნის სწა-
ვლებაში არ ეტყობა არა ვითარი სისტემა: შეგირდები უშნოთ, თითქმის საძაგ-
ლად, სჯლანბიან. სჩანს, მათ უხელმძღვანელოდ, თავისთავად უჯლანბიათ! ამ
ნაკლს გრძნობს თვითონ მასწავლებელი და გვითხრა გულახდილად, რომ ის მეტს
ყურადღებას აქცევდა და მეტს ღროს ახმარდა მოწათფების გონებრივად განვითა-
რებას და წერისათვის მართლაც ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. მასწავლე-
ბელს ბოვშევებისთვის ბევრი მოთხრობა წაუკითხავს და მათვის შეუყვარებია კით-
ხვა). ერთი ნაკლიც ემჩნევა სკოლას. თავისთავად მკვირცხლი და ცოცხალი ბავ-
შვები, პასუხს ძლიერ დაბალის ხმით აძლევენ მასწავლებელს. ეს ნაკლი საერთოა.
ამ ნაკლის მავნებლობა სწავლის საქმეში თავის თავად ცხადია.

გამკვამის წვერი იპ. ვართაგავა



განსხალება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს ორი
საპრემიო თანხა: უგანათლებულესი თავადის გრიგოლ დადიანისა და ნიკოლოზ
ბესარიონის ძის ლოლობერიძის. თ-დ დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან
პრემიად მიეცემა 400 მანეთი ორ წელიწადში ერთხელ; ხოლო ნ. ბ. ლოლობე-
რიძის სახელობის თანხის სარგებლიდან ყოველ წლობით 300 მანეთი.

I. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოდგენს საკონკურსოდ საუ-
კეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნო-
გრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ.
თ-დ დადიანის სახელობის პრემიის მისაღებად წარმოდგენილი თხზულება უსათუ-
ოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი; ლოლობერიძის სახელობის პრემიის
მისაღებად კი უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხო-
ლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევ-
როპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ის-
ტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარები-
თი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენისა უც-
ხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი,

ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი, ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლისაზე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისაზე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისაზე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია, ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისაზე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ ერთი დარგის სრული ან რომლისაზე ეპოქის ისტორია, გ) რომლისაზე ერთის ან რავდენისაზე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისაზე კერძო ეპოქისა, ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნეჩვეულებიდან, ფიზიკურ აგებულებიდან და სხვა და სხვა დარგებიდან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა - გამოსარკვევად: 1) ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამამავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ შემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა, გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1914 წლისა...


8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1910 წელზე ადრე გამოცემული.



განსვალევა

გამოვიდა ახალი წიგნი

იაკობ გოგებაშვილის სასოკრად



გამოცემა უყურადღებოდ
„განათლების“ რედ.

წმინდა შემოსავალი
ამ კრებულისა მოხ-
მარდება სახალხო გა-
ნათლების ფონდს, რომელიც
განსვენებულმა იაკობმა დაარსა.

განათლების

კოლონი
ქონა
ქონა
დას. და მანა
სახლის ომი
თავად. დადი
სრავალი შპს.
თავად მთა და
ნათლი ბაღი

აკობ
დადი
თავად
დადი
დადი
დადი
დადი
დადი

წიგნი შეიცავს 320 გვერდზე მეტს და ღირს 75 კაპ. ამ კრებულში მოთავსებულია მრავალი ახალი და უკვე დაბეჭდილი მასალები, სიტყვები, დეპეშები და მოგონებანი განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის შესახებ.

ჟურნალი „განათლების“ რედაქციაში იყიდება სურათები განსვენებულის იაკობ გოგებაშვილისა სკოლებში დასარიგებლად—თითო ცალი ორ შაურად, ვინც 50-ზე მეტს დაიბარებს; იმას დაეთმობა 20%.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა უკვე შეუდგა განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების „დედა ენის“, „ბუნების კარისა“ და „Русское Слово“-ს ბეჭდვას 1913—14 წლისათვის. ეს სახელმძღვანელოები მომავალ სასწავლო წლის დასაწყისში უკვე მზად იქნება. „Русское Слово“-ს მეორე ნაწილის ახალ გამოცემაში, თანახმად განსვენებულის იაკობის ანდერძისა, შეტანილია ზოგიერთი შესწორებანი და 50-მდის ახალი სურათი. წიგნი იბეჭდება საუკეთესო ქალაქებზე და, ექვს გარეშეა, კარგი გამოცემაც იქნება. ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებლების ზნეობრივი მოვალეობაა ყველგან სკოლებში გაავრცელონ ეს სახელმძღვანელო და მით გაუადვილონ მოსწავლეთ რუსული ენის შესწავლა.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

(წელიწადი შეეძესე)

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის ოთხი მანეთი (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად სამ მანეთად, საზღვარ გარეთ 6 მანეთი. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადაიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიციანიძესთან, ბათუმში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას და სამტრედიისაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია ხოხვან ხელის მომწერლებს დროზე დაიკავთან ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Бодвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.